

2007



საქართველოს გეოლოთიკა



ISSN 1512-0880

№3 2007



ილია ჭავჭავაძე

170

რედაქციის მისამართი:
თბილისი, 380007 გუდიაშვილის ქ.7
საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა
ტელ.: 93-26-82

ქურონალის რედაქცია:
ადექსანდრე ღორია
- მთავარი რედაქტორი
გურამ თაყნიაშვილი
- მთავარი რედაქტორის
მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი
მზია რაზმაძე
- კომერციული დირექტორი
გუდნარა სცურუა
- სამეცნიერო-მეთოდური და
კორექტორ-კოორდინატორის
რედაქტორ-კოორდინატორი



ინსანარმო „ალი“
დამფუძნებლები: საქართველოს
პარლამენტის ილია ჭავჭავაძის
სახელობის ეროვნული
ბიბლიოთეკა; საქართველოს
საბიბლიოთეკო ასოციაცია.

„ილიამ იცვირთა ჯვარი სრულიად საქართველოისა და
შეუდგა გოგოთის აღმართს. მან გაბედავად აღიმაღლა სმ
აქამიანთა ყოველებების დასაცავად.
შევსოვ ღმერთს, წმიდა ილია მართლის ღოვით ყოველი
მეცად განამცვიოს ჩუენი უნი ქეშმარიც საონმუნობაში.
სიყვარულში, სიკეთეში.“

ილია II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

წიგნი და წიგნიერება4

ოფიციალური განყოფილება

საქართველოს მთავრობის დადგენილება8

ისტორიის ფურცლებიდან

ნანა გურგენიძე –
ფრაგმენტები საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის ისტორიიდან.....9

გურამ თაყნიაშვილი
ალექსანდრე ლორია –
ბიბლიოთეკათმცოდნეობის განვითარება და
საბიბლიოთეკო კადრების მომზადება საქართველოში16

ტერმინოლოგიური ძიებანი

ბადრი ცხადაძე –
პალეოგრაფიულ-წიგნმცოდნეობითი ტერმინები ქართულში.....23

ღირსეული წინაპრები

გურამ თაყნიაშვილი –
„ქართველთ არ სძინავთ გონებით.“ (ნ. ბარათაშვილი – 190).....26

ვაჟა სილაგაძე –
დიდი ილია ჩვენი ცხოვრების სარკეში.....30

ალექსანდრე ლორია –
ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ასპექტები.....31

კვირეული – 2007

ტრადიციისადმი ერთგულების ნიშნით.....36

მოსაზრება

რამაზ მეფარიშვილი – „დავითიანი“ და სინანული.....45

ვილ შერმანი – რამდენად მნიშვნელოვანია ბიბლიოთეკების როლი
ციფრულ ეპოქაში?.....48

კორესპონდენციები

ინგა ფილაური-ლორია – ექსპერიმენტი სიახლის ძიებაში.....58

მზია იარაჯული – რეპორტაჟი ჩვენი ბიბლიოთეკიდან.....60

ნათელა ნათლიაშვილი-კვინიკაძე – მეგობრობის მძლავრი ექო.....62

ეთერი მეშველიანი – ჩვენ მომავლის ღრმა რწმენით ვცხოვრობთ.....65

საცნობოდ საკითხავი

ოთარ ოსაძე – კვლავ მკითხველისა და
კითხვის შესახებ (გაგრძელება).....66

БИБЛИОТЕКА ГРУЗИИ, №3-07
Содержание

| | |
|--|----|
| Книга и чтение книг..... | 4 |
| Официальный раздел | |
| Постановление правительства Грузии..... | 8 |
| Страницы истории | |
| Нана Гургенидзе - Фрагменты истории библиотечного дела Грузии..... | 9 |
| Александр Лория, Гурам Такниашвили - Развитие библиотековедения и подготовка библиотечных кадров в Грузии..... | 16 |
| Терминологические изыскания | |
| Бадри Цхададзе - Палеографические книговеческие термины в грузинском языке..... | 23 |
| Прославленные предшественники | |
| Гурам Такниашвили - «У грузин не спит сознание» (Н. Бараташвили - 190)..... | 26 |
| Важа Силагадзе - Великий Илья в зеркале нашей жизни..... | 30 |
| Александр Лория - Аспекты жизни и творчества Ильи Чавчавадзе..... | 31 |
| Неделя библиотеки - 2007 | |
| Верность традициям..... | 36 |
| Мнения | |
| Рамаз Мепаришвили - «Давитиани» и пакаяние..... | 45 |
| Виль Шерман - Насколько значима роль библиотек в цифровой эпохе?..... | 48 |
| Корреспонденции | |
| Инга Пилаури-Лория - эксперимент в поисках нового..... | 58 |
| Мзия Иараджули - Репортаж из нашей библиотеки..... | 60 |
| Натела Натлиашвили-Квиникадзе - Гулкое эхо дружбы..... | 62 |
| Етери Мишвелиани - Живем с глубокой верой в будущее..... | 65 |
| Чтение для любознательных | |
| Отар Осадзе - Вновь о читателе и чтении (Продолжение)..... | 66 |

Georgian Library, 3-07

Table of content

| | |
|---------------------------------|---|
| The Book and Wide Reading | 4 |
|---------------------------------|---|

Official Section

| | |
|-------------------------------------|---|
| Decree of Georgian Government | 8 |
|-------------------------------------|---|

From the History (pages)

| | |
|--|---|
| Nana Gurgenidze - From the History of Development of Librarian Sciences | 9 |
|--|---|

| | |
|---|----|
| Alexander Loria Guram Takniashvili - Development of Librarian Sciences and Preparation of Personnel | 16 |
|---|----|

Terminology Search

| | |
|---|----|
| Badri Tsxadadze - Paleographic Terminology Descriptions in Georgia | 23 |
|---|----|

Worthy Forefathers

| | |
|---|----|
| Guram Takniashvili - The Greatest Poet N. Baratashvili – 190 | 26 |
|---|----|

| | |
|---|----|
| Vadja Silagadze - Ilia Chavchavadze in Our Lives | 30 |
|---|----|

| | |
|---|----|
| Alexander Loria - Ilia Chavchavadze – Few Detached Fragments of His Life and Creative Work | 31 |
|---|----|

Georgian Library Week– 2007

| | |
|-------------------------------|----|
| Guided by the Tradition | 36 |
|-------------------------------|----|

Opinion

| | |
|--|----|
| Ramaz Meparishvili - “Davitianni” (Collection of poems of Davit Guramishvili) and Vexation of Sprit | 45 |
|--|----|


| | |
|--|----|
| W. Sharman - The Importance and the role of Libraries in Modern Digital Era | 48 |
|--|----|

correspondences

| | |
|--|----|
| Inga Pilauri-Loria - Experiment in search of innovation | 58 |
| Mzia Iarajuli - Reportage from our library | 60 |
| Natela Natliashvili-Kvinikadze - The strong echo of friendship | 62 |
| Eter Meshveliani - We live in deep abiding faith | 65 |

Notes

| | |
|--|----|
| Otar Osadze - Anew about readers and reading (to be continued) | 66 |
|--|----|



წიგნი და წიგნიერება

წიგნი თანამედროვე საზოგადოების განუყოფელი ნაწილია. მას მრავალი ფუნქცია აქვს დაკისრებული და მისი გამოყენებაც მრავალგვარად ხდება. წიგნი ინახავს ნააზრევს, ავრცელებს მას განუსაზღვრელი მასშტაბებით, იგი არის იდეოლოგიური ბრძოლისა და დაპირისპირების იარაღი, ცოდნის, განათლების, აღზრდის, მეცნიერული აზროვნების განვითარების, ეთიკურ-ესთეტიკური მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა და ფართო ბიბლიოგრაფიული საინფორმაციო ცოდნის მიღების საშუალება, მატერიალური ფასეულობის მქონე საგანი. ადამიანის მოღვაწეობის არც ერთი სფერო არ არის დარჩენილი, სადაც წიგნი თავის განუმეორებელ როლს არ ასრულებდეს. მაგრამ წიგნი, როგორც გარკვეული შინაარსის მატარებელი, რომელსაც ადამიანები ქმნიან, ცხადია, გამოხატავს ცხოვრებისეულ სინამდვილეში არსებულ მოვლენას, მისი ანარეკლია და ისევე, როგორც ცხოვრებაში არსებობს დაპირისპირებულობა, წიგნიც სხვადასხვაგვარია თავისი შინაარსით, იდეოლოგიით, მეცნიერული პოზიციით, ეთიკურ-ესთეტიკური თუ მეთოდოლოგიური თვალსაზრისით. სწორედ ამან განაპირობა უძველეს დროიდანვე წიგნის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება.

არასასურველი წიგნების მიმართ ბრძოლა აშკარად, სრულიად დაუფარავად მიმდინარეობდა. ჯერ კიდევ ძვ.წ. VII საუკ. ათენელმა ტირანმა კრიტოსმა სასტიკად აკრძალა არქილოკეს შემოქმედების კითხვა, მას შემდეგ მოყოლებული, უამრავი შემთხვევაა ცნობილი წიგნებისა და მათ შემქმნელთა წინააღმდეგ ბრძოლისა. ეს მოვლენა საუკუნეების განმავლობაში თანდათან უფრო

და უფრო ვრცელდებოდა და იხვეწებოდა, ვიდრე შუა საუკუნეებში ოფიციალურ ცენზურად არ ჩამოყალიბდა. 1559 წ. პაპმა პავლე მეოთხემ „აკრძალულ წიგნთა ინდექსი“ შემოიღო, რაც შედეგი იყო 1513 წელს პირველი დიდი ინკვიზიტორის – კარდინალ კარაფის ბრძანებისა, რომელიც კატეგორიულად მოითხოვდა, რომ ყველა წიგნი მხოლოდ ინკვიზიციის ნებართვით გამოცემულიყო. გერმანიაში XV საუკ. დასაწყისში შეიქმნა საცენზურო აპარატი. ინგლისში 1496 წელს საუნივერსიტეტო ცენზურა ჩამოყალიბდა. 1556 წელს იქმნება გამომცემელთა კორპორაცია, რომელიც მიზნად ისახავდა „არასასურველი წიგნების“ წინააღმდეგ ბრძოლას. საფრანგეთში 1715 წლიდან სისტემატურად იბეჭდებოდა აკრძალულ წიგნთა სიები, 1787 წელს რუსეთში გამოიცა დადგენილება, რომლის ძალითაც იკრძალებოდა იმ წიგნების გაყიდვა, რომლებიც სინოდის გამომცემლობის მიერ არ იყო გამოცემული. ამ მოქმედებებს მაგალითის ძალა ჰქონდა მსოფლიოში და ასეთი რამ თითქმის ყველგან ვრცელდებოდა. მართალია, ცენზურის წინააღმდეგ მოწინავე საზოგადოება მუდამ იბრძოდა, მაგრამ ყოველთვის როდის მოჰქონდა მას შედეგი, თუმცა ზეგავლენას მაინც ახდენდა. განუკითხავი დევნა „არასასურველი“ წიგნებისა ახალ საუკუნეებშიც არ შეწყვეტილა. საცენზურო პოლიტიკის სიმძაფრე განსაკუთრებით იგრძნობოდა ფაშისტური და ბოლშევიკური დიქტატურის პერიოდში.

ოფიციალური ცენზურა თუ არა, საერთოდ, საცენზურო საქმიანობა ყოველთვის იყო თითქმის ყველგან და ამჟამადაც არის, ოღონდ სხვადასხვა ფორმითა და საშუალებებით.

ცენზურას იმდენად დიდი ადგილი უჭირავს საზოგადოების ცხოვრებაში, რომ მას დამოუკიდებელი ისტორია აქვს თავისი კანონზომიერებებითა და ფაქტებით. მისი წარმოქმნისა და განვითარების ობიექტური კანონების შეცნობა მეტად მნიშვნელოვანია ამ მოვლენის არა მარტო შეფასების, არამედ თანამედროვე მდგომარეობის ანალიზისა და მომავლის განჭვრეტის თვალსაზრისით.

წიგნის ისტორია განუყოფელია ცენზურის ისტორიიდან, უფრო მეტიც – ცენზურის ისტორია წიგნის ისტორიის შემადგენელი ნაწილია. როგორც ისტორია გვიჩვენებს, ცენზურის სოციალური დანიშნულება მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის პოლიტიკურ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-ტექნიკურ და კულტურულ ძვრებთან. ცენზურა მხოლოდ საზოგადოების უარყოფით დამოკიდებულებას როდი გამოხატავს წიგნის მიმართ, არამედ ზოგ შემთხვევაში ის დაკავშირებულია ამ საზოგადოების მორალურ-ზნეობრივი, ეთიკურ-აღმზრდელობითი ტრადიციების და ტენდენციების დაცვა-განვითარებასთან. ოღონდ ძნელია ამ შემთხვევაში დაიდოს სამართლიანი ზღვარი ნეგატივისა და პოზიტივის შორის. მრავალ შემთხვევაში საზოგადოებრივი თვითშეგნების ზეგავლენით ადამიანი თავად გამოდის ცენზორად როგორც სხვის, ისე საკუთარი თავის მიმართ, მეტ-ნაკლებად, ყველა ჩვენგანში ზის ცენზორი არა მარტო ჩვენი ქცევისა და მოქმედების, არამედ წიგნის მიმართაც.

ამრიგად, თუნდაც ეს ფაქტი სავსებით ნათლად გვიჩვენებს, რა ადგილიც უჭირავს წიგნს (მისი უზოგადესი გაგებით) საზოგადოების ცხოვრებაში. გვინდა-არ გვინდა, ქვეყანაში, სადაც არსებობს წიგნი, არსებობს კითხვის მართვაც, რაც სხვადასხვა ფორმითა და საშუალებებით წარმოებს, როგორც პირდაპირ, ისე ირიბი გზებითაც.

რაკი წიგნი საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, კითხვა კი მართული

პროცესი, ვინ, თუ არა ამ საზოგადოების წარმმართველმა ინსტიტუტებმა, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს წიგნზე. წიგნის საქმის საყოველთაო მართვა ხელისუფლების ხელშია. რამდენადაც უფრო გონივრულად ხდება ეს, იმდენად უფრო კარგ შედეგებს აღწევს ქვეყანა.

სადაც წიგნი მისი წარმოების, გავრცელების, დაცვის, განვითარების თვალსაზრისით ერთ-ერთ პრიორიტეტს არ წარმოადგენს, ასეთ ქვეყანაში ყოველთვის ძნელად განვითარდება განათლების, მეცნიერების, კულტურის პროცესები, რაც უეჭველად თავის უარყოფით დაღს დააჩენს ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამეურნეო საქმიანობასაც.

ამ მიმართულებათა მდგომარეობისა და მომავლის განვითარების განმსაზღვრელ ბარომეტრს ქვეყანაში ბიბლიოთეკა წარმოადგენს. რა ადგილი უჭირავს მას საზოგადოებაში, როგორია მისდამი ხელისუფლების დამოკიდებულება, როგორ ვითარდებიან ისინი, როგორია მათი მოქმედების დიაპაზონი და ა.შ. განსაზღვრავს ამ ქვეყნის სახეს, მის შესაძლებლობებს, განათლებისა და კულტურის დონეს.

იზრავლის ერთ-ერთმა ცნობილმა მოღვაწემ სატელევიზიო ინტერვიუში სავსებით კატეგორიულად განაცხადა, რომ სახელმწიფოებრიობის არსებობა და მისი დონის გამოხატულებას ქმნიან: პარლამენტი, ეროვნული მუზეუმი-გალერეა და ეროვნული ბიბლიოთეკა. მაშასადამე, თუ ეს ყველაფერი არის, სახელმწიფო შემდგარია, ოღონდ როგორია ამ სახელმწიფოს დონე, უკვე იმაზე დამოკიდებული, თუ როგორია ამ დაწესებულებათა მდგომარეობა. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათი არსებობა თავისთავად უკვე ნიშნავს ქვეყნის კეთილდღეობას, არამედ ეს გულისხმობს იმას, რომ კეთილდღეობა დიდადაა დამოკიდებული მათ გამართულობაზე, ქმედითუნარიანობაზე, თანამედროვე მეთოდოლოგიით საქმიანობაზე, ეს უკვე მთლიანად განაპი-

რობებს ყველა სხვა დარგის ნარმატებას, როგორც ჰუმანიტარულ, ისე ზუსტ და გამოყენებით მეცნიერებათა.

ვლასარაკობთ რა წიგნის საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე, ცხადია, ვგულისხმობთ, უპირველეს ყოვლისა, მისი გამოყენების დონეს, მისანვდომობის ხარისხს, საყოველთაობას, პრაქტიკულად მისი გამოყენების პირობებს, იმ შედეგებს, რაც მისი საშუალებით მიიღწევა, იმ სარგებლობას, რაც მოაქვს მას პიროვნებისა თუ მასისათვის. ფაქტობრივად, საქმე შეეხება წიგნიერებას, თუ რამდენად წიგნიერია საზოგადოება, რამდენად მყარი ურთიერთობა არსებობს ადამიანსა და წიგნს შორის.

წიგნიერების არსი, მისი განსაზღვრება საყოველთაოდ ერთიანი და ყველასათვის მისაღები არ არის. დროთა განმავლობაში იცვლებოდა მისი გაგება და შინაარსი.

რამდენიმე წლის წინ საქართველოში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „წიგნიერების ახალ მიჯნასთან – ცვლილებები დაწყებით განათლებაში“- ,რომელიც მოეწყო ასოციაცია „სკოლა-ოჯახი-საზოგადოების“ თაოსნობით (ამასთან დაკავშირებით ჩვენს ჟურნალში თავის დროს მოცემული იყო ინფორმაცია). აქ ნათლად გამოჩნდა, რომ წიგნიერების თანამედროვე გაგება საგრძნობლად განსხვავდება ადრეულისაგან, თუმცა ძირითადი და მთავარი უცვლელია – ეს არის წიგნის ფლობის დონე და კითხვის კულტურა. „წიგნიერების“ გაგება გაფართოვდა და უფრო კონკრეტულ-მიზანსწრაფული ხასიათი მიიღო.

კერძოდ, რა განაპირობებს წიგნიერებას? უპირველეს ყოვლისა, კითხვის კულტურა ყველა შემადგენელი ნაწილის მხედველობაში მიღებით: კითხვის მიზნობრიობა და გეგმიურობა, სისტემატურობა და თანაბრობა, საჭირო წიგნის გამოვლენისა და შერჩევის ცოდნა. წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ცოდნა, თანმიმდევრული მუშაობის ჩვევა, ნაკითხულის საფუძვლიანად ათვისების უნარი – წიგნის

შემეცნებითი ღირებულების გამოყენება, ნაკითხულის კრიტიკულად ჭვრეტა და თავისი დამოკიდებულების შემუშავება, ინტერესთა მრავალმხრივობა და კითხვის მაღალტექნიკურად ფლობა.

სასიამოვნოა იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ყოველივე ამის შესახებ არსებობს საკმაოდ მაღალმეცნიერული დონის ნაწარმოებები, გამოცემული სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს, მათ შორის, საქართველოშიც.

ქართულად სიტყვა „წიგნი“ მრავალგვარად გაიგება: უმთავრესი მისი თანამედროვე გაგება დაკავშირებულია ჩვეულებრივ ნაბეჭდ კოდექსური ფორმის წიგნთან. ძველთაგან ამ სიტყვას უფრო მრავალმხრივი განმარტება ჰქონდა: „წიგნს“ უწოდებდნენ როგორც ხელნაწერ წიგნს, (კოდექსური ფორმის თუ გრაგნილს), ისე წერილს, დოკუმენტს, საბუთს, სიას, გარიგებას, ანდერძს და სხვ. ფაქტობრივად, „წიგნს“ ყოველგვარ წერილობით წყაროს უწოდებდნენ. საგულისხმოა, რომ „წიგნი“ ხალხური და სასულიერო პირთა მეტყველებაში გაიგებოდა როგორც „წმინდა წიგნი“ – „ბიბლია“ და „სახარება“.

რაც შეეხება „წიგნიერებას“, თავდაპირველად ის გაიგებოდა როგორც წერილობითი წყაროს კითხვის უნარი, შემდეგ – სხვადასხვა წყაროს კითხვის უნარი. თანდათან ეს ცნება სხვადასხვა ნიუანსებით ივსებოდა და ბოლოს ის თითქმის მთლიანად განათლებულობის უზოგადეს გაგებას დაუკავშირდა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ცნება „წიგნის“ მოხმობა და ჩართვა განათლებულობის გაგებაში მხოლოდ ქართულ რეალობაში გვხვდება. განათლებულობის გაგება სხვა ენებში ცნება „წიგნს“ არ უკავშირდება. საერთოდ, „წიგნიერი ადამიანი“ გაიგება როგორც განათლებული, განვითარებული, მცოდნე, ინტელექტუალური პიროვნება, რომლის ეს თვისებები წიგნთან ურთიერთობის შედეგადაა შექმნილი. მაგრამ საქმე მხოლოდ ფორმალურ-სიტყვის წარმოებას

არ ეხება. ცნება „ნიგნიდან“ წარმოსდგება თუ არა სიტყვა „განათლებულობა“, ეს არაა მთავარი, მთავარი ისაა, რომ განათლებულობა, განვითარება, ცოდნა, ინტელექტუალობა ნიგნიდან ურთიერთობის, ნიგნიერი გარემოს გარეშე არ წარმოიდგინება, რომელ ენაშიც რაგვარადაც არ უნდა იყოს ეს ტერმინი ნაწარმოები.

თუ ჩვენ ვიღვწვით იმისათვის, რომ ჩვენი საზოგადოება ნიგნიერი ანუ განათლებული, განვითარებული, ინტელექტუალურად მაღალი დონის იყოს, უპირველეს ყოვლისა, მის ნიგნიერებაზე უნდა ვიზრუნოთ, უნდა შევქმნათ კითხვის კულტურის ამაღლების გარემო პირობები, მთელი ინფრასტრუქტურა.


სულ სხვაა საკითხი, თუ რა ადგილი უჭირავს ამჟამად ნიგნს საზოგადოებაში და როგორია მისი მომავალი. ნიგნიერების გაგებასთან ამას არავითარი კავშირი არ აქვს. ის, რომ ზოგს მიაჩნია, თითქოს სულ მალე კომპიუტერი შეცვლის მთლიანად ნიგნს, ჯერ ერთი, მცდარია, მეორეც – განათლებულობის გაგებაზე ეს არავითარ როლს არ ასრულებს.

კომპიუტერი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოგონებაა, თუკი რამ ადამიანს შეუქმნია. მიუხედავად იმისა, რომ ის ძალიან ღრმად შეიჭრა კაცობრიობის საქმიანობაში, ჯერ კიდევ შორს ვართ მის სრულყოფილ გამოყენებასთან. ძნელია ახლა ვთქვათ, კიდევ რა საოცრებებს გვპირდება ცხოვრება, მაგრამ ის, რომ კითხვას ვერაფერი შეცვლის ცოდნის მიღებისა და განვითარებისათვის, რომ ის მუდმივმოქმედი მოვლენაა, სრული ჭეშმარიტებაა. ცხადია, კომპიუტერი ბევრი თვალსაზრისით შეცვლის ნიგნს, ხელს შეუწყობს ე.წ. „ვირტუალური ბიბლიოთეკების“ შექმნას, საბიბლიოთეკო მასივების შემცირებას, რაც ეკონომიურად დიდ ეფექტს მოგვცემს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს ერთი რამ – ნიგნის მოხმარებას, მის გამოყენება-სარგებლობას, ადამიანზე ზემოქმედებას, მრავალ ფსიქოლოგიურ ნიუანსს, რაც კითხვას ახლავს,

ვერაფერი შეცვლის. ეს საკითხი ჯერ კიდევ მეცნიერულად შეუსწავლელია და, ამდენად, რაიმე პროგნოზების გაკეთება არასერიოზული საქმეა და ის მხოლოდ ვარაუდების დონეზე თუ განიხილება; მეორეც – კომპიუტერი იგივე კითხვის საშუალებაა და, მაშასადამე, ნიგნიერების ერთ-ერთი საფუძველიცაა, როგორადაც არ უნდა იყოს, თანამედროვე საზოგადოება ნიგნისაგან ისრუტავს ცოდნას და ნიგნი მისთვის განათლებისა და განვითარების ყველაზე აქტიური საშუალებაა.

ყოველივე ამის გამო, არ არის მისაღები ის სიტუაცია, რომელმაც ამჟამად ფეხი მოიკიდა საქართველოში – „ნიგნი რა საჭიროა, როცა არის კომპიუტერი“, „რად გვინდა ამდენი ბიბლიოთეკა“, „რა საჭიროა ამდენი ნიგნის გამოცემა“, „რაში გვჭირდება ნიგნების შექმნა“ და სხვა მისთანანი, რაც წარამარა გაისმის აქა-იქ ოფიციალურ თუ არაოფიციალურ დონეზე. არც იმის გამართლება შეიძლება, რომ დღეს ჩვენში საოცრად უდიერად და წინდაუხედავად ხდება აშკარა თუ ფარული ბრძოლა ნიგნების მასივების მიმართ. ნიგნი ხომ სახალხო ქონებაა, ფასეულობა, სიმდიდრის იდენტი? ცხადია, ბევრია უმაქნისი, არაფრისმომცემი, შინაარსობრივად სავსებით მოძველებული, დრომოჭმული, გადამეტებული რაოდენობით თავმოყრილი ნიგნი, მაგამ ეს სულაც არ ნიშნავს, უაპელაციოდ მოვანდინოთ მათი ლიკვიდაცია. ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით ამგვარ სურათს; აერთიანებენ ბიბლიოთეკებს, ზოგ შემთხვევაში ყოველგვარი მოტივის გარეშე ნიგნებს ჰყრიან... ისმის კითხვა? ვინ ზრუნავს ამ საქმის რაციონალურად, გონივრულად წარმართვაზე? სამწუხაროდ, ბევრგან ეს სავსებით უზარმაზარი ნიგნადი მასივებია უანგარიშოდ თავმოყრილი, სადღაც-სადღაც თავმოყრილი, შექურებული, შტაბელებად დანყობილი თუ პირდაპირ დაყრილი.

სავსებით გასაგებია ნიგნისა და საბიბლიოთეკო საქმის ოპტიმიზაციის აუცილებლობა, თუმც ვერ ვიტყვით, რომ




ის გონივრულად და მიზანმიმართულად ხორციელდებოდა, მაგრამ თუ არ მოწესრიგდა მისი წარმოების ორგანიზაციულ-მეთოდური პროცესები, ქვეყანა დიდ ეკონომიკურ და მორალურ ზარალს მიიღებს. არსებულ ვითარებას სახელმწიფოებრივი მიდგომა ესაჭიროება. აუცილებელია შეიქმნას სპეციალური პროგრამა ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად. თუ ჩვენს საზოგადოებას არსებული

ვითარება ნორმალურად მიაჩნია, ძნელია მაშინ ამგვარ საზოგადოებას წიგნიერი საზოგადოება ეწოდოს. ყოველად დაუმეგბელია შევეგუოთ ამას. ყველამ უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ჩვენი ქვეყანა, წიგნისა და წიგნიერების თვალსაზრისით, ერთ-ერთი უმაღლეს დონეზე მდგომი სახელმწიფო იყოს.

ოფიციალური განყოფილება



საქართველოს მთავრობის დადგენილება



№131 2007 წლის 3 ივლისი ქ. თბილისი

ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, არაპროფესიული (სამოყვარულო) თეატრების, საკლუბო დაწესებულებების (კულტურის სახლების), მუზეუმებისა და სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების განსაზღვრის წესის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 67-ე მუხლის 1² პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლისა და „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. საქართველოს თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიაზე მოქმედი ყველა სახელმწიფო ბიბლიოთეკა, საკლუბო დაწესებულება (კულტურის სახლი), მუზეუმი და სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება, აგრეთვე არაპროფესიული (სამოყვარულო) თეატრი, გარდა ამ დადგენილების №1 და №2 დანართებში მითითებული დაწესებულებებისა, ჩაითვალოს ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე თვითმმართველი ერთეულის დაქვემდებარებაში

რებაში მყოფ დაწესებულებად, რომელთა ლიკვიდაციას, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად დაფუძნებას და\ან რეორგანიზაციას, აგრეთვე ხელმძღვანელი პირების დანიშვნა-გათავისუფლებას ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო. არსებული დაწესებულებების ბაზაზე თვითმმართველი ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ჩაითვალოს იმ დაწესებულებების(ების) უფლებამონაცვლედ, რომელთა ბაზაზეც დაფუძნდა აღნიშნული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

2. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ იმ მუზეუმებში დაცული სახელმწიფო სამუზეუმო ფონდი, რომელიც არ არის მითითებული ამ დადგენილების №1 დანართში, ადგი-

ლობრივ თვითმმართველ ერთეულს შესაძლებელია გადასცეს მხოლოდ დროებითი სარგებლობის უფლებით, ხოლო სხვა დაწესებულებათა ქონება – ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს საკუთრებაში.

3. მოქმედი სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ სრულ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამებს (დანართი №2), აგრეთვე მუზეუმები, რომლებშიც დაცულია ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა (დანართი №1), რჩებიან საქართველოს კულტურის, ძეგლთა

დაცვისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალ დაწესებულებებად. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო 2007 წლის 1 ოქტომბრამდე უზრუნველყოფს ამ პუნქტში მითითებული მუზეუმების საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაფუძნებას.

4. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი
ზურაბ ნოლაიძელი

ისტორიის ფურცლებიდან



**ფრაგმენტები საქართველოს
საბიბლიოთეკო საქმის ისტორიიდან**



ნანა გურგენიძე

საქართველოს ძველი ბიბლიოთეკების შესახებ მრავალი ცნობა მოგვეპოვება, როგორც პირველწყაროებში, ისე ისტორიკოსების: პლატონ იოსელიანის, ალ. ცაგარელის, მარი ბროსეს,

ივ. ჯავახიშვილისა და სხვათა შრომებში.

მეხუთე საუკუნის მწერლის – იაკობ ცურტაველის ნაწარმოები „ნამება წმიდა შუშანიკისა“ ისტორიულ სინამდვილეზე აგებული თხზულებაა, რომლიდანაც ვგებულობთ, რომ შუშანიკ დედოფალს საშინაო წიგნსაცავი ჰქონია.

მერვე საუკუნის დასასრულსა და

მეცხრე საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა გრ. ხანძთელი, რომლის თაოსნობითაც არაერთი მონასტერი აშენდა. როგორც წესი, მონასტრებში შეჭველად უნდა ყოფილიყო საკმაო რაოდენობის წიგნები.

მელქისედექ კათალიკოსს 1020 წლის სიგელში ჩამოთვლილი აქვს: „სათანაო ოთხთავი სახარება“, „სათანაო მრავალთავი“, „მატიანენი საშინაონი“, „ჟამის წირვანი სათანაონი“.

დავით აღმაშენებელს ძალზე მდიდარი წიგნსაცავი ჰქონია. „მდიდრად შეიკრიბნა რაოდენნი პოვა გარდამოღებულად ენასა ქართველთასა სხუათა ენათაგან, ძუელნი და ახალნი ვითარცა სხუამან პტოლემოს“.

იგი თავად იყო კითხვის მოყვარული – „შემდგომად სერობისა, ნაცულად ძილისა ანუ სხუას რასმე საქმისა, ჩვეუ-

ლება ჰქონდა კითხვა ნიგნთა“, კითხვით დაღლილი, სხვებს აკითხებდა და ნაკითხულის შესახებ სჯა-ბაასსა და კამათს მართავდა.

მემატიანე წერს: „დღე და ღამე მიმოსვლათა შინა მიმდებთა, ლაშქრობათა მოუწყენელთა, შრომათა განუსუენებელთა ნიგნები ეტურთა სიმრავლესა ჯორთა და აქლემთასა; და სადა გარდახდის ჰუნესა, პირველ ყოვლისა ნიგნი მიუქუნდიან ცელითა, და არა დაცადის კითხვა, ვიდრე არა დაშურის“.

დავით მეფეს წესად ჰქონია, ნიგნს რომ ნაიკითხავდა, ბოლოში ნიშანს დაუსვამდა, ზოგიერთ ნიგნს რამდენიმე ასეთი ნიშანი აქვს გაკეთებული. მისი ერთ-ერთი საყვარელი ნიგნი „სამოციქულო“ ყოფილა, რომელიც ერთ წელიწადში ოცდაოთხჯერ ნაუკითხავს.

ქალს სამზითვოდ ნიგნებსაც ატანდნენ.

„ნიგნები, – წერს ივ. ჯავახიშვილი, – იმდენად აუცილებელი იყო ყოველი განათლებული ოჯახისშვილისა და ადამიანისათვის, რომ წესად იყო მიღებული, გასათხოვარი ქალისათვის მზითევში ნიგნები უეჭველად უნდა გაეტანებინათ“.

მზითევის სიაში ნიგნებიდან პირველი ადგილი „ვეფხისტყაოსანს“ ეკავა.

მეფე გიორგი მეცამეტის ასულს – ნინოს, მზითევში გაატანეს: „ქართლის ცხოვრება“, „სიტყვის კონა“, „ქილილა და დამანა“, „ზეილხანიანი“, „ვარდ-ბულბულიანი“, „შამი-ფარვანიანი“, „გაზაფხულისა და შემოდგომის გაბაასება“, „ანბანთ-ქება“, „მაჯამა“, „ღრამატიკა“, „რიტორიკა“, „დიალექტიკა“, „კატელორია“, „სიბრძნე-სიცრუისა“, „ვისრამიანი“, „ჩარდავრიშანი“, „მირიანიანი“, „დაფნის ქალაქი“, „ყარამანიანი“.

მზითევში გატანებული ნიგნების რიცხვი შემდეგ თანდათან იზრდებოდა და, ამგვარად, იქმნებოდა მდიდარი საოჯახო ნიგნსაცავი.

მეჩვიდმეტე საუკუნის ცნობილი პოეტის – იოსებ სააკაძე – თბილელის „დიდმოუ-

რავიანი“ მეტად გავრცელებული პოემა იყო ძველ საქართველოში.

იოსებ თბილელის სიცოცხლის პერიოდში დედოფლობდა მარიამი, რომელიც ცნობილია როგორც ქველმოქმედი და ხელშემწყობი მნიგნობრობისა და მწერლობისა. იქნებ ამ მნიგნობარ და მწერლობის მოყვარე დედოფლის რჩევითა და დახმარებით დაარსა იოსებ თბილელმა ქ. თბილისში სიონის ბიბლიოთეკა მრავალი ხელნაწერთა და ნაბეჭდი ნიგნით.

იოსებ სააკაძე-თბილელს, როგორც მდივან-მნიგნობარს, მეფის კარის კულტურული ცხოვრების მონაწილეს და მეფის (შაჰნავაზად ნოდებულ ვახტანგ V) ნდობით აღჭურვილ პირს, ი. ჟან-შარდენის გადმოცემით, ევროპასთან კულტურულ-ეკონომიკური კავშირის დასამყარებლად მოლაპარაკება უწარმოებია.

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცული უცნობი ავტორის წერილიდან ვგებულობთ, რომ იოსებ სააკაძე-თბილელის მიერ აშენებული ნიგნსაცავის კარების შესასვლელთან ერთი მარმარილოს ქვა იყო კედელში დატანებული და ზედ ეწერა: – „ეს ნიგნსაცავი აღვაშენე ტფილელმა მიტროპოლიტმა იოსებ-სააკას-ძემან, შევამკე და განვაგრცე ნიგნებით და მოვრთვი ოქსინოთი“.

იოსებ თბილელის მიერ დაარსებულ ბიბლიოთეკაში დაცულ ხელნაწერებსა და ნიგნებს ასეთი წარწერა ჰქონია – „ტფილელის იოსებისაა ეს ნიგნი“.

იოსებ ტფილელის მიერ სიონში დაარსებული ბიბლიოთეკა შემდეგ განახლებულ იქნა. ნიგნსაცავის განახლებას წინ უსწრებდა ვახტანგ მეექვსის მიერ თბილისში სტამბის გახსნა. მეფეს თბილისში სტამბისათვის საგანგებო შენობა აუგია, რომელიც მოთავსებული ყოფილა მეფის სასახლის მახლობლად, ანჩისხატისა და სიონის ტაძრებს შორის.

1878 წ. №111 „დროებაში“ ვკითხულობთ: „მეფე ვახტანგის და თბილელი ნიკოლოზ კათალიკოსის ბრძანებით, გაეგზავნათ

მთელს საქართველოს სამღვდელთა პირებს და ბევრს თავადთა და აზნაურთა ის ახლად დაბეჭდილი წიგნები და დაერიგათ მუქთად“.

მეფე ვახტანგმა დააბეჭდინა ბრძანება, რომლითაც მთელს მოსახლეობას მიმართა: „ვისაც კი რაიმე ეგულება სახლში ხელნაწერი წიგნი, წარმოადგინოს სამეფო ქალაქ ტფილისს მეფე ვახტანგის სასახლეში ან ნიკოლოზ საკათოლიკოსოს სენაკში“.

საქართველოს ქალაქებიდან და პერიფერიებიდან უამრავი ხელნაწერი მოიტანეს.

სიონის გვერდით დაუარსებიათ ხელნაწერთა საცავი, სადაც თურმე „ყოველნაირი წიგნები დაუძვრელად“ ინახებოდა.

ანონიმი ავტორი გვიამბობს, რომ კათალიკოსმა – „დომენტიმ დააარსა ბიბლიოთეკა დასაწყის მეთვრამეტე საუკუნისა, იმ ალაგსა, საცა (მეჩვიდმეტე) საუკუნეში თბილელ მიტროპოლიტს იოსებ სააკაძეს დაუარსებია“.

იმავე ცნობიდან ირკვევა, რომ – „ის წიგნსაცავი ათას რვაას სამოცი წლის შემდეგ ეგზარხი ევსევის ბრძანებით დააქციეს“.

თბილისიდან ოცდაათი კილომეტრის მოშორებით, მცხეთასთან, მტკვრის მარცხენა ნაპირზე მოთავსებულია შიომღვიმის მონასტერი, რომელიც მეექვსე საუკუნის მეორე ნახევარში დაარსებულია.

გამოქვაბული, სადაც შიომღვიმელად დასახლებულა, მალე ეკლესიად უქცევიათ, ხოლო შემდეგ კი მონასტერი გაშენებულია. მონასტერში დიდი წიგნსაცავი იყო, აქ წარმოებდა სხვადასხვა ძეგლების გადანერა და თარგმნა.

მიუხედავად იმისა, რომ შიომღვიმე საუკუნეთა მანძილზე მრავალგზის აოხრებულია და იავარქმნილა, მონასტრის ბიბლიოთეკის ერთი ნაწილი მაინც შემორჩა.

საქ. ცენტრ. საისტორიო არქივში დაცული 1872 წ. შედგენილი სიიდან ჩანს, რომ შიომღვიმის მონასტერში 85

ნაბეჭდი და ხელნაწერი წიგნი ყოფილა დაცული (ფონდი 500, საქმე №1).

თელავის სემინარიის რექტორს დავით ალექსი-მესხიშვილს (1745-1824) მდიდარი საშინაო ბიბლიოთეკა ჰქონდა, რომელიც თავისავე ცნობით, დაღუპულა ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს, 1795 წლის 22 სექტემბერს. ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია 1810 წელს შედგენილი დ. ალექსი მესხიშვილის წიგნსაცავის კატალოგი, რომელიც 1837 წელს ფრანგულად თარგმნა და დაბეჭდა მარი ბროსემ, ხოლო 1894 წელს პროფ. ალ. ცაგარელმა დაბეჭდა თავისი – „Сведения о памятниках грузинской письменности“-ის მესამე წიგნი, რომელშიც 300-მდე დასახელების წიგნი და ძველი მწერალია მოხსენებული.

თითქმის ყველა მკვლევარი, ვისაც გამოუყენებია დასახელებული კატალოგი, მას უცნობი ავტორის ნაწარმოებად სთვლიდა.

პროფ. ალ. ცაგარელსაც შენიშნული აქვს: „Возможно, что этот список (т.е. каталог) составлен Давидом Алексишвили“.


კატალოგში აღრიცხულია 271 წიგნი, დასახელებული თხზულებანი დაწერილია ქართველი ავტორების მიერ, ანდა თარგმნილია ქართულად ბერძნული ან რუსული ენიდან, VII საუკუნიდან დაწყებული – მეცხრამეტე საუკუნის პირველ ათეულ წლებამდე.

როგორც ირკვევა, ამ კატალოგით უსარგებლია თეიმურაზ ბატონიშვილს თავისი საშინაო წიგნსაცავის კატალოგის შედგენის დროს.

რუსეთის მფარველობაში შესვლისთანავე თბილისში რუსული სკოლის დაარსების საკითხი დაისვა.

კავკასიის მთავარმართებლის კოვალენსკის ინიციატივით, 1802 წლის 22 სექტემბერს თბილისში გაიხსნა პირველი რუსული სკოლა – „კეთილშობილთა სასწავლებელი“.

ამ სასწავლებელმა სულ მცირე ხანს იარსება, 1803 წ. თბილისში ჩამოსულ



ახლადდანიშნულ მთავარმართებელ პავლე ციციანოვს, არც სკოლა, არც პედაგოგები და არც მოსწავლენი არ დახვედრია. ციციანოვს მოახსენეს, რომ მოწაფეებმა თავი დაანებეს სკოლას – „ადგილობრივი ხალხის მიუჩვევლობის გამო“.

პ. ციციანოვი მაშინვე შეუდგა სკოლის აღდგენას. 1804 წ. 31 მაისს თბილისში „კეთილშობილთა სასწავლებელი“ ხელმეორედ გაიხსნა. სასწავლო საგნების შესასწავლად საჭირო იყო სახელმძღვანელოებისა და სხვა სახის ლიტერატურის შექმნა.

საქართველოს სახ. ცენტრ. საისტორიო არქივში აღმოჩენილი მასალებიდან ჩანს, რომ „კეთილშობილთა სასწავლებელს“ ბიბლიოთეკა დაარსებიდან ჰქონია, მეტიც, წიგნებისა და სახელმძღვანელოების ერთი ნაწილი სკოლას ჯერ კიდევ მის გახსნამდე რუსეთიდან უსასყიდლოდ მიუღია.

XVIII-ის მეორე ნახევარში საქართველოში სამთამადნო მრეწველობა უშუალოდ მეფე ერეკლე II-ის ზედამხედველობით მიმდინარეობდა.

1774 წ. 20 ივნისს ახტალაში ვერცხლი და ტყვია აღმოაჩინეს. ეს ამბავი მალე გავრცელდა რუსეთში.

ალ. იოსელიანი წიგნში – „ცხოვრება მეფის გიორგი XIII“-ს წერს, რომ აპოლონ მუსინ-პუშკინმა 1799 წ. 20 სექტემბერს იმპერატორ პავლეს სთხოვა ნებართვა საქართველოში წამოსვლისა, რათა დაეთვალა იერებინა და გამოეკვლია საქართველოს სამთამადნო სიმდიდრე.

ა. მუსინ-პუშკინის უშუალო მონაწილეობითა და თანამშრომლობით თბილისში დაიწყო რუსულ ენაზე, შინაურულ ვითარებაში, სცენის მოყვარულთა წარმოდგენების გამართვა. წარმოდგენებს ესწრებოდა ერეკლე II-ის ქვრივი, დედოფალი დარეჯანი და ბატონიშვილები.

ამავე დროს ეკუთვნის ა. მუსინ-პუშკინის ინიციატივით მის ბინაზე გახსნილი პირველი ტექნიკური ბიბლიოთეკა, რაც საქართველოში სამთამადნო

საქმის მესვეურთა ტექნიკური განათლების ამაღლებისათვის იყო გამიზნული.

საქ. ცენტრალურ სახ. არქივში ინახება ვინმე სიმონის 1805 წლის 3 ივნისით დათარიღებული ბარათი, მიმართული „ბატონ ობერვიტენფერვაგერი“-სადმი. წერილი შეიცავს ცნობებს მუსინ-პუშკინის მიერ საქართველოში დაარსებული ბიბლიოთეკის შესახებ. როგორც ირკვევა, გრაფის გარდაცვალებისთანავე ბიბლიოთეკიდან წიგნები დაუტაცნიათ.

წიგნების ნაწილის დაკარგვის მიუხედავად, ა. მუსინ-პუშკინის გარდაცვალების შემდეგ ყოფილა ცდა ამ ბიბლიოთეკის აღდგენისა.

იონა ხელაშვილი (1775-1837). ავტორი მრავალი საღვთისმეტყველო შრომის, ქადაგებისა და სხვადასხვა პირებისადმი მიწერილი ბარათებისა, მეგობრობდა ქართველ ფილოსოფოს სოლომონ დოდაშვილთან.

პეტერბურგში ყოფნისას იონა ხელაშვილს მრავალი წიგნი დაუგროვდა.

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცულ იონა ხელაშვილის – „სიბრძნის პოვნის წიგნი“-ს მინაწერიდან ვგებულობთ, რომ იონა ხელაშვილს ამ საშინაო სამწიგნობროში ინახებოდა თვით მისი 30 დასახელების თხზულება. ამ მდიდარი ბიბლიოთეკით სარგებლობდნენ პეტერბურგის ქართული კოლონიის წევრები და პეტერბურგში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდები.

XIX-ს-ის 20-იან წლებში გამოჩენილი რუსი მწერლის ა.ს. გრიბოედოვის გარშემო თბილისში იკრიბებოდა საქართველოში მყოფი რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის ოპოზიციურად განწყობილი პირები. 1819 წლის 21 სექტემბრიდან 1820 წლის ოქტომბრამდე საქართველოში იმყოფებოდა სახელოვანი ესპანელი რევოლუციონერი ხუან-ვან-გალენიცი, 1819 წლის ბოლოს თბილისში დაარსებული კლუბიკაზინო მათ თავშესაკრებ ადგილს წარმოადგენდა. ერმოლოვი ეხმარებოდა ახლად დაარსებულ დაწესებულებას. შეაგროვეს

საუკეთესო ლიტერატურული ნაწარმოებები და დააარსეს ბიბლიოთეკა. დაიწყეს ფრანგული და გერმანული გაზეთების გამოწერა და სამკითხველო კაბინეტების გახსნა. ა. გრიბოედოვის ბარათიდან, რომელიც 1820 წლის 25 ივნისს თავრიზიდან თბილისში ა. რიხლევსკისადმია გაგზავნილი, ვგებულობთ, რომ ხსენებული კლუბი მოთავსებული ყოფილა ფრანგ პოლის „ტრაქტირ-სასტუმროსთან“. კლუბის დაარსებისთანავე ა. გრიბოედოვი მისი აქტიური წევრი ხდება – ერთ-ერთ ბარათში იგი აღნიშნავს – „იმ კლუბის წევრი ვარ, რომელიც ყოველნაირ გაზეთებს იწერსო“.

ა.ს. გრიბოედოვს გადაუწყვეტია თბილისში საჯარო ბიბლიოთეკის გახსნა, წინასწარვე უზრუნია სათანადო წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით მის მომარაგებაზე. ის გაზეთ „სევერნაია პჩელა“-ს რედაქტორს სწერდა: – „ჩემამდე იშვიათად აღწევს „სინ ოტჩერესტვა“ და „სევერნი არხივ“-ი. „სევერნაია პჩელა“ კი საკმაოდ რეგულარულად მომდის, მაგრამ რისთვის არ მიგზავნი სხვა ჟურნალებს? უცხოურების ხსენებაც არ არის. ჰქენი სიკეთე, გაისარჯე ამისთვისაც“.

ა. გრიბოედოვს ბიბლიოთეკის გახსნის ნებართვა მიუღია, მაგრამ სუფსიდიაზე უარი უთქვამთ, წინადადება მიუციათ საჯარო ბიბლიოთეკის გასახსნელად საჭირო თანხა შემონირულობათა გზით შეეგროვებინათ.

საზოგადოებისაგან საჭირო თანხის შეგროვება არ მოხერხდა და ბიბლიოთეკა არ გაიხსნა.

პეტერბურგის უნივერსიტეტადამთავრებული, თბილისის კეთილშობილთა გიმნაზიაში მასწავლებლად გამწესებული – სოლომონ დოდაშვილი, რომელსაც მდიდარი წიგნსაცავი ჰქონია, 1828 წლის 28 ნოემბერს იონა ხელაშვილს ბარათით ატყობინებდა, რომ მან შეადგინა „რეესტრი“, ე.ი. კატალოგი, ქართული წიგნებისა: – „შევადგინე რეესტრი ქართული წიგნისა, რიცხვით ექვსასამდე

ვისგან, სად და ოდეს და თვითეული რას იპყრობს თავის შორის“.

სოლ. დოდაშვილს განზრახული ჰქონია დაეარსებინა თბილისში კერძო ბიბლიოთეკა: „ანტონ აფხაზმა გვთხოვა ყველას ვახშმად, მაგრამ რადგან მისი დედა ავად იყო, ვახშამი ჩემს ბინაზე გაიმართა, ჩვენ იქ წავიკითხეთ მონაფე მაჩაბელის თხზულებანი და ვმსჯელობდით, ვამბობდით შეგვედგინა საზოგადოება, გამოგველო ფული, ამ თანხით შეგვეძინა ბიბლიოთეკა და სტამბა“.

ასეთივე ჩვენება მისცა ვახტანგ ორბელიანმაც.

სოლ. დოდაშვილის ბიბლიოთეკა ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების გარდა, რუსულ და უცხოურ წიგნებსაც შეიცავდა.

სოლომონ დოდაშვილის ბიბლიოთეკით უსარგებლია თბილისში დროებით ჩამოსულ ელიზბარ ერისთავს, მწერალ ალ. ორბელიანსაც. 1831 წლის 9 სექტემბერს იგი წერდა სოლ. დოდაშვილს: „მონყალეო ხელმწიფევე სოლომონ ივანიჩ! „სტოსემნად-ცატილეტის“ წიგნი წავიკითხე და უმდაბლესისა მადლობით ისევ მამირთმევეია და ეგრეთვე გთხოვთ, რომელიც იმ დღეს რომ მაჩვენეთ „ღრეციის ისტორია“ მათხოვოთ და მაგ ბიჭის ხელით მიბოძოთ, რომელითაც მყოფთ მადლობელს“.

1832 წ. 9 დეკემბერს გამომჟღავნებულ შეთქმულებასთან დაკავშირებით ს. დოდაშვილი დააპატიმრეს და გადაასახლეს.

არ ვიცით, სოლ. დოდაშვილმა მოასწრო თუ არა ეკატერინე კოტოვას ბიბლიოთეკის შექმნა, ან რა ბედი ეწია მის საშინაო ბიბლიოთეკას.

ქართული ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი ძეგლია თეიმურაზ ბაგრატიონის (1782-1845) კერძო წიგნსაცავის კატალოგი.

ამ კატალოგის ფრანგული თარგმანი 1832 წ. დაბეჭდა ცნობილმა ორიენტალისტმა და ქართველთმცოდნეობის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, მარი

ბროსემ (1802-1880). აღნიშნული კატალოგი 1894 წელს გამოაქვეყნა პროფ. ალ. ცაგარელმა შრომაში – „Сведения о памятниках грузинской письменности“. ალ. ცაგარელს აღწერილი აქვს 206 დასახელების წიგნი.

1948 წ. საქ. რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ, პროფ. ს. იორდანიშვილის რედაქციითა და შენიშვნებით, გამოსცა თეიმურაზ ბაგრატიონის წიგნსაცავის კატალოგი, იმ ხელნაწერის მიხედვით, რომელიც ამჟამად აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული.

თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ ქართველი ხალხისათვის შეგროვილი ეს წიგნადი ფონდი იმპერატორ ნიკოლოზ I-მა პეტერბურგის სააზიო მუზეუმის „ცივ კედლებში გამოამწყვდია“ და ქართველი მკითხველისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომი გახადა.

1830 წლის ივლისში კოტოვის მეუღლემ – ეკატერინე კოტოვამ თბილისში კერძო ბიბლიოთეკა სამკითხველო დააარსა. 1831 წლის აპრილს ბიბლიოთეკა დახურულა.

ალექსანდრე ჭავჭავაძის მამა, გარსევანი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე იყო, მეფე ერეკლე II-ის დავალებით ბევრჯერ გაემგზავრა რუსეთს დიპლომატიური მისიით. მას დროთა განმავლობაში ხელნაწერებისა და წიგნებისაგან შემდგარი მდიდარი ბიბლიოთეკა დაუგროვდა. აქვე ინახებოდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისა და საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საბუთი. ჭავჭავაძიანთ არქივში ყოფილა გიორგი მეცამეტის მიერ გარსევანისადმი მიწერილი ორმოცამდე წერილი.

ალ. ჭავჭავაძეს დარჩა მისი სიძის, გამოჩენილი რუსი მწერლის, ალ. გრიბოედოვის არქივის დიდი ნაწილი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ინახება ივ. რახმანინოვის მიერ ფრანგულიდან რუსულად თარგმნილი, 1785 წ. პეტერბურგში გამოცემული – „Политическое завещание Г. Вольтера“.

ხსენებული წიგნი 1825 წ. 23 აპრილს ალ. ჭავჭავაძეს უჩუქებია დიმიტრი მაღალაშვილისათვის. თხზულების ყდის შიდა გვერდზე მინერილია: „Сія книга принадлежит князю Чавчавадзе“.

თბილისში, „ორბელიანთა უბანში“ მცხოვრებ ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანებს საშინაო ბიბლიოთეკა-სამკითხველო ჰქონდათ, მათი დედა – თეკლა ბატონიშვილი, ერეკლე II-ასული, ქართულ ლიტერატურაში განსწავლული და ცნობილი პოეტი ქალი იყო, მას მზითვად ერთობ მდიდარი ბიბლიოთეკა გაატანეს.

მათ ბინაზე სისტემატურად ეწყობოდა შეკრებანი, კითხულობდნენ ჟურნალ-გაზეთებს, მსჯელობდნენ პოლიტიკაზე, კითხულობდნენ ქართულ, რუსულ, აღმოსავლურ და ევროპულ მხატვრულ თხზულებებს.

ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა და ბიბლიოფილმა პლატონ იოსელიანმა პირველდანყებითი განათლება თბილისის სასულიერო სემინარიაში მიიღო. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდში დაცულია „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ (2387), რომელსაც წინ უძღვის მინაწერი: „Сей словарь принадлежит Платону Иоселианову 4-го числа 184\428“.

1838 წ. პლ. იოსელიანი დაუახლოვდა გამოჩენილ კავკასიოლოგს, აკადემიკოს მარი ბროსეს და ამ დროიდან იწყება მისი მეტად ნაყოფიერი მუშაობა.

პლ. იოსელიანი ხელნაწერების შესაგროვებლად და წარწერების ამოსაკითხავად საგანგებოდ მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და თავის მრავალ ნაბეჭდ წერილში, შენიშვნებსა და მონოგრაფიებში, მეტად საყურადღებო, საისტორიო-სალიტერატურო ხასიათის ცნობებს აქვეყნებდა.

პლ. იოსელიანს მდიდარი საშინაო ბიბლიოთეკა ჰქონდა. თავისი წიგნსაცავის შესახებ 1838 წ. 4 აგვისტოს თბილისიდან პეტერბურგში წერდა მარი ბროსეს:

„მინდა მოცლისა ჟამსა საქმიტვან უქმნა ყოვლადსა ან ჩემსა ქართულისა ენისა ბიბლიოთეკასა რეესტრი ანუ სია საცნობელად თქვენდა. ბიბლიოთეკა ჩემი ან შეიცავს უმეტეს 140 წიგნსა“.

პლ. იოსელიანი მ. ბროსეს წერდა: – „ჩემის ჰაზრით, ღირსება ლიტერატურისა აღიწონების და დაფასდების არა რაოდენობითა წიგნთათა, არამედ ვითარებითა მათითა“.

პლ. იოსელიანი სისტემატურად ამდიდრებდა ბიბლიოთეკას რუსული და ევროპული წიგნებით, ამისთვის იგი პეტერბურგის ცნობილ გამომცემელსა და წიგნებით მოვაჭრე ა. სმირდინს უგზავნიდა ფულსა და გამოსაგზავნი წიგნების სიას. 1842 წ. 14 აპრილს პლ. იოსელიანი მარი ბროსეს თბილისიდან პეტერბურგში წერდა: „ეგების სმირდინი ნახოთ და 50 ოქროსი წიგნები გამომიგზავნოს. ფული და მასთანვე სია წიგნებისა გამოვგზავნე ფორჩით... აქამდე პასუხი არ ვიცი“.

პლ. იოსელიანი დაუშრეტელი ენერგიით განაგრძობდა ძველი ქართული წიგნებისა და ხელნაწერების შეგროვებას. 1845 წლის 26 ოქტომბერს, მარი ბროსეს აცნობებს: –“კახეთში საკმაო წიგნები ვიშოვე და ძველი წერილები, გამოსადეგი ჩვენთვის, თავის დროზე მოვიხმარ და გამოვაცხადებ გაზეთში. ახალციხიდანაც ერთმან მღვდელმან ახალი ხრონიკა მომიტანა, რომელიც ეხლა გარჩევით და კრიტიკით ვსთარგმნე თავის დროზედ: ნამდვილსა და რუსულს თარგმანსა ერთად გამოვჰსცემ“.

პლ. იოსელიანის ბიბლიოთეკა მისი

გარდაცვალების მერე გაიფანტა.

1842 წ. დიმიტრი ყიფიანის თაოსნობით, თბილისში დაარსდა საბიბლიოთეკო ამხანაგობა. დამაარსებლები იყვნენ: – დიმ. ყიფიანი, ზაქარია ერისთავი, ზაქარია ფალავანდიშვილი, ვახტანგ ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი, ზაქარია ორბელიანი, კონსტანტინე დადიანი, ალექსი ონიკოვი, ლევან მელიქიშვილი, ნიკ. ბარათაშვილი, თევდორე კოცებუ, ზნაჩკო-ივანოვსკი, ნიკ. ბეზაკი, კონსტ. ორლოვსკი, მიხეილ თუმანიშვილი, დიმ. ჯორჯაძე, დავით არზანოვი, სერგეი ვასილევსკი, დავით ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ამ ბიბლიოთეკის წესდება, შედგენილი რუსულ ენაზე.


მარი ბროსემ „საბიბლიოთეკო ამხანაგობას“ შესწირა წიგნების დიდი რაოდენობა.

ბიბლიოთეკა 1843 წლის იანვრიდან მოათავსეს დიმიტრი ყიფიანის ნათელ, კომფორტულ ბინაში.

საბიბლიოთეკო ამხანაგობამ დიმიტრი ყიფიანის ბინაზე 1848 წლამდე იარსება.

მშობლიური კულტურის საქმეში ამ ბიბლიოთეკამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

1846 წლიდან საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება. დაარსდა „ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა“, რამაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ბიბლიოთეკების შემდგომ განვითარებას.



ალექსანდრე ლორია
 გურამ თაყნიაშვილი

ბიბლიოთეკათმცოდნეობის განვითარება და საბიბლიოთეკო კადრების მომზადება საქართველოში 1921-1990 წწ. (მოკლე ისტორიული მიმოხილვა)

საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის შესახებ სჯა და მოსაზრებების გამოთქმა მე-19 საუკ. II ნახევრიდან დაიწყო, როცა პრესის ფურცლებზე შესაბამისი სტატიები ჩნდება. ნამდვილი მეცნიერული მოღვაწეობა ამ მიმართულებით XX საუკ. 30-იან წლებში იწყება. თავდაპირველად თეორიული კვლევა ორი მიმართულებით წარიმართა: ერთი, რუსული ბიბლიოთეკათმცოდნეობის მონაპოვართა გადამუშავება, მეორე – დამოუკიდებელი აზრის შექმნა და განვითარება. რაც დრო გადიოდა, ქართული ბიბლიოთეკათმცოდნეობა სულ უფრო და უფრო ექცეოდა რუსული ბიბლიოთეკათმცოდნეობის გავლენის ქვეშ.

თეორიული აზროვნების ჩამოყალიბებას ხელს უწყობდა ახალი საბიბლიოთეკო სისტემის ბიბლიოთეკართა მოსამზადებელი კურსების საქმიანობა, სადაც ლექციებს გამოცდილი სპეციალისტები კითხულობენ. სალექციო მუშაობა თეორიული საკითხების დამუშავებას მოითხოვდა. ხელშემწყობ პირობებად იქცა 1923 წელს საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო კაბინეტის შექმნა, სადაც თავმოყრილი იყო მაშინდელი სპეციალისტების ძველი თუ ახალი თაობა. თავდაპირველად მას ხელმძღვანელობდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი დავით კარიჭაშვილი, შემდეგ კი ცნობილი ბიბლიოთეკათმცოდნე ივანე ციციშვილი. აქ მოღვაწეობდნენ თვალსაჩინო მეცნიერები და საბიბლიოთეკო დარგის გამოცდილი მოღვაწენი: გ. გეხტმანი, გრ. წერეთელი, მ. პოლიექტოვი, ვ. ბროსე და სხვ.

თეორიული საფუძვლების ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა სპეციალურმა პერიოდულმა ორგანომ „ნიგნის მეგობარმა“

(1925). ახალგაზრდა ქართველი ბიბლიოთეკათმცოდნეები აქტიურად მოღვაწეობდნენ აგრეთვე ხელნაწერ ჟურნალებში „მნიგნობარი“ და „ნიგნი“, მაგრამ ამ ორგანოების არსებობა ძალიან ხანმოკლე გამოდგა. სტატიები უმეტესად იბეჭდებოდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში.

განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა მუშაობა ბიბლიოთეკების მეთოდური დახმარებისათვის. ამ მიზნით გამოიცა გ. ბაქრაძის ი. როსტომაშვილის ნაშრომები, ითარგმნა ნ. ილინსკის „როგორ უნდა წიგნზე მუშაობა“, გამოქვეყნდა მეთოდური მითითებები – „როგორ უნდა მოეწყოს და ამუშავდეს სოფლის კლუბი და სამკითხველო“, „სათემო სამკითხველო“, „მოძრავი ბიბლიოთეკის მუშაობა მასობრივ მკითხველებთან“ და სხვ. ბიბლიოთეკებს მიენოდა მეტად საჭირო გამოცემები – ჩ. კეტერის „საავტორო ტაბულები“ და „საბიბლიოთეკო ტექნიკა“.

მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ არ ხდებოდა თეორიული საკითხების ღრმა, პრობლემური კვლევა. ძირითადი აქცენტი მეთოდურ მუშაობაზე იყო გადატანილი, მაგრამ ამან მაინც დიდი როლი შეასრულა მომდევნო პერიოდში საქართველოში საკმაოდ მძლავრი მეცნიერული მიმდინარეობის ჩამოყალიბებაში.

ბოლოს და ბოლოს, 30-იან წლების დასაწყისიდან სამეცნიერო მუშაობის ცენტრად რესპუბლიკური ბიბლიოთეკა იქცა. თავდაპირველად მთავარი ყურადღება აქაც მეთოდური საკითხების დამუშავებას ეთმობოდა, მაგრამ თანდათან ღრმა მეცნიერული პრობლემების კვლევასაც შეუდგნენ.

1929 წელს, როდესაც საბიბლიოთეკო-

საბიბლიოგრაფიო კაბინეტი დაიხურა, მისი საქმიანობის აღსრულება სწორედ აღნიშნულ ბიბლიოთეკას დაეკისრა, მაგრამ ამ საქმიანობამ ვერ მიიღო მწყობრი ხასიათი, ვიდრე 1930 წელს რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში ბიბლიოთეკათმცოდნეობის კაბინეტი არ შეიქმნა. აქ ხდებოდა როგორც მეთოდური, ისე მეცნიერული მუშაობა. მაგრამ რაკი ეს საქმიანობა არ იქნა მასშტაბურად მიჩნეული, 1938 წელს ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტი გაიხსნა. ის მთელი რესპუბლიკის მასშტაბით ატარებდა მუშაობას, მაგრამ მალე ნათელი გახდა, რომ პრაქტიკულ საქმიანობასთან უშუალო კონტაქტების გარეშე კაბინეტი ვერ უზრუნველყოფდა მეთოდური მუშაობის დონის ამაღლებას. რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში კი ამ დროს (1934-1940 წწ.) მეტად მაღალი მენციერული დონის „შრომები“ გამოდიოდა, რომლებშიც უაღრესად მნიშვნელოვანი ორიგინალური სამეცნიერო სტატიები იბეჭდებოდა. გარდა ამისა, ბიბლიოთეკაში რამდენიმე მეცნიერული და მეთოდური ხასიათის შრომა დამუშავდა და გამოქვეყნდა. განსაკუთრებით საგულისხმო იყო ნ. ლორთქიფანიძის სტატიები ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის მეცნიერებათა კლასიფიკაციასთან ურთიერთმიმართების, ათნილადი კლასიფიკაციის დადებითი და უარყოფითი მხარეების, კატალოგრაფია - ბიბლიოგრაფია-არქეოგრაფიის, საბიბლიოთეკო შრომის დაგეგმვისა და სხვა საკითხების შესახებ; ივ. ციციშვილის გამოკვლევა კატალოგოგრაფიის საკვანძო საკითხებზე, დ. მარკვეიჩის სტატიები შრომის ორგანიზაციისა და ნორმირებასთან დაკავშირებით და სხვ. საბიბლიოთეკო საქმის თეორიასა და მეთოდულ კარგი შენახვები იყო შ. დოლაქიძის „ათნილადი კლასიფიკაცია მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის“ და შრომები მიძღვნილი სისტემატურ და საგნობრივ კატალოგები-

სადმი, აგრეთვე გრ. ჩხაიძის „საგნობრივი კატალოგი“, გ. გიორგიძის „ბიბლიოთეკის დაკომპლექტება“, დ. მარკვეიჩის „ბიბლიოთეკათმცოდნეობის აბონემენტი საქალაქო, რაიონულ და სასოფლო ბიბლიოთეკებში“ და სხვ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ივ. ციციშვილის კაპიტალური შრომის „კატალოგრაფიის“ გამოცემას. ნამდვილ მოვლენას წარმოადგენდა 1932 წელს გამოქვეყნებული ლექსიკონი „ბიბლიოთეკათმცოდნეობის, პალეოგრაფიისა და პოლიგრაფიული წარმოების ტექნოლოგია“, რომლის შემდგენლები იყვნენ გ. ბაქრაძე და გ. ციციშვილი.


30-40-იან წლებში სისტემატურად ქვეყნდებოდა ოფიციალური სახელმძღვანელო მასალები, რომლებიც ინსტრუქციებსა და მეთოდურ მასალებსაც შეიცავდა.

40-იან წლებში რესპუბლიკური ბიბლიოთეკა განსაკუთრებით დიდ სამეცნიერო-საგამომცემლო საქმიანობას ეწეოდა ბიბლიოგრაფიის დარგში. საყურადღებოა მისი მოღვაწეობა ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის შედგენაზე. გამოიცა „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ ნაკვეთები, „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ ტომეულები. აღსანიშნავია, რომ მათი გამოცემა ომის დროსაც კი გრძელდებოდა.

ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის გამოსაცემად მომზადება ურთულესი მეცნიერული მუშაობის ტოლფასია, რაც ხშირად მძიმე კვლევა-ძიების ჩატარებას მოითხოვდა. მისი გამოცემის საქმე დაკისრებული ჰქონდა მხარეთმცოდნეობის კაბინეტს, რომელსაც ცნობილი ბიბლიოგრაფი თამარ მაჭავარიანი ხელმძღვანელობდა.

30-40-იან წლებში საინტერესო მეცნიერულ საქმიანობას ეწეოდა საქართველოს წიგნის პალატაც. 1938 წელს აქ შეიქმნა საცნობო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება და სამეცნიერო საბჭო. დაიწყო პერიოდული ორგანოს „ბიბლიოგრაფიის მოამბის“ გამოცემა, რომელიც 1948 წელს შეწყდა, მაგრამ კვლავ აქტიურად

საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა



გრძელდებოდა მუშაობა ქართული წიგნის რეპერტუარის შედგენაზე. უდაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გ. ბაქრაძის წიგნის „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიის“ გამოცემას, რომელიც წარმოადგენს არა მხოლოდ კაპიტალურ ბიბლიოგრაფიულ ნაშრომს (1947), არამედ ბიბლიოგრაფიის ისტორიის მეტად ძვირფას მასალათა თავმოყრას, რომელსაც მეცნიერული კომენტარი ახლავს.

მეცნიერული პროდუქცია ამ პერიოდში იქმნებოდა აგრეთვე თბილისის ა. ს. პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის კათედრაზე (დაარსდა 1938 წელს), რომლის ერთი ნაწილი ინსტიტუტის „შრომებში“ ქვეყნდებოდა.

საერთოდ, ეს პერიოდი საქართველოში საბიბლიოთეკო მეცნიერების აღმავლობის ხანაა. მისი დამახასიათებელია ორიგინალური აზრების განვითარება, ახალი წინადადებების წამოყენება, საინტერესო მიგნებები, პრაქტიკული რეკომენდაციები. მუშავდებოდა საკითხები, რომლებიც ქართულ ბიბლიოთეკათმცოდნეობაში განსხვავებულად განიხილებოდა. მაგალითად, ბიბლიოთეკათმცოდნეობის კვლევის საგნისა და ბიბლიოთეკათმცოდნეობის, როგორც მეცნიერების არსის გარკვევა, ბიბლიოთეკების ფუნქციონირებისა და დანიშნულების არსის გარკვევა, ტერმინოლოგიური მოსაზრებები, დამოუკიდებელი ცნებების შემოტანა, საბიბლიოთეკო შრომის ნორმატივების არაორდინალური გადანყვეტა, კორპორაციული ავტორის გამოყენება, გეგმის ტექნიკური გაანგარიშების ორიგინალური სისტემის შექმნა და სხვ. ნორმატივებისა და საგეგმო მაჩვენებელთა გაანგარიშების მენციერული წინადადებებით საკავშირო მეცნიერული ცენტრებიც კი დაინტერესდნენ. ყოველივე ამან ხელი შეუწყო საქართველოში ბიბლიოთეკათმცოდნეობის ორიგინალური სკოლის ჩამოყალიბებას. მართალია, მას დიდხანს არ უარსებია, რაც გამონვეული იყო მთელ კავშირში გამე-

ფებული ცენტრალიზაციის და ადგილობრივი ინიციატივების შეკვეცით. ამას დაემატა ომის მძიმე შედეგები და უკვე 50-იან წლებიდან სამეცნიერო მუშაობა საბიბლიოთეკო სფეროში საგრძნობლად დაქვეითდა. აღარ არსებობდა ამ დარგში არვითარი პერიოდული ორგანო. მეცნიერებაში დაკანონდა პრაქტიკული რეკომენდაციების პრიორიტეტი. მეცნიერული ნაშრომი ფასდებოდა იმით, თუ რა პრაქტიკულ რეკომენდაციებს იძლეოდა ის. ზემდგომი ორგანიზაციების ზეგავლენით დამკვიდრდა მეცნიერული კოლექტივის მიერ ერთთემიანობის პრინციპი, რამაც ნიადაგი გამოაცალა ინდივიდუალურ ინტერესებს, პიროვნების ინიციატივას. საერთო თემების შერჩევა ხშირად ხდებოდა მექანიკურად, ფორმალურად.

წამოჭრილმა ეკონომიურმა პრობლემებმა ზედმინევენით გაართულა ნაშრომების გამოცემის საქმე. მიუხედავად ამისა, ქართველი მეცნიერები ამ პერიოდშიც ახერხებდნენ თავიანთი ნაშრომების გამოქვეყნებას, მაგრამ ძირითადად მაინც ძალაში რჩებოდა პრაქტიკული რეკომენდაციების პრიორიტეტი.

მნიშვნელოვანი იყო ამ ხანში გამოქვეყნებული წიგნები: გრ. ჩხაიძის „წიგნების კლასიფიკაცია“ და „საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის სქემა“, ნ. ლორთქიფანიძის „ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის სისტემები“, „საგნობრივი კატალოგი“ და „სისტემატური კატალოგი“, ფ. ყურაშვილის „საქართველოს მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების ორგანიზაცია“ (რუსულ ენაზე) და სხვ. ქვეყნდება მრავალი მეთოდური სტატია. გამოდის უკვე საბიბლიოთეკო დარგში საკმაოდ ნაცადი სპეციალისტების ნაშრომები. მათგან გამოირჩეოდნენ: ქ. ბერიშვილი, ლ. კვირიკაშვილი, გ. კარბელაშვილი, გრ. კიპაროიძე, გრ. მუხაშავერია, ო. ოსაძე. ძირითადად ისინი მეთოდური ხასიათის რეკომენდაციებზე მუშაობდნენ. საყურადღებო იყო აგრეთვე გრ. ჩხაიძის, გ. ბერულავას და სხვების მოწინავე გამოც-

დილების ამსახველი ნაშრომები. ყურადღება დაეთმო საბიბლიოთეკო საქმის ისტორიულ საკითხებსაც. ამ მხრივ აღსანიშნავი იყო ცნობილი სპეციალისტის ვლ. უზნაძის მონოგრაფია „თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ისტორია“ (რუსულ ენაზე).

სამეცნიერო-მეთოდოლოგიური მუშაობა ძირითადად მსხვილ საბიბლიოთეკო ცენტრებში მიმდინარეობდა, ისიც თითქმის მთლიანად დედაქალაქში. მეტად მწირად გამოიყურებოდა ავტონომიური რეგიონებისა და სხვა ქალაქების ბიბლიოთეკები. მხოლოდ ეპიზოდურად თუ გამოჩნდებოდა მათი პროდუქცია, ისიც უმეტესად ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები.

60-იან წლების დასაწყისიდან მეცნიერული მოღვაწეობა ძლიერდება ბიბლიოთეკათმცოდნეობის კათედრაზე, რომელსაც ნ. ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობს.

კათედრა კოორდინირებულად მოქმედებს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან (დირექტორი ვლ. უზნაძე), სადაც საგამომცემლო განყოფილებაა შექმნილი. ეს ურთიერთობა ბოლომდე გაგრძელდა, რის წყალობითაც არაერთი მნიშვნელოვანი შრომა გამოქვეყნდა.

60-80-იან წლებში რესპუბლიკური ბიბლიოთეკა მთლიანად გადადის მეთოდოლოგიური პროდუქციის შექმნასა და გამოქვეყნებაზე. დიდი რაოდენობით გამოიცემა სარეკომენდაციო სიები, მეთოდური მითითებები, კონფერენციებისა და გამოცდილების ამსახველი მასალები. სხვადასხვა დროს ამ საქმით დაკავებული იყვნენ ცნობილი სპეციალისტები: გ. ბერულავა, ნ. აკერმანი, ფ. ყურაშვილი, გრ. კიპაროიძე, მ. პაპიძე, ს. პულუზაშვილი, ს. მეფარიშვილი და სხვანი. მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში კეთდებოდა, იყო ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის ნაკვეთების გამოცემის გაგრძელება, აგრეთვე სახელმძღვანელო მასალების კრებულის შედგენა და გამოქვეყნება, „საბიბლიოთეკო ტექნიკის მინიმუმის“ დაბეჭდვა.

საგამომცემლო სირთულეებთან დაკავშირებით თანდათან მცირდება ბეჭდური პროდუქციის გამოქვეყნება წიგნის პალატის მიერ. დროულად ვერ გამოდის „მატიანეები“, ბოლოს მთლიანად შეწყდა ბეჭდური ბარათების გამოცემა, დიდი დაგვიანებით გამოდის „ქართული წიგნის“ გაგრძელებები.

„ქართული წიგნი“ სამაგალითო ნაშრომია ეროვნული რეპერტუარის შექმნის საქმეში, რომელსაც ბადალი არ მოეპოვებოდა საბჭოთა კავშირში. იგი ფაქტობრივად საქართველოს დიდი ბიბლიოთეკების შეერთებულ კატალოგსაც წარმოადგენს. შესრულებულია მალალ მეცნიერულ დონეზე, დართული აქვს უმდიდრესი სამეცნიერო დამხმარე აპარატი.

ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის დარგში მეცნიერულ მუშაობას. თავიდანვე ეწეოდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, მაგრამ ამას უმეტესად ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა. ძირითადად ხდებოდა უნივერსიტეტის სამეცნიერო პროდუქციის ბიბლიოგრაფირება. აღნიშვნის ღირსია ან. კასრაძის „პირველი ქართული გაზეთის ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, რომელიც თავისი კომენტარებით ღრმა მეცნიერულ დამუშავებას წარმოადგენს. ასევე მნიშვნელოვანია ან. კასრაძის სტატია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ისტორიის შესახებ, რომელიც შრომების კრებულში გამოქვეყნდა.

ფრიად ნაყოფიერი აღმოჩნდა მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის კონტაქტები ბიბლიოთეკათმცოდნეობის კათედრასთან. გამოიცა ნ. ლორთქიფანიძის რამდენიმე წიგნი – „ბიბლიოთეკების კატალოგების ორგანიზაცია“, „ცენტრალიზებული კატალოგიზაცია“, „განსაკუთრებული სახის გამოცემების კატალოგიზაცია“, „ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის ისტორია“ და სხვ. გამოდის აგრეთვე ვლ. უზნაძის მონოგრაფია „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო

ბიბლიოთეკა“. ბიბლიოთეკის მიერ წლების მანძილზე მომზადდა და გამოიცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოცემათა ბიბლიოგრაფიის ტომეულები, აკადემიკოსთა ბიბლიოგრაფიული სერიის მაჩვენებლები, ბიულეტენები; კათედრასთან თანამონაწილეობით გამოიცა: ა. ლორიასა და გურგენიძის „საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში“ (1921 წლამდე)“, ამავე ბიბლიოთეკის ინიციატივით გამოქვეყნდა ა. ლორიას „კითხვის ფსიქოლოგიური საკითხები: ბიბლიოფსიქოლოგია“, „კითხვა როგორც კვლევის საგნი. ლექტოლოგიური პრობლემატიკა“, „მკითხველებთან მუშაობის მეთოდები და მომსახურების ორგანიზაცია“. მეტად მნიშვნელოვანი იყო ნ. გურგენიძისა და ი. გორგაძის მიერ შექმნილი მონოგრაფიების გამოცემები: „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ქრონიკები“, „აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების ქრონიკები“, „ი. გოგებაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ქრონიკები“.

ამავე ბიბლიოთეკის მიერ გამოქვეყნდა ნ. სიხარულიძის მონოგრაფია „ნაბეჭდი კატალოგები საქართველოში“, გ. გიორგიძისა და გ. კარტოზიას „საბიბლიოთეკო ტერმინების ლექსიკონის“ ორი გამოცემა, „ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკის კატალოგის“ ტომეულები და სხვ.

„საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოება“ პერიოდულად ხელს უმართავს საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიულ დარგში მეცნიერ მუშაკებს თეორიულ-მეთოდოლოგიური ლიტერატურის გამოცემაში. გამოიცა ბიბლიოგრაფია კითხვის კულტურის შესახებ, ა. ლორიასა და ნ. გურგენიძის „საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაცია“ I და II ნაკვეთები, ა. ლორიას „კითხვის კულტურა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები“, და სხვ. საზოგადოება აქვეყნებს სპეციალურ კალენდრებს, გამოსცემს ყოველწლიური კრებული „მნიგნობარი“.

სხვადასხვა გამომცემლობის მიერ არაერთი ბიბლიოგრაფიული ნაშრომი იქნა

გამოცემული. განსაკუთრებით საყურადღებო იყო გ. მიქაძის მოღვაწეობა ძველი ქართული ხელნაწერების შესწავლა-ბიბლიოგრაფირებაში, აგრეთვე ფსევდონიმებისა და კრიპტონიმების გახსნისა და ამ დარგის თეორიის ჩამოყალიბების საქმეში.

მრავალი ნაშრომი ქვეყნდება ისეთ მომიჯნავე დარგში, როგორცაა წიგნმცოდნეობა და წიგნის ისტორია. ამ მიმართულებით ბევრი ცნობილი მეცნიერი და მკვლევარი მოღვაწეობდა: დ. კარიჭაშვილი, ზ. ჭიჭინაძე, ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, გრ. წერეთელი, ა. ჩიქოვავა, ტ. ხუნდაძე, პ. გუგუშვილი, ქ. შარაშიძე, ე. ლორთქიფანიძე, ე. მაჭავარიანი, ვ. ბერიძე, ი. ლოლაშვილი, ლ. მენაბდე, ო. კასრაძე, ო. გვინჩიძე, ზ. ჭუმბურიძე, მ. გოცაძე, ვ. მაცაბერიძე, ა. იოსელიანი, გ. ჯავახიშვილი, გ. შარაძე, გ. ჭელიძე და სხვ. გამოკვლევანი დიდად უწყობდნენ ხელს საბიბლიოთეკო საქმისა და ბიბლიოგრაფიის თეორიის განვითარებას, ქმნიდნენ რა მის მეცნიერულ ბაზას.

ბიბლიოთეკათმცოდნეობის კათედრა მეცნიერული მოღვაწეობის პროცესში კონტაქტებს ამყარებდა რესპუბლიკურ საბავშვო ბიბლიოთეკასთანაც. ამ ურთიერთობის შედეგად გამოიცა ფ. ყურაშვილის მონოგრაფია „საბიბლიოთეკო საქმის განვითარება საბჭოთა საქართველოში“, რამდენიმე მეთოდური წიგნი ბავშვებთან მუშაობის საკითხებზე.

კათედრის მეცნიერული მოღვაწეობა განსაკუთრებით გაფართოვდა 60-80-იან წლებში. სახელმძღვანელოების ნაკლებობის გამო აქცენტი გადატანილ იქნა სახელმძღვანელოებსა და სალექციო კურსების გამოქვეყნებაზე. გამოქვეყნდა ფ. ყურაშვილის სახელმძღვანელოები „საბიბლიოთეკო საქმის ეკონომიკა“ და „საბიბლიოთეკო საქმის ხელმძღვანელობა და მართვა“, ლ. კვირიკაშვილისა და ოსაძის „ბეჭდვით ნაწარმოებთა აღწერა და ანბანური კატალოგი“, რომელიც ორგზის გამოიცა; გ. გიორგიძის „საბავშვო ლიტე-

რატურის ბიბლიოგრაფია“, ნ. ლორთქიფანიძის „ბიბლიოთეკათმცოდნეობა, მისი საგანი და ამოცანები“. გრძელდებოდა მეცნიერული პროდუქციის შექმნა. დაიბეჭდა ო. ოსაძის „ბეჭდვით ნაწარმოებთა აღწერა“, ლ. კვირიკაშვილის „არალეგალური ლიტერატურა რევოლუციამდელ საქართველოში“, ფ. ყურაშვილის და ოსაძის „სასკოლო ბიბლიოთეკა“; წარმატებით მოღვაწეობს კათედრის წევრი ა. ოთაროვა ქართული შექსპირიანას დარგში, აგრეთვე ზ. ტყაბლაძე – ქართულ პერიოდულ ორგანოებში საბავშვო ლიტერატურის ბიბლიოგრაფირების საქმეში. რამდენიმე სალექციო კურსს აქვეყნებენ ა. ოთაროვა, ქ. ფოფხაძე, ა. ლორია.

იშვიათად, მაგრამ მაინც, ხდებოდა რუსულიდან თარგმნილი მასალის გამოქვეყნება. რუსულიდან ითარგმნებოდა „საბიბლიოთეკო ტექნიკის მინიმუმი“, „სახელმძღვანელო მასალების კრებულები“. ჯერ კიდევ 40-იანი წლების დასაწყისში ითარგმნა სახელმძღვანელო „მკითხველთა მომსახურება ბიბლიოთეკაში“, „წიგნი და მკითხველი“. კათედრის წევრმა ქ. ფოფხაძემ თარგმნა და გამოაქვეყნა ი. გრიგორიევის მონოგრაფია „ბიბლიოთეკის ფონდების ორგანიზაცია“.

კათედრა მთელი მისი არსებობის განმავლობაში სისტემატურად ადგენდა მეცნიერული მუშაობის გეგმებს. ბევრი ნაშრომი აპრობაციის შემდეგ ქვეყნდებოდა, ზოგიც ხელნაწერის სახით გამოიყენებოდა.

80-იანი წლების დასასრულს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მომზადდა გამოსაცემად გ. თაყნიაშვილის ნაშრომი „ბიბლიოთეკათმცოდნეობის განვითარება საბჭოთა საქართველოში“. წიგნი გამოიცა 1989 წელს და იმთავითვე დიდი ყურადღება მიიქცია: მასში მოცემულია ღრმა ანალიზი საბჭოთა პერიოდში წარმოებული სამეცნიერო მუშაობისა და თითქმის ამომწურავადაა განხილული ყველა მნიშვნელოვანი დეტალი.


საბიბლიოთეკო და ბიბლიოგრაფიულ

სფეროში ნაყოფიერმა მეცნიერულმა მოღვაწეობამ დიდად შეუწყო ხელი კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმის ხარისხის გაუმჯობესებას.

როგორც ცნობილია, კადრების მომზადების საქმე საქართველოში 20-იან წლებიდანვე დაიწყო, მაგრამ ეპიზოდურად გამართული კურსების იქეთ არ წასულა. მხოლოდ 30-იან წლებში იწყება კადრების მომზადების საქმის მოწესრიგება. 1935 წელს თბილისის პედტექნიკუმთან გაიხსნა საბიბლიოთეკო სექტორი სამწლიანი სწავლების კურსებით, ხოლო სპეციალური საშუალო სასწავლებელი თბილისში დაარსდა 1935 წელს – „პოლიტგანსასწავლებელი“ საკლუბო და საბიბლიოთეკო განყოფილებებით. 1938/1939 სასწავლო წელს ამგვარი სასწავლებლები ფუნქციონირებას იწყებს ქუთაისში, მოგვიანებით – ზუგდიდსა და ბათუმში. აქ კადრები მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის მზადდებოდა, მაგრამ იგრძნობოდა სასწავლო საშუალებათა სიმცირე და პროფესიონალ პედაგოგთა ნაკლებობა.

უმალლეს საბიბლიოთეკო განათლებას საქართველოში საფუძველი 1938 წელს ჩაეყარა, როდესაც თბილისის ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტში ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტი გაიხსნა, 2-წლიანი სასწავლო პროგრამით, რომელიც ფართოდ იყენებდა რუსეთის შესაბამისი სასწავლებლების გამოცდილებას.

1946 წ. ინსტიტუტი 4 წლიანად გადაკეთდა. კათედრას დიდი მუშაობა მოუწია იმისათვის, რომ რამდენადაც შეიძლებოდა, სწავლების პერიოდში ადგილობრივი გამოცდილება ყოფილიყო დანერგილი. თანდათან სასწავლო გეგმები და პროგრამები თითქმის მთლიანად ერწყმოდა რუსეთის გეგმებსა და პროგრამებს; მთელ კავშირში ცენტრალური მართვის წესი დაინერგა. რესპუბლიკის პირობების გასათვალისწინებლად საათების მინიმალური გამოყოფა იყო



გათვალისწინებული.

უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტთა პირველი გამოშვება 1940 წელს მოეწყო. 80-იან წლებში ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრა, როგორც მას იმჟამად ეწოდებოდა, კულტურისა და ესთეტიკური აღზრდის ფაკულტეტში შედიოდა და სწავლების ვადა 5 წლამდე გაიზარდა. შეიქმნა ასპირანტურა. დარგის სპეციალისტები სხვადასხვა საკვალიფიკაციო საბჭოებში იცავდნენ დისერტაციებს, ძირითადად პედაგოგიკის საბჭოში. 70-80-იან წლებში ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის დარგში მომუშავეთაგან სამეცნიერო ხარისხი 15-მდე სპეციალისტმა დაიცვა.

სხვადასხვა დროს საბიბლიოთეკო კადრები მზადდებოდა როგორც დღის, ისე საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე. საღამოს განყოფილება ვერ ამართლებდა თავის დანიშნულებას, რის გამოც ის გაუქმდა. 80-იან წლებიდან საგრძნობლად შემცირდება კონტინგენტის მომზადების რაოდენობა. მიუხედავად ამისა, კათედრაზე არ შენელებულა სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო მოღვაწეობა.

მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც 90-იან წლებამდე გრძელდებოდა, ათასობით უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების ბიბლიოთეკარი და ბიბლიოგრაფი მომზადდა, მაგრამ საქართველოს ბიბლიოთეკები ყოველთვის მწვავედ განიცდიდნენ სპეციალისტთა ნაკლებობას. ამ ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, სხვადასხვა უწყებისა და კულტურის სამინისტროს ქსელში ხშირად ეწყობოდა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. 1973 წლიდან კულტურის სამინისტროს მიერ შექმნილ იქნა მუდმივმოქმედი კურსები, რომელიც გეგმიური წესით ახდენდა ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლებას. ამგვარი კურსები ჰქონდა გახსნილი პროფესიულ კავშირებსაც. დადგენილი პერიოდულობით კვალიფიკა-

ციის ამაღლების საქმეს ეწეოდა მასწავლებელთა დახელოვნების რესპუბლიკური და თბილისის საქალაქო ინსტიტუტები.

სამეცნიერო და მეთოდოლოგიური მუშაობის საქმისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა რესპუბლიკაში სხვადასხვა უწყებების მიერ გამართული სამეცნიერო სესიები, კონფერენციები, სემინარები, გამსვლელი ღონისძიებები, თათბირები, სადაც აქტუალური სამეცნიერო და პრაქტიკული საკითხები იხილებოდა, მაგრამ 80-იანი წლების II ნახევარში თავი იჩინა ქვეყნად ეკონომიკურმა კრიზისმა და თანდათან შეიკვეცა ამგვარი სამუშაოები. მართალია, გამოიცა რამდენიმე მონოგრაფია, მეთოდოლოგიური ბროშურა და დამხმარე სახელმძღვანელო, მაგრამ მკვეთრად შემცირდა მათი რიცხვი. ნაკლებად მუშავდებოდა აქტუალური თემები, შეწყდა კონტაქტები რუსეთის დიდ საბიბლიოთეკო ცენტრებთან, ადრინდელად აღარ იგზავნებოდნენ რუსეთისა და სხვა რესპუბლიკებში სპეციალისტები გამოცდილებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად. თვით საქართველოშიც პროვინციები სავსებით მოწყდნენ დედაქალაქს. ამან საგრძნობი ჩამორჩენა გამოიწვია, რაც დღემდე გრძელდება. ცხადია, ეს სხვა ობიექტურმა მიზეზებმაც განაპირობა, მაგრამ მთავარი მაინც მეთოდოლოგიური საქმის უგულებელყოფაა. საბიბლიოთეკო საქმის თეორია და პრაქტიკა უმძიმეს პირობებში აღმოჩნდა და უკვე 90-იანი წლების დასაწყისისათვის ის სავსებით დაკნინდა და თითქმის სრულ განადგურებამდე მივიდა.


ლიტერატურა:

თაყნიაშვილი გ. ბიბლიოთეკათმცოდნეობის განვითარება საქართველოში: (1900-1985 წწ.) – თბ., 1989.

ყურაშვილი ფ. საბიბლიოთეკო საქმის განვითარება საბჭოთა საქართველოში: (1921-1974 წწ.), მონოგრაფია. – თბ., 1976.



პალეოგრაფიულ- ნიგნმცოდნეობითი ტერმინები ქართულში. კაბადონი



ბადრი ცხადაძე

კაბადონი დღევანდელ ქართულ ენაში პალეოგრაფიულ-ნიგნმცოდნეობითი ტერმინია. ქართული ენის გარმარტებითი ლექსიკონის მეოთხე ტომის მიხედვით, კაბადონი ძველი სიტყვაა, ნიშნავს დანერვილი ფურცლის ცალ პირს ანუ გვერდს. განმარტებისას დამონმებულია სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“ [1,1001]. აქედან წარმოიშვა ფიგურული გამოთქმა ცის კაბადონი „ცის კამარა“. შდრ. „ცის კიდური“. ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში, ასევე ი. აბულაძისა [2] და ზ. სარჯველაძის [3] ძველი ქართული ენის სალექსიკონო მასალებში ეს სიტყვა არ ჩანს. ძველ ქართულ პალეოგრაფიულ ტერმინებს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა და ცალკე ნიგნადაც გამოსცა მ. სურგულაძემ. თუმცა ამ ნაშრომში (რადგან სიტყვა ძველად ქართულ წერილობით ძეგლებში არ ასახულა) კაბადონი მკვლევარს არ განუხილავს [4].

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, კაბადონი ფურცლის ცალ პირს ეწოდება, ხოლო კაბადონის ნახევარს – გვერდი [5]. ამავე ნიგნში, იქვე, ლექსიკოგრაფს შეუტანია ამ სიტყვის ფონეტიკურად სახეცვლილი კაპატონიც (ბ→პ, დ→ტ, მჟღერი ბ და დ ბგერების დაყრუება-გამკვეთრების გზით წარმოქმნილი). რაც ასე განუმარტავს: კეფი, ნიგნის ფურცელი [5]. დავით და ნიკო ჩუბინაშვილებიც ორივე ფორმას იცნობენ. კაბადონი||კაპატონი – წერილთ ფურცლის ცალი გვერდი, страница [6,585], [7, 241].

კაბადონი რომ მართლაც ძველი ქართული სიტყვა უნდა იყოს, ამის

შესახებ ივ. ჯავახიშვილიც აღნიშნავს. ბატონი ივანეს თქმით, „ამჟამად XVIII ს-ზე ადრინდელი ძველი ხელთ არ მაქვს, რომელშიაც ტერმინი კაბადონი იყოს ნახმარი, მაგრამ, თვით სიტყვა ძველია და მომავალში ამაზე უფრო ადრინდელი ძეგლებიდანაც შესაძლებელი იქნება ამონაწერების მოყვანა. 1800 წლის ერთ ხელნაწერში აღნიშნულია: „უმეტესად მუფლთა ზედა... ვჰსწერენ კაბადონი ამისნი“-ო (დამონმებულია თ. ჟორდანიას Опис. I. გვ. 293) [8, 63-64]. მისივე დასკვნით, ირკვევა, რომ იმას, რასაც ახლა გვერდს ვუწოდებთ, ძველად კაბადონი ჰრქმევია, ხოლო გვერდები მაშინ ფურცლის ზედა და ქვედა პირზე, ერთ გვერდზე ორ სვეტად ნაწერის სვეტებს ეწოდებოდა და გვერდი სწორედ „ნახევარს კაბადონისას“ ანუ ერთ სვეტს აღნიშნავდა... [8, 64]. თ. ბაგრატიონის განმარტებითაც, კაბადონი წერილის ერთი ფურცელია [9, 67]. ვფიქრობთ, კაბადონი||კაპატონი ლექსემა წარმოშობით ქართულია, რასაც მხარს უჭერს ქართული ენის დიალექტური მონაცემები. კერძოდ, დ. ჩუბინაშვილის განმარტებით, კაბდო ფარცხის წინ მიკრული გრძელი ფიცარია, доска бороновая, კაბდო-ლასტი борона [6, 586]. ფშაურ კილოშიც კაბდო, ახლაც ფარცხის ფიცარს ჰქვია, რომელიც ასწორებს და აფხვიერებს ხნულს, მინის გოროზებს [10, 116]. ქიზიყურშიც კაბდო ფარცხის წინ მიბმული ფიცარია, ჩაქზე დგას, გორანს ამტვრევს, ფშვნის და ხნულს ასწორებს [11]. კაბდო დღევანდლამდე შემოუნახავს მეგრულსაც: კაბდო – საფარცხი, ნიადაგის დასამუშავებელი ხის



ინვენტარი [12, 191], აგრეთვე გვხვდება კაპიტო-ს სახითაც [13, 75]. ქართული ენის იმერულ დიალექტში კაბდო სიტყვა-ფორმის გვერდით კაპტო გვაქვს: კაპტო – ბადიმი [14, 79]. ეს უკანასკნელი კი, ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით, ორმოს პირია ოთხკუთხედად ამოგებული ხეებით [7, 147]. გურულ კილოში კი კაპო (ტ||დ თანხმოვნის დაკარგვის შედეგად) მიწის გასაფხვიერებელი მაგარი ფიცარია [1, 1066].

აღსანიშნავია, რომ ქართული ენის ქართლურ დიალექტში დღემდე შემორჩენილია ხატოვანი გამოთქმა კაბდოს გადატარება, რაც ნიშნავს მტრის ნავნებს, განადგურებას, აოხრებას, აკლებას [15, 60]. კაბდოსთან კავშირში უნდა იყოს კაბდურ სიტყვა, რომელიც ძველად ერთ-ერთ სიმღერას ერქვა [1, 1004].


კაბადონ სიტყვაფორმის სახეცვლილი ვარიანტია კადონი, რომელსაც ნ. ჩუბინაშვილი ასე განმარტავს: „ძელი ფრიალოთა ზედა გასადები ხარისხედად მოსწორებიათვს მიწისა დასათესად“, ან სხვაგვარად: „დაბმულთა ცხენთა შორის გადებული ლატანი, რომ ერთმანეთს არ ერჩოლონ“ [7, 241], „გასადები ძელი ან ლატანი, перекладина, брус [6, 587].

და ბოლოს: კადონ-სოსდიალექტური, ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტი შემოუნახავს ზემოიმერულ კილოკავს კადო ფორმით, რაც ქ. ძონენიძეს ასე განუმარტავს: კადო – ერდოიან სახლში შუაცეცხლის ზევით დირეზე გადებული ლატნები [16, 182].

ამრიგად, კაბადონ ლექსემის, როგორც პალეოგრაფიულ ნიგნმცოდნეობითი ტერმინის ძველთაგანვე არშემონახვის მიუხედავად, ძველ საქართველოში მაინც უნდა გვექონოდა, რაზეც მიგვანიშნებს ქართულ ენაში დღემდე არსებული ხვნათესვისა და სამშენებლო ლექსიკის მასალები (სვანურში ეს სიტყვა არ ჩანს, ალბათ მთიანი რელიეფის გამო...)

კაბადონ და მისგან წარმოქმნილ-სახეცვლილი დიალექტურ-ფონეტიკური სიტყვა-

ფორმების წარმოშობა-წარმოების გზა ასე წარმოგვიდგენია:



გურ. კაპო ← იმერ. კაპტო || → მეგრ. კაპიტო (როგორც ჩანს, იმერული კილოდან შეუთვისებია მეგრულს, შდრ, „პალტო“, მაგრამ იმერ. „პალიტო“...)

ამ სიტყვებში ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით, უხვადაა წარმოჩენილი ქართული ენის სიცოცხლისუნარიანობა, ენობრივი პროცესები: მჟღერი თანხმოვნის დაყრუება-გამკვეთრება (კაბადონ → კაპატონ) კაბადონი, ბოლოკიდური ნ სონორი ბგერის მოკვეცა სიტყვის აუსლაუტში (აბსოლუტურ ბოლოში): კაბდო (→ კაპტო), სადაც ფუძისეული ა ხმოვანიც ამოვარდნილა, მეგრულში კი პირიქით: ი ხმოვანი გაჩენილა: კაპტო → კაპიტო, სიტყვასწარმოებელი -ურ სუფიქსის დართვისას კი კაბდოსეული ო ხმოვნის კვეცა-ჩამოშორება მომხდარა: კაბდოური → კაბდური (შდრ. ტოპონიმი ხადო, აქედან გვარსახელი ხადური...), სხვა შემთხვევაში ბა მარცვალის დაკარგულა: (კაბადონ → კადონ) და ბოლოკიდური ნარც: კაბადონ → კადონ → კადო.

ისტორიულად კაბადონ სასოფლო-სამეურნეო ტერმინის თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო ლატნის (ლატნების, მინიმუმ ორი მაინც...), ფიცრის მნიშვნელობით გამოყენება, რომელიც დროთა განმავლობაში ნიგნმცოდნეობით-პალეოგრაფიულ ტერმინად ქცეულა: - ფიცარი (ფიცრის ორივე მხარე, რომელზეც წერა, ჭრა-ამოკვეთა შეიძლება, სხვათა შორის, ძველ რომში ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე სხვადასხვა ამბის შემცველი კრებულები (მაგ., სენატის სხდომათა მოკლე ოქმები, აგრეთვე რომაელთა ცხოვრების ფაქტები, მოვლენები, განცხადებები) იწერებოდა განსაკუთრებულ დაფა-ფიცარზე (რომელიც დაფარული



იყო თაბაშირით და ათავსებდნენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში [17, 17-18], რაც მსოფლიო ჟურნალისტიკის გარიჟრაჟად, ამ ჰუმანიტარული დარგის მცდელობა-ჩანასახად შეიძლება მივიჩინოთ.

შეიძლება დავასკვნათ: არაერთი ქართული წიგნმცოდნეობით პალეოგრაფიული ტერმინი ისტორიულად წარმოქმნილა სასოფლო-სამეურნეო და სამშენებლო ლექსიკიდან (ფურცელი და სხვ), ამ მხრივ არც კაბადონია გამონაკლისი და, ვფიქრობთ, ეს არცაა გასაკვირი, ჩვენი წინაპრები, მათი წინაპართა წინაპრები ხომ იმთავითვე მშვიდობისმოყვარე მინათმოქმედები იყვნენ.

დამონმებული ლიტერატურა:

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: (რვატომეული); ტ. IV. /არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. - თბ., 1955.
2. აბულაძე ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი: (მასალები). - თბ., 1973.
3. სარჯველაძე ზ. ძველი ქართული ენის ლექსიკონი: (მასალები). - თბ., 1995.
4. სურგულაძე მ. ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები. - თბ., 1978.
5. ორბელიანი სულხან-საბა. თხზულებანი ოთხ ტომად, ლექსიკონი ქართული: ტ. IV. /ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ. - თბ., 1965.
6. ჩუბინაშვილი დ. ქართულ-რუსული ლექსიკონი: მეორე გამოცემა, აღდგენილი ოფსეტის წესით. / სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ. - თბ., 1984.

7. ჩუბინაშვილი ნ. ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ. /ალ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით. - თბ., 1961.

8. ჯავახიშვილი ივ. ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია: მეორე გამოცემა. - თბ., 1949.

9. ბაგრატიონი თ. წიგნი ლექსიკონი. /გამოსაცემად მოამზადა გ. შარაძემ. - თბ., 1979.

10. ხორნაული გ. ფშაური ლექსიკონი. /ალ. ლლონტის რედაქციით. - თბ., 2000.

11. მენთეშაშვილი სტ. ქიზიყური ლექსიკონი. /ვ. თოფურიას რედაქციით. - თბ., 1943.

12. ელიავა გ. მეგრულ-ქართული ლექსიკონი: (მასალები); /ვ. დანელიას რედაქციით, - თბ., 1997.

13. ჭარაია პ. მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი: კრებული. /შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა დ. თვალთვაძემ; ზ.სარჯველაძის რედაქციით. - თბ., 1997.

14. გაჩეჩილაძე პ. იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა. - თბ., 1976.

15. შატბერაშვილი გ. თვალადური ქართულის ჭაშნიკი. - თბ., 1964.

16. ძონენიძე ქ. ზემოიმერული ლექსიკონი. - თბ., 1974.


17. გაგოშიძე შ. ჟურნალისტიკის საფუძვლები. - თბ., 1996.

შემოკლებანი:

გურ. - გურული კილო.

იმერ. - იმერული კილო.

მეგრ. - მეგრული (ზანური ენის მეგრული კილო).





ღირსეული წინაპრები

ნიკოლოზ ბარათაშვილი - 190

მიმდინარე წელს შესრულდა ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 190 წელი. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ვაქვეყნებთ ბიბლიოთეკათმცოდნე გურამ თაყნიაშვილის ნარკვევს ბიბლიოგრაფიული რეფერატის სახით. ის გვაცნობს ადრინდელ ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ ფრაგმენტებს, რომლებშიც ასახულია დიდი მგოსნის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებული მოვლენები. იმედია, ჩვენი ბიბლიოთეკები ღირსეულად გამოეხმაურებიან დიდი პოეტის საიუბილეო თარიღს და კორესპონდენციებით გაგვაცნობენ იმ ღონისძიებებს, რომლებსაც ისინი ამ თარიღთან დაკავშირებით ჩაატარებენ.

რედაქცია

გურამ თაყნიაშვილი

„ქართველთა პრესაში სინათლე“

(მზადება დიდი იუბილისათვის 90 წლის წინათ)



მონინავე ქართველი ინტელიგენცია გაცხოველებით ემზადებოდა ნ. ბარათაშვილის დაბადებიდან ასი წლისთავის აღსანიშნავად. ლიტერატურულ-მუსიკალური საღამოები იმართებოდა საქართველოს ქალაქებსა და დაბებში, რუსეთის კულტურულ ცენტრებში. იმდროინდელი ქართული პრესა („სახალხო ფურცელი“, „თეატრი და ცხოვრება“ და სხვ.) სისტემატურად აქვეყნებდა დიდი პოეტისადმი მიძღვნილ კრიტიკულ წერილებს, მის ცალკეულ ლექსებს, გამოჩნდნენ ნ. ბარათაშვილის პირველი შემფასებლები. ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრების“ სპეციალური ნომერი მიეძღვნა ნ. ბარათაშვილის საიუბილეო თარიღს (№47, 1916). იმდროინდელ ქართულ გაზეთებში ნ. ბარათაშვილის შემოქმედებას ცალკეული მხარეების ამსახველი მასალები გამოაქვეყნეს: ა. პაპავამ, ი. გედევანიშვილმა, პ. მირიანაშვილმა, ვ. კოტეტიშვილმა, მ. ჯანაშვილმა, ვ. წერეთელმა, ნ. ნიკოლაძემ, ი. მეუნარგიამ და სხვ.

დიდი ქართველი პოეტის დაბადებიდან საიუბილეო თარიღებს ყოველთვის ჯეროვნად აღნიშნავდა ქართველი საზოგადოება. ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო ნ. ბარათაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილმა ნაკლებად ცნობილმა მასალებმა, რომელიც გვინდა მოკლედ გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს.

„შავი რაინდი“ - ასე უწოდა პოეტს ქართული ლიტერატურის ცნობილმა მკვლევარმა ვახტანგ კოტეტიშვილმა. (სახალხო ფურცელი, 1916, - №731, №25). ავტორის აზრით, მგოსანს სინამდვილემ ოცნება მოუკლა და სულით დაა-

1915-1916 წ.წ. ქართველი მწერლები,

ობლა. მიუსაფარ მწირად აქცია. ვ. კოტეტიშვილის აზრით, ნ. ბარათაშვილს არ შეიძლება ვუნოდოთ პესიმისტი პოეტი. იგი არსებულთ არის მხოლოდ უკმაყოფილო, შეიძლება წარსულთაც, მაგრამ არა მომავლთ, რომელსაც იმედთ შესცქერის. ავტორის წარმოდგენთ, „ნ. ბარათაშვილი მოაზროვნე რაინდია შავ ნაბადში გამოხვეული, რომელიც ჰბორგავს უკმაყოფილოდ და ფიქრობს ამ მდგომარეობიდან გამოსვლას“.

აკაკი პაპავას აზრთ, ბარათაშვილი ჩვენს პოეზიაში იგივე იყო, რაც ბეთჰოვენი გერმანელების მუსიკაში. „დღეს ყველანი პოლიტიკოსები გავხდით, გარკვეული გზა ვპოვეთ, ნაბიჯი გადავდგით, ნ. ბარათაშვილის სულს სწამდა განთიადისა, იგი ჭეშმარიტად სინთეზი იყო ტრაგიკულ სულთა ნამსხვრევებისა“ (სახალხო ფურცელი, 1916, №727, 19 ნომბერი). ნ. ბარათაშვილი ყოველი ჩვენთაგანის სულს ერთნაირად ჩასწვდა, მაგრამ იგი მაინც ერთი კეთილი ინდივიდუალობა იყო. „ნ. ბარათაშვილმა ვერ აიტანა ყოფიერების სამარისებური მდუმარება, გადატყდა პიროვნება და მოახტა ფაფარაყრილ მერანს“. ი. გედევანიშვილი, ეხება რა ნ. ბარათაშვილის პიროვნებას, აღნიშნავს, რომ იგი მოაზროვნე, ღრმად პატრიოტული პოეტი იყო. საქართველო ამ დროს უკვე გამოსალმებული იყო დამოუკიდებლობას და შავი, სქელი პირბადეაფარებული იყო. „ბედი ქართლისა“-ში პოეტი წარმოდგენილია როგორც პოლიტიკურად მოაზროვნე პიროვნება, როგორც გარკვეული მსოფლმხედველობისა და მიმართულების მატარებელი გენიოსი. იმავე გაზეთში საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული უცნობ ავტორს (ქ. რ-ს ფსევდონიმთ). მისი აზრთ, იყო ორი ბარათაშვილი – ერთი ფუქსავატი, უშინაარსო ცხოვრებაში ჩაფლული, ბანოვანებში უიღბლო, და იყო მეორე ბარათაშვილი – სევდით, ნაღვლთ ალსავსე, ქართლის ბედის გამო მტირალი, უკმაყოფილო მსოფლიოსი, სულთ ობოლი,

ნაზად მგრძობიარე პოეტი. უშინაარსო და ფუქსავატი ცხოვრების გარემოს მაშინდელი თბილისი ქმნიდა, აკი ამის შესახებ თვითონ პოეტიც წერს ერთ-ერთ წერილში: „ტფილისი უსარგებლო ქალაქია გულისა და გონებისათვისო“. ნ. ბარათაშვილის პოეზიის მოკლე, მაგრამ ღრმად შინაარსიანი დახასიათება გამოაქვეყნა ნ. ნიკოლაძემ (ჟურნ. „ცხოვრება“ 1916, №17-18). მისი აზრთ, ნ. ბარათაშვილის ლექსი, როგორც რომანტიკოსისა, „ძლიერი და მკვიდრია, იმგვარადვე მოკლედ გამოხატულია წვრილმანების სრული უყურადღებობთ და იმნაირადვეა გამოკვერილი, თითქო ჩაქუჩსა სცემსო მკითხველს თავში და უნდა ღრმად ჩაუსვას, ჩააგონოს თავისი აზრი“.

1916 წლის 5 დეკემბერს ქალაქ თბილისის საბჭომ განიხილა ნ. ბარათაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების გეგმა. პოეტის სახელის უკვდავსაყოფად გამოითქვა ხმოსანთა მოსაზრებები, წამოაყენეს წინადადებები. საბჭოს წევრმა შალვა ალექსი-მესხიშვილმა წინადადებით მიმართა საბჭოს ნ. ბარათაშვილის სახელი მიეკუთვნებინათ საგიმნაზიო ქუჩისთვის. ეს ქუჩა იმ გიმნაზიის მიმდებარე იყო, სადაც ადრე ნ. ბარათაშვილი სწავლობდა. ხმოსანი ასევე მოითხოვდა ნ. ბარათაშვილის სახელი მიეკუთვნებინათ ერთ-ერთი საქალაქო სკოლისა და ბიბლიოთეკა-სამკითხველოსათვის. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა საბჭოს წევრებმა ა.ტ. შახატუნიაძე და ვ. მუსხელიშვილმა. ყველა ფიქრობდა, რომ საქმე დადებითად დამთავრდებოდა, მაგრამ საბჭოს მეორე სხდომაზე, 12 დეკემბერს ხმოსანმა ა.ი. მიტკევიჩმა ხელმეორედ აღძრა ეს საკითხი. მან შეახსენა დამსწრეთ წინა სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებები და გააკეთა საკუთარი დასკვნა. ზემოხსენებული ხმოსნების სიტყვები ჩანერილი ჰქონდა საბჭოს მდივანს ა.ი. სტავროვსკის. შალვა ალექსი-მესხიშვილმა კვლავ აღნიშნა, რომ ყველა ახალი ქუჩა ქალაქის განაპირას არის, თბილისს უნდა მიეცეს უფრო ნაციო-

ნალური ხასიათი. ხმოსანი კვლავ აყენებს წინადადებას, რომ „თავი დაანებონ ნაძალადევს და ნ. ბარათაშვილის სახელი ეწოდოს ქუჩას ქალაქის შუაგულში, ხოლო ნაძალადევში გაიგზავნონ ლერმონტოვი ან ჟუკოვსკი და არა ბარათაშვილი“. (სახალხო ფურცელი, 1916, №748, 15\XII- გვ. 4). ეს აზრი კვლავ გაიზიარა ა.ტ. შახატუნიანცმა: „ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენმა ქალაქმა იქონიოს ნაციონალური სახე და არ გადაიქცეს საერთო რუსულ ქალაქად“. ვ.ს. მუსხელიშვილის აზრით, ნ. ბარათაშვილი უნდა ჩაითვალოს არა მარტო ქართველ პოეტად, არამედ მსოფლიო პოეტადაც. „ჩვენ გვაქვს ოლგას ქუჩა და გოლოვინის პროესპექტი, ჩვენთვის, პატარა ერებისათვის სასურველია, რომ ქუჩებს ერქვათ ჩვენი საზოგადოებრივ მოღვაწეთა და მწერალთა სახელები“. იგი მოითხოვს ქუჩის გარდა ერთ-ერთ ბიბლიოთეკას ერქვას ნ. ბარათაშვილის სახელი. ამის შემდეგ ხმოსანმა ა.ი. მიტკევიჩმა წაიკითხა გამომსვლელთა სიტყვების ორი ნაწილი, რომელიც ლერმონტოვსა და ჟუკოვსკის ეხებოდა და გამოთქვა პროტესტი: „სად იყო მაშინ თავმჯდომარე, რატომ თავმჯდომარემ დროზე არ გააჩერა ისინი, როდესაც ლერმონტოვისა და ჟუკოვსკის სახელებს უპატივცემულოდ ახსენებდნენ“. მისი აზრით, ზოგიერთ ხმოსანს ავინყდება, ჟუკოვსკი რომ არ ყოფილიყო, ისინი ვერ ილაპარაკებდნენ რუსულად და რომ ასეთი სიტყვების წარმოთქმა მის მიმართ მოუთმენელია. მიტკევიჩს მხარი დაუჭირა ხმოსანმა კოვალენსკიმ. მესხიშვილის აზრს მხარი დაუჭირა ხმოსანმა ა. ლომთათიძემ, ნ. რამიშვილმა. საბჭოს პირველ სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქის მოურავი ა.ი. ხატისოვი, მეორე სხდომას – თავადი არლუთინსკი. ეს უკნასკნელი აღნიშნავდა, რომ ოქმი არ გამოხატავს იმ შთაბეჭდილებას, რომელიც გამოთქვა მესხიშვილმა. თავმჯდომარემ სთხოვა მიტკევიჩს, არ შეეტანათ ოქმში მისი სიტყვები, ვინაიდან მესხიშვილი არ ესწრებოდა სხდომას. იგივე გაზეთი მომდევნო ნომერში წერს, რომ

ბარათაშვილის სახელის მიკუთვნება რომელიმე დაწესებულების ან ქუჩისთვის არ ატარებს პოლიტიკურ ხასიათს: „თბილისი ჩვენი ცხოვრების დარაჯია, აქ არის დამარხული ჩვენი ფიქრები და ზრახვანი, ქალაქის საბჭოში არიან ხმოსნები, რომელთაც ეუცხოებათ ჩვენი სულისკვეთება და ქალაქის განაპირა მიყრუებულ ქუჩებზე მიგვითითებენ, აი, იქ შეგიძლიათ მიაკუთვნოთ, ქალაქის გული კი ჩვენი კუთვნილებაა, აქ ჩვენ ვართ ბატონ-პატრონები, ხოლო თქვენ ნაძალადევსა და მსგავს ადგილებში მიბრძანდით“. აღნიშნულ სხდომაზე წამოჭრილი საკითხი გადაუწყვეტილი დარჩა.

ნ. ბარათაშვილის ხსოვნის საღამო გამართა ხარკოვში 1916 წლის 27 ნოემბერს, ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს ინიციატივით. საღამოს ესწრებოდნენ ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები. დარბაზს ამშვენებდა ლ.კოტეტიშვილის მიერ დახატული ნ. ბარათაშვილის სურათი. ნ. ბარათაშვილის შემოქმედებას მოკლედ მიმოიხილა პროფ. ი. გლივენკომ: „მე დავრწმუნდი, რომ ბარათაშვილს ჰქონია მძლავრი ფრთები, მას სდომებია ფრენა-ნავარდი ცაში, მაგრამ ამავე დროს ჰყავდა არ ჰყოფნის საფრენად“. უფერულ დროში დაბადებული მწერლის ცხოვრება ვერ უწყობდა ხელს, რომ მოზღვავებული ენერჯია დაეხარჯა.

საღამოზე ქართველ მომღერალთა გუნდმა სტუდენტ ი. ბინკინაშვილის ლოტბარობით შეასრულა „მრავალჟამიერი“. ნ. ბარათაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ისაუბრა აგრეთვე გ. ახვლედიანმა, რომელიც დატოვებული იყო უნივერსიტეტში სიტყვიერების დარგში საკანდიდატო დისერტაციისათვის. მომხსენებელმა ილაპარაკა იმ გულცივობის შესახებ, რომელსაც იჩენს რუსეთის ინტელიგენციის ერთი ნაწილი ქართული კულტურისადმი. „ქართველი ერი, რომელიც გზავნის ამ უმაგალითო ომის დროს თავის საუკე-

თესო შვილებს ბრძოლის ველზე და მსხვერპლად სწირავს მათ, კი არის ღირსი მეტი ყურადღებისა და პატივისცემისა. საქართველო, რომელსაც უცხოვრია მრავალი საუკუნის განმავლობაში დამოუკიდებლად და შეუქმნია საუკეთესო კულტურა, არ არის ვინმესგან აბუჩად ასაგდები. (სახალხო ფურცელი, 1917 წ. №764. გვ. 4). ლიტერატურულ-მუსიკალურ საღამოზე შესრულდა სიმღერები „სული ობოლი“ და „მშვენიერთა ხელმწიფე“ (ირ. ჯანდიერის მუსიკა), საღამოს დასასრულს მომღერალთა გუნდმა შეასრულა კიდევ 2 სიმღერა: „კრული იყოს მისი სახელი“ და „ფაცხა“ (კ. ფოცხვერაშვილის მუსიკა). ხარკოვის ქართველ სტუდენტთა სათვისტომო აქტიურ კულტურულ და საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა, ცხადია, ნ. ბარათაშვილის საიუბილეო თარიღს სხვა ღონისძიებებითაც გამოეხმაურა.

მეტად საყურადღებოა ის გარემოება, თუ როგორი გულისყურით ეკიდებოდნენ გამომცემლები ბარათაშვილის თხზულებების გამოქვეყნებას. ამაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა ის პირველი გამოცემები,



რომლებიც XX საუკუნის პირველ ორ ათეულამდე განხორციელდა. ამათგან შეიძლება დავასახელოთ ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებთა პირველი გამოცემები:

1. ბარათაშვილი ნ. ლექსნი, თქმულნი თ.ნ. ბარათაშვილისაგან. – თბ., ე. ხელადის სტამბა, 1876. – 63 გვ.
2. ბარათაშვილი ნ. ლექსნი, თქმულნი თ.ნ. ბარათაშვილისაგან: მე-2 გამოც. – თბ., 1879. – 64 გვ.
3. ბარათაშვილი ნ. ლექსნი, თქმულნი თ.ნ. ბარათაშვილისაგან და მისი ნაწერები: მე-3 გამოც. – თბ., 1886. – 98 გვ.
4. ბარათაშვილი ნ. თავად ნ. ბარათაშვილის ლექსები: მე-4 შევსებული გამოცემა. – თბ., 1890. – 66 გვ.
5. ბარათაშვილი ნ. ნ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები: მე-5 გამოც. თბ., 1895. – 124 გვ.
6. ბარათაშვილი ნ. ლექსები, ავტორის ბიოგრაფია – ბათუმი, 1904. – 50 გვ.
7. ბარათაშვილი ნ. ლექსები და წერილები. – თბ., 1910. – 113 გვ.
8. ბარათაშვილი ნ. ბედი ქართლისა: ისტორიული პოემა. – ბათუმი, 1911. – 16 გვ.
9. ბარათაშვილი ნ. ბედი ქართლისა, თქმული 1839 წელსა. – თბ., 1916. – 64 გვ.
10. ბარათაშვილი ნ. ნიკოლოზ ბარათაშვილის რჩეული ლექსები. – ქუთაისი, 1916. – 20 გვ.

ილია – 170

ვაჟა სილაგაძე დიდი ილია ჩვენი ცხოვრების სარკეში

ილიას 1907 წლის 8 ნოემბერს ახალი სტილით, 70 წელი შეუსრულდებოდა, 30 აგვისტოს იმავე წელს წინამურის ველზე მუხანათურად მოკლეს. ილიას იუბილეს ადრიდანვე ეწინააღმდეგებოდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები. განსაკუთრებით კი ფილიპე მახარაძე. იგი არც შემდეგ დამცხრალა და 1921 წლიდან განაგრძობდა ბრძოლას ილიას წინააღმდეგ. მისი გადასვენება უნდოდა მთანმინდიდან, მეუღლის – ოლღა ჭავჭავაძის (გურამივიშვილის) დაკრძალვაც არ უნდოდა ილიას გვერდით, მაგრამ ვერ განახორციელა.

ცნობილია, რომ საზღვარგარეთ და საბჭოთა კავშირშიც დაიწყეს აშკარად ბოროტი ხმების გავრცელება, რომ სტალინის უკულტურო, ველური ხალხის შვილი და ამიტომაც დესპოტი და სასტიკი პიროვნებაა. 1934 წელს მოწვეულ იქნა სსრკ მწერლების პირველი ყრილობა. ყრილობაზე მოხსენებები უნდა გაეკეთებინათ მოკავშირე რესპუბლიკების მწერალთა კავშირების თავმჯდომარეებს 10-წუთიანი რეგლამენტით. სანამ ყრილობა შედგებოდა, რამდენიმე დღით ადრე სტალინი გაეცნო საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მალაქია ტოროშელიძის მოხსენებას. მოხსენებაში წარმოდგენილი იყო მხოლოდ ორი მწერალი: დ. ჭონქაძე და ე. ნინოშვილი. სტალინი აღშფოთდა: წარმო-

ადგინეთ ქართული მწერლობა ანბანიდან დაწყებული დღემდისო. ერთი დღე დაეთმობა მთლიანად ქართულ მწერლობასო. შესვენების დროს შემოიტანეთ დარბაზში შოთას სურათი და ყველას კარგად დასანახ ადგილზე დაკიდეთო. ასეც გაკეთდა ყველაფერი. პირველად გაუკვირდათ ყრილობის მოწვევის თავკაცებს



ეს ამბავი. სტალინი ამ დროს ყირიმში ისვენებდა, მაგრამ მოსკოვშიც რომ ყოფილიყო, რას გააწყობდნენ? ყველაფერმა დიდი მოწონებით ჩაიარა და ყველა გაცემული დარჩა, თურმე ეს რა დიდი კულტურა ჰქონია ქართველ ხალხსო. ეს მოხსენება იმავე წელს მ. ტოროშელიძის ავტორობით ცალკე წიგნადაც გამოიცა. ზედმეტი არ იქნება, რომ ამონარიდი ი. ჭავჭავაძეზე ახლაც დაიბეჭდოს ილიას საიუბილეოდ.

1937 წელს ორი დიდი იუბილე გადაიხადეს სსრკ-ში – რუსთაველის 750 წლის და ილიას დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებული.

ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკაში“ 2006 წლის №2-ში მე მოვათავსე ვრცელი წერილი: „ილია და გარიბალდი ჩვენს ეროვნულ ჭრილში“. იქ ნათქვამს აღარ გავიმეორებ, მაგრამ დავუმატებ, რომ ილიას, როგორც მწერალს, პოეტს, პუბლიცისტს და საზოგადო მოღვაწეს მსოფლიო რეზონანსი აქვს. „წინამურში რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა

დამთავრდა დიდი“, წერდა გალაკტიონი. ილიას მკვლევლობას გამოეხმაურა მსოფლიო პრესა. ლენინიც დაინტერესდა ილიას პიროვნებით, თუ ვინ იყო ის და თავის კარგად ნაცნობ ქართველ მეგობარს ნიკო კიკნაძეს სთხოვა მიენოღებინა მასზე ინფორმაცია. ნიკომ უპასუხა: „გენიალური მწერალი იყო, რითაც სამართლიანად ამაყობდა ქართველი ხალხიო, მაგრამ თავადიო“.

ილიას მკვლევლობაში დამნაშავე იყო ქართული სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრთა: ბოლშევიკებიც და მენშევიკებიც, ოღონდ ბოლშევიკები უფრო მეტად. მენშევიკები, როდესაც ხელისუფლე-

ბაში მოვიდნენ, პირიქით – ილიას გზას დაადგნენ. განსაკუთრებით მათ ის უნდა დაეუფლათ, რომ ერის ერთიანობისათვის იღვწოდნენ, რაზედაც დიდი ილია ოცნებობდა და იბრძოდა.

ილიას იუბილეზე უნდა მოვიპატიჟოთ მთელი ქართული დიასპორა და მათ უნდა მოვუმზადოთ წიგნები, ბუკლეტები, სუვენირები და სხვა. ამ დიდ იუბილედესასწაულს წინ პრელუდიასავით უნდა უძღოდეს ჩვენი ყოველწლიური დღესასწაული: „თბილისობა“. ერთი სიტყვით, ვემზადოთ, როგორც ილიას მუზეუმები, ისე „მთანმინდაც“.

ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ძირითადი ქრონოლოგიური ასპექტები (მოკლე ბიობიბლიოგრაფიული ქრონიკა)

„დავიბადე 27 ოქტომბერს 1837 წელს სოფელ ყვარელში... მამაჩემი რამდენადმე განათლებული კაცი იყო, ოფიცრად მსახურობდა... რუსული კარგად იცოდა. დედაჩემმა მშვენივრად იცოდა მაშინდელი ქართული მწერლობა...“ – ასე წერს ილია საკუთარი ცხოვრების საწყის პერიოდზე და რამდენიმე ეპიზოდს ეხება თავისი ცხოვრებიდან.

გრიგოლ შაატას ძე ჭავჭავაძე და მარიამ ქრისტეფორეს ასული ბებურიშვილი მაშინ ვერც კი წარმოიდგენდნენ, მათ შედარებით მცირედშეძლებულ ოჯახში ილიას სახით ქართული აზროვნებისა და მწერლობის გიგანტი თუ გაიზრდებოდა. ბედმა კი ასე ისურვა.

„...ბლარტებსავით გარს ვეხვიენით დედ-მამას ორნი დანი და სამნი ძმანი, – განაგრძობს მოგონებას ილია, – ...ვხედავთ, როგორ დაგვხარიან შვილებს დედა, მამა, როგორ შევხარით ბავშვები სიხარულითა... მომესმის ჭკუა დამჯდარი,

სიყვარულიანი ლაპარაკი დედა-ჩემისა, მამი-ჩემისა...“

ეს იდილია დიდხანს არ გაგრძელებულა: დედის ადრეულად გარდაცვალებამ (1848 წ.) სხვა სახე მისცა ოჯახს. ბავშვების აღზრდა და დედობრივი ზრუნვა მამიდან იკისრა.

სულიერი საზრდოსათვის ჭავჭავაძიანთ ოჯახში საკმაოდ კარგი ნიადაგი იყო. წიგნიერებისადმი ლტოლვა, ლიტერატურითა და ისტორიით დაინტერესება ადრიდანვე ინერგებოდა აქ.

1845 წ. – ილია ყვარლის მთავარდიაკონ ნიკოლოზ სეფაშვილის შინაურ სკოლაში შეჰყავთ. როგორც ილია იგონებს, „მთავარმა ძალიან კარგად იცოდა ქართული და სახელი ჰქონდა გავარდნილი საღმრთო წიგნების კარგი მკითხველისა... მომხიბვლელი თქმა იცოდა ამბებისა... დრო შუადღემდე იმაში გადიოდა, რომ ვთამაშობდით თვით მთავრის ზედამხვედველობითა და ხელმძღვანე-

ლობით, და უმთავრესად უფრო იმაში, რომ ვისხედით და ვისმენდით იმის გასატაცებელ ნაამბობს“.

1847 წ. – გრიგოლ ჭავჭავაძე იღებს რა სილარიბის მოწმობას, რაც უფლებას აძლევს მას ხაზინის ხარჯზე ასწავლოს შვილს, ილია, რომელმაც მძიმე დაავადება გადაიტანა, ციების სახით, მამას თბილისში მიჰყავს რაევსკისა და ჰაკეს პანსეონში მისაღებად.

1852 წ. – ილია შედის სათავადაზნაურო გიმნაზიაში. მიიღეს მე-4 კლასში, მაგრამ ცუდად სწავლის გამო კლასში დატოვეს.

ამავე წლის დეკემბერში 41 წლის ასაკში გარდაიცვალა გრიგოლ ჭავჭავაძე, როგორც ილია გვატყობინებს, „... ყოველივე ოჯახის მზრუნველობა, გამგებლობა გადავიდა მამიდა მაკრინეზედ... იმ დღიდან 87 წლამდის, ჩვენს ზრუნვაში გაატარა თავისი სიცოცხლის დღენი“.

ოჯახს არ შორდებოდა უბედობა. 1854 წ. ლეკებთან შეტაკებისას 22 წლის ასაკში მოკლეს ილიას უფროსი ძმა კონსტანტინე. ჭავჭავაძიანთ ოჯახი საცხოვრებლად თბილისში გადადის.

1856 წ. – ილია ამთავრებს გიმნაზიის მერვე კლასს, მაგრამ საბოლოო გამოცდები არ ჩაუბარებია.

1857 წ. – ცისკრის პირველ ნომერში პირველად იბეჭდება მის მიერ რუსულიდან თარგმნილი ლექსი „ჩიტი“.

აპრილში სოფ. კარდანახში დასთან სტუმრობის დროს წერს ლექსს „ყვარლის მთებს“. ხოლო უკვე ზაფხულში მიემგზავრება პეტერბურგში და თავისუფალ მსმენელად ეწყობა იურიდიულ ფაკულტეტზე.

ილია ერთბაშად მოექცა სულ სხვა გარემოში, რამაც ხელი შეუწყო მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის გამძაფრებას, თარგმნის პოლონსკის „ბედა მქადაგებელს“ (სხვა შენიშვნით – გოეთეს ნაწარმოებს), წერს ლექსებს „სანთელი“ და „ხმა სამარადამ“. მომდევნო წელს (1858) თარგმნის ვ. სკოტის ლექსს „რა ტკბილ არს ოდეს...“, ფ. შილერის

„ცრემლთა შორის ნუგემს“, ჯ. ბაირონის ლექსს „სტიროდეთ“, წერს ლექსს „გაზაფხული“ და „ჩიტი“ („ვგალობ და ვგალობ“), ქმნის ლექსის „გუთნის დედის“ პირველ რედაქციას და „სიმღერას“.

ივნის-აგვისტოს პეტერბურგელ ქართველ სტუდენტებთან ერთად ზაფხულის არდადეგებს ცარსკოე სელოს მახლობელ სოფელ ტიარლევოში ატარებს.

ასეთი რამ ჩვეულებრივი მოვლენა იყო ქართველი სტუდენტებისათვის. მგზავრობა დიდ ხარჯებსა და დროსთან იყო დაკავშირებული, რომ მშობლიურ გარემოში დაესვენათ სტუდენტებს.

ისიც დიდი მიღწევა იყო, რომ ილია მეორე კურსიდან მისი თხოვნით გაანთავისუფლეს სწავლის გადასახადისაგან, რაშიც მას სილარიბის მოწმობა გამოადგა.

ამ პერიოდს მიეკუთვნება ილიას ცხოვრებაში ერთი უდიდესი მოვლენა, რაზედაც კ. აბხაზი წერს: „...ერთხელ პავლოვსკიდან ცარსკოე სელოში წავედით და იქ ვენვიეთ ქალ. დადიანისას, სამეგრელოს მთავრის ასულს. ქ. დადიანისამ გამოიტანა და მოგვცა ნასაკითხად ბარათაშვილის ლექსები, რამდენადაც მახსოვს, ბარათაშვილის საკუთარი ხელნაწერი. ეს ლექსები იყო: „ქართლის ბედი“ და „მერანი“. ვერ წარმოიდგენთ, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზედ. თითქმის მთელი ერთი კვირა ყმანვილი ჰბოდავდა ბარათაშვილით“.

არდადეგები ფრიად ნაყოფიერი გამოდგა ილიასათვის, ამ დროს თარგმნის ა.ს. პუშკინის ლექსებს: „ჭემმარიტება“, „ანგელოზი“, „წინასწარმეტყველი“, წერს ორიგინალურ ლექსებს: „მეც შავ თვალებს“, „გიყვარდეს“, „სიზმარი“, „ლოცვა“, „უცხოეთში“, „ლოთის რჩევა“, „როდემდის“, „პავლოვსკის პარკი“, მისი შემოქმედებითი ალტკინება არ ნელდება სწავლის დაწყების შემდეგაც. წერს ლექსებს: „ვიხილე სატრფო“, „ერთხელ ჯდა ჩემთან ქალი ლამაზი“, „მარტო მივცურავ ცხოვრების ზღვაში“, „დაე, თუნდ მოვკვდე,

არ მეშინიან“, „ქართველის დედას“, „მაშინ დავსტკბები სრულის სამოთხით“ („ს...ს“ – სოფიო ჩაიკოვსკაიას), „ბევრი ვიტანჯე“, „რისთვის მიყვარხარ“, თარგმნის ჰაინეს ლექსებს, „როცა შევყურებ“ და „ლოყით მომეპყარ“.

ფრიად საინტერესოა ის ფსიქოლოგიური და სოციალური თავისებურებანი, რაც საფუძვლად დაედო ილიას ამგვარ შემოქმედებით ნაყოფიერებას. ერთი ცნობილია – ილია პეტერბურგში ჩასვლის პირველსავე წელს, გაეცნო რა გენერალ ჩაიკოვსკის ასულს (კომპოზიტორ პ. ჩაიკოვსკის ძმისწულს), სამუდამოდ მოიხიბლა მისი მშვენივით და სიყვარულის ცეცხლით აღეგზნო. რამდენიმე მშვენიერი ლექსი უძღვნა მას და ალბათ, ილიას ეს გრძნობა და მასთან დაკავშირებული განცდები არაერთი ლექსის შთაგონების წყაროდ იქცა.

ჯერ კიდევ მეორე კურსის სტუდენტი, 24 წლის ახალგაზრდა, უკვე სრულყოფილ, ჩამოყალიბებულ პოეტად და მოაზროვნედ გვევლინება, თანაც სრული შეგნებით ერთვება პოლიტიკურ ცხოვრებაში. წერს ლექსს „ჩემი თარიარალი“, რომელიც მიმართული იყო მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ამიტომაც ის ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა.

ამ დროს იწყებს ილია სერიოზული ჩანაფიქრებზე მუშაობას. ქმნის პროზაულ ესკიზებს შემდგომში შექმნილი და დასრულებული ნაწარმოებებისა, როგორცაა „კაცია ადამიანი“, „გლახის ნაამბობი“ და პოემა „კაკო ყაჩაღი“.

1859 წ. – მიუხედავად იმისა, რომ ამ წელს ილია შეუძლოდ ხდება – დაავადდა ქლექით, რაც გამონვეული იყო ჩრდილოეთის მისთვის საკმაოდ მძიმე კლიმატით და იძულებულია, ექიმის რჩევით, საზაფხულოდ საქართველოში დაბრუნდეს. ეს პერიოდი მის ცხოვრებაში საერთო აღიარების ხანაა. სისტემატურად იბეჭდება მისი ორიგინალური და ნათარგმნი ლექსები. კვლავ დაინტერესებულია ჰაინეს, რიუკერტის, შილერის,

ლერმონტოვის, ბაირონის შემოქმედების თარგმანებით. „ცისკარში“ სისტემატურად აქვეყნებს თავის ლექსებს, მათ შორის მისი შემოქმედების ერთ-ერთ მარგალიტს – „ელეგიას“, წერს მრავალ ლექსს, ამთავრებს ჩანახატს – „კაკო“, მუშაობს „გლახის ნაამბობისა“ და „კაცია ადამიანის“ პირველ ვარიანტებზე.

ოქტომბრის შუა რიცხვებში პეტერბურგში დაბრუნებული, აბარებს გადავადებულ გამოცდებს.

1960 წ. – აპრილში გარდაიცვალა ილიას ძმა – 15 წლის თეიმურაზი, პეტერბურგის კადეტთა კორპუსის მსმენელი, რამაც უმძიმესი შთაბეჭდილება მოახდინა პოეტზე. მამიდასადმი მიწერილ წერილში აშკარად გამოხატავს თავის ურვას საყვარელი ძმის დაკარგვის გამო: „რა დავუშავეთ ეგრეთი ღმერთსა, რომ ეგრე უწყალოთ და შეუბრალებლათ გვინამლავს დღეებსო“. შემდეგ თავის ჯანმრთელობის შესახებ წერს: „მე ვერა ვარ კარგად, ჩემი სიმრთელეც ძალიან დაშლილია, თუ ღმერთმა ბოლო არ მომიღო, კვლავ ამ დროს დავბრუნდები შინ კურსდამთავრებულიო“.

ზაფხულში არდადეგებს სოფელ პავლოვსკში ატარებს, წერს თავისი განწყობილების შესაფერის ლექსებს, აგრეთვე მის შემოქმედებაში ერთ-ერთ საეტაპო ლექსს „მუშა“, აგრეთვე „ქართველის დედის“ პირველ ვარიანტს.

გრძნობს რა მოახლოებულ განშორების ჟამს, ახალგაზრდა პოეტი გულმხურვალე სტრიქონებს უძღვნის თავისი ტრფობის საგანს – სოფიო ჩაიკოვსკაიას („სატრფოვ, ხშირად ლალი ფიქრი..., „ჩ...სას“ – „უცხო თემის ყარიბ მთქმელსა...“).

ამ პერიოდს განეკუთვნება ილიას საპროგრამო ლექსი „პოეტი“ და მისი პოლიტიკური მრწამსის გამომხატველი „მესმის, მესმის სანატრელო“, აგრეთვე დიდი პათოსით აღვსებული ლექსი „ქართველი სტუდენტების სიმღერა“, ამავე წელსვე ქმნის ის თავის ლირიკულ შედევრს „გახსოვს, ტურფავ, ჩვენს დიდ

ბაღში“.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში ახალი ეტაპის მანიშნებელი იყო ამ დროს მის მიერ შექმნილი კრიტიკული წერილი „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვიდან „შეშლილის“ თანგმნაზედა.“ მასში ილია პირველი აყენებს საკითხს ქართული სალიტერატურო ენის სინამდის შესახებ და გულმხურვალედ აცხადებს:

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება“.

დეკემბერში ამთავრებს პოემას „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“.

1861 წ. უდიდესი პოლიტიკურ-ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და ლიტერატურული ქარტეხილების დასაწყისია. ეს ის ხანაა, როცა მთელი საქართველო „ღრმა ძილით“ იყო მოცული. ილია გულდამწვარი კვენესის თითქოს: „ოხ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი, როსლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“ და მტკიცედ შეუდგა საქართველოს „გამოღვიძებას“ – ეს არის სწორედ 1861 წელი, წელი ახალი თაობის ენერგიული ამოქმედებისა. ილია სათავეში უდგება ახალ თაობას და იწყება „მამათა და შვილთა“ შეურიგებელი ბრძოლა. ჯერ კიდევ პეტერბურგში მყოფი სტუდენტი წერს პატარა, მაგრამ ღრმად შთამბეჭდავ ლექსს „გაზაფხული“, რომელსაც სამშობლოსადმი გულმხურვალე მიმართვით ამთავრებს: „მამულო საყვარელო, შენ როსლა აყვავდები?!“

მიუხედავად იმისა, რომ ილია გულმოდგინედ ცდილობდა დაეფარა თავისი ავტორობა ხსენებული კრიტიკული წერილისა, ფსევდონიმით კი მოიგონა (ზუმბურიძე)-, აპრილში „ცისკრის“ მეოთხე ნომერში სტატია მაინც მისი ხელმოწერით იბეჭდება და აქედან დაიწყო ბატალიები ახალსა და ძველ თაობას შორის. ერთი ერთმანეთზე ზედიზედ მიყოლებით ქვეყნდება წერილები ილიას წინააღმდეგ, მაგრამ იგი თავისებური გულდაჯერებით, რკინი-

სებრი ლოგიკით იგერიებდა ყოველ შემოტევას.

აპრილის ბოლოს ილია ასრულებს მეოთხე კურსს, მაგრამ მხოლოდ გამოცდების ნაწილს აბარებს და სამშობლოსაკენ მოეშურება. ოთხი წელი გაატარა მან მძიმე სულიერ ქარტეხილებში, რის შესახებაც ის ბოლოს წერს: „იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია!.. ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბენვის ხიდია სიბნელესა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული...“

მაისის დასაწყისში ილია სამშობლოში ბრუნდება. აქვეყნებს რამდენიმე პოლემიკურ წერილს მისი კრიტიკოსების მიმართ და სავსებით იღებს ხელს „ცისკარში“ მოღვაწეობაზე, მით უმეტეს, როგორც ის ადრეც წერდა თავის დას ნინოს, „... ჩვენი ცისკარი ჯოჯოხეთის კარია და არა ცისაო“, ამ წელს წერს ის თავის ბრწყინვალე ლექსს „მას აქეთ რაკი...“ რომელშიც სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული და თავგამოდება გამოხატა.

სექტემბერში ილია პეტერბურგში მიემგზავრება, რომ საბოლოოდ ჩააბაროს გამოცდები და სწავლა დაასრულოს, მაგრამ ამ დროს აქ სტუდენტთა დიდი მღელვარება იყო და ილია უყოყმანოდ მიემხრო ახალგაზრდების მოთხოვნებს. პატრიოტული ღირსების შებღალვის გამო პროტესტის ნიშნად იგი ანებებს თავს ყველაფერს და სამშობლოში ბრუნდება. ოქტომბრის თვეში წერს თავისი პოეტური მრწამსის გამომხატველ მაღალი იდეური დატვირთვის მქონე ლექსს „ჩემო კალამო, ჩემო კარგო...“

ამ წელს იწყებს ილია თავისი „მგზავრის წერილების“ პირველ ვარიანტის წერას, მაგრამ მზის სინათლე მან საკმაოდ გვიან იხილა ცენზურის მიზეზით – 1871 წელს შემოკლებით, სრულად მხოლოდ 1892 წელს.

1862 წ. – გრძელდება გამოსვლები „თერგდალეულთა“ წინააღმდეგ. ილია გადაჭრით ემზადება ახალი ჟურნალის

დასაარსებლად და ადგენს ამ ჟურნალის პროგრამას.

შემოდგომაზე ილია ჩოლოყაშვილების ოჯახში გაეცნო ქალთა ინსტიტუტის მსმენელს, 19 წლის ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილს – შემდგომში ილიას მეუღლეს.

მთელი წელი ილია ახალი ჟურნალის „საქართველოს მოამბის“ გამოცემაზე მუშაობს.

1863 წ. თებერვალი- გამოდის „საქართველოს მოამბის“ პირველი ნომერი. აქედან იწყება ახალი ხანა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში. ილია ყოველ ნომერში აქვეყნებს თავის ნაწარმოებებს. მე-4 ნომრიდან იწყება „კაცია ადამიანის“ გამოქვეყნება.

21 აპრილს ილია ჯვარს იწერს ოლღა გურამიშვილთან.

1864 წ. 12 მარტს ილია გაზეთ „კავკაზში“ (№20) აქვეყნებს განცხადებას „საქართველოს მოამბის“ დახურვის თაობაზე, რაც გამონვეული იყო იმ სიდუხჭირითა და მოთხოვნითაა თანა ნაკლებობით, რაც დამახასიათებელია იმდროინდელი საზოგადოებისათვის. შემდეგ წელს, – როგორც ილია ვარაუდობდა, ჟურნალი დაიწყებოდა ჭაპან-წყვეტით ფორთხვას. ამ ძალღურ ცხოვრებას „საქართველოს მოამბემ“ ისევ ამჯობინა, რომ ერთბაშად მოესპო თავისი არსებობა.

ილიას აპრილში ნიშნავენ იმერეთში საგანგებო მინდობილობათა მოხელედ ქუთაისის გუბერნატორთან. ილია აქტიურად ებმება გლეხთა რეფორმასთან დაკავშირებულ საქმიანობაში.

ნოემბრის დასაწყისში ილია გადაჰყავთ მომრიგებელ შუამავლად გარეკახეთის და მცხეთის უბანზე. მალე გადაჰყავთ დუშეთში.

წლის ბოლოს პეტერბურგში კ. ლორთქიფანიძის მიერ გამოდის კრებული „ჩონგური“, რომელშიც იბეჭდება ილიას ლექსები: „ქართველის დედას“, „ხმა სამარიდამ“, „ელეგია“, „გაზაფხული“,

„გუთნის დედა“, „მას აქეთ რაკი“, „ჩემო კალამო“, „მუშა“, „ნანა“, „იანიჩარი“, ნაწყვეტი „აჩრდილიდან“ და „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან.“

1865 წ. – ილია მთლიანად ჩართულია საშუამავლო საქმეში დუშეთის მაზრაში.

1866 წ. – თბილისის გუბერნიაში გლეხთა რეფორმის წარმატებით გატარებაში მონაწილეობისათვის კავკასიის დიდი მთავრის წარდგენით ილიას აჯილდოებენ ორი ათასი მანეთით ვერცხლით.

1867 წ. – იმავე ღირსებისათვის ილიას აჯილდოებენ „წარჩინების ნიშნით“, ნამსახურებისათვის მას ენიჭება კოლეგიის რეგისტრატორის ჩინი – ყველაზე დაბალი ჩინი რუსეთის იმპერიაში.

ილია აქვეყნებს „გლეხთა განთავისუფლების პირველი დროების სცენებს“.

1868 წ. – ილია ინიშნება დუშეთში მომრიგებელ მოსამართლედ.

1869 წ. – პეტერბურგში დაიბეჭდა და საქართველოში გამოიგზავნა „კაცია ადამიანი?!“

1870 წ. ნოემბერში თბილისში, კერძო ბინაზე, გაიმართა წარმოდგენა – ილიას „გლეხთა განთავისუფლების პირველი დროების სცენები.“

1871 წ. – რამდენიმე ლექსი იბეჭდება ჟურნალ „კრებულის“ სხვადასხვა ნომრებში. ილია წერს და აქვეყნებს თავის ნაწარმოებებს, მათ შორის ისეთ შედეგებს, როგორცაა ახლად გადაკეთებული „ქართველის დედას“, პოემა „ქართველის დედა“, პამფლეტები „გამოცანები“, „კიდევ გამოცანები“, „ბედნიერი ერი“, „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა“, იბეჭდება „მგზავრის წერილები“. ილიამ განიცადა პარიზის კომუნის დამარცხება და გამოაქვეყნა თავისი ლექსი ამ მოვლენასთან დაკავშირებით – „1871 წელი, 23 მაისი (კომუნის დაცემის დღე)“

1872 წ. – ილია წერს და ავრცელებს

გრ. ორბელიანის „პასუხი შვილთას“ საწინააღმდეგოდ ლექსს „პასუხის პასუხი“, რომელიც მის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ჟურნალ „კრებულში“, აქვეყნებს თარგმანებს (ტომას მურის „ირლანდიისადმი“), პოემა „აჩრდილის“ რამდენიმე თავს, მუშაობს პოემა „აჩრდილის“ საბოლოო რედაქციაზე, რაც რატომღაც ძალიან ძნელად მიუდის. – „მე არაფერს არ ვწერ. ამ „აჩრდილმა“ ტყავი გამაძრო, ისტორიულ ნაწილზე გაქირ ვირსავით შევდეგ და ერთი ბიჯი წინ ველარ წავდეგო“, – წერდა ის. სექტემბერში წერს ლექსს „ჩემო კარგო ქვეყანავ...“

„დროებაში“ (№47) ქვეყნდება თავადაზნაურთა კრებაზე ილიას მიერ წარმოთქმული სიტყვა ბანკის დაარსების შესახებ.

ამ წელს დიდი სკანდალი გამოიწვია სენატორ გიორგი მუხრან-ბატონის გამონათქვამმა, რომ მცირე ერები დიდი ერების მიერ ასიმილირებულ იქნებიან. ამის საპასუხოდ ილიამ დაწერა სატირული ლექსი „რჩევა“.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

შეადგინა ალ. ლორიამ

კვირეული - 2007



ტრადიციისადმი ერთგულების ნიშნით



საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეული, რომელსაც დასაბამი 2002 წელს მიეცა. მიმდინარე წელს შეზღუდული მასშტაბით, მაგრამ მაინც ჩატარდა. ინიციატივა ხელიდან არ გაუშვიათ ცნობილ საბიბლიოთეკო გაერთიანებებს, საჯარო სკოლებისა თუ უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკებს. ისევე, როგორც წინა წლებში, ამ მხრივ აქტიურობით საჯარო ბიბლიოთეკები გამოირჩეოდნენ, რომელთაც გააჩნიათ მასობრივი ღონისძიებების ჩატარების მდიდარი გამოცდილება. როგორც ცნობილია, გასული წლიდან დაწყებული საჯარო ბიბლიოთეკების ოპტიმიზაციის სამუშაოები ჯერ არ დამთავრებულა, სწორედ ამ ღონისძიებათა

გატარებამ ერთგვარად უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა საბიბლიოთეკო გაერთიანებათა ხელმძღვანელობაზე. ისინი ძირითადად დაკავებულნი იყვნენ ორგანიზაციული საკითხების გადაჭრით. საქმე ეხება ბიბლიოთეკათა დიდი ნაწილის ყოფნა-არყოფნის პრობლემებს. ცხდია, ასეთ სიტუაციაში ბიბლიოთეკართა ფსიქოლოგიური განწყობა ნაკლებად ქმნიდა ფართომასშტაბიანი ღონისძიებების ჩატარების შესაძლებლობას. ქსელის ოპტიმიზაციის სამუშაოები რეგიონებში ჯერ არ დასრულებულა; მიღებულ ინფორმაციებს თუ დავეყრდნობით, ცხადად ჩანს ერთობ მძიმე სურათი – საქართველოს სოფლის მოსახლეობის დიდი



ნაწილი საბიბლიოთეკო-საინფორმაციო მომსახურების გარეშე დარჩა. ასეთ ფსიქოლოგიურ და სოციალურ ფონზე საგრძნობლად იკლო ბიბლიოთეკართა პროფესიულმა აქტივობამ.

კვირეულის გახსნის შესახებ დაბეჭდილი იყო ჩვენი ჟურნალის წინა ნომრის ქრონიკებში.

კვირეული – 2007 ჩატარდა დევიზით – „თქვენი ბიბლიოთეკა.“ ბიბლიოთეკებმა ძირითადი ღონისძიებები ჩაატარეს აპრილის ბოლო კვირას, კვირეულის დახურვა მოაწყვეს 30 აპრილს – საქართველოს ბიბლიოთეკარის დღეს. როგორც წინა წლებში, წელსაც საინტერესო და წარმომადგენლობითი ღონისძიებები ჩატარდა **ქ. თბილისის**




თქვამები წაიკითხეს მკითხველებმა: მედეა და მიშკო ჭელიშვილებმა, სალომე ყიფიანმა, სალომე ყარყარაშვილმა, თინათინ ღვინიაშვილმა და სხვებმა. წიგნისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა: ალ. ნამორაძემ და ალ. ჯამაგაშვილმა; საკუთარი ლექსები წაიკითხეს ასევე მკითხველებმა მარი ბექაურმა და ნანა ფიფიამ. ღონისძიებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქტორი ალექსანდრე ლორია, პასუხისმგებელი მდივანი გურამ თაყნიაშვილი, ბიბლიოთეკის თანამშრომლები თ. ჩაგანავა, ნ. ჯარიაშვილი.



საქალაქო საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (დირექტორი ც. კალმახელიძე).

26 აპრილს 25-ე და 41-ე საქალაქო ბიბლიოთეკებმა ჩაატარეს ერთობლივი ღონისძიება – „წიგნი ცოდნისა და სიბრძნის წყარო“. ღონისძიება მიეძღვნა წიგნის საერთაშორისო დღეს. მოხსენება წაიკითხა 41-ე ბიბლიოთეკის წამყვანმა ბიბლიოთეკარმა ია ვარდიაშვილმა. წიგნის დანიშნულების, მკითხველებთან ურთიერთობის საკითხებზე ისაუბრეს 41-ე ბიბლიოთეკის გამგემ ვენერა ჟვანიამ, 25-ე ბიბლიოთეკის გამგემ ციური ქისიშვილმა; სხვადასხვა ქვეყნებში წიგნებისადმი დამოკიდებულებაზე ისაუბრა 41-ე ბიბლიოთეკის მკითხველმა ეკა კუპრაშვილმა; წიგნის შესახებ გამოწა-


27 აპრილს 27-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ქ. აბაშიძე) მოეწყო შეხვედრა ბიბლიოთეკის თანამდგომებთან და აქტიურ მკითხველებთან. ი. გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატთან აკადემიკოს ალექსანდრე ციხელაშვილთან. აკადემიკოსი მხატვარი ფართოდაა ცნობილი არა მარტო საქართველოში. მისი მოზაიკური ნამუშევრები ამშვენებს მოსკოვის შესას-





ვლელსა და ოლიმპიურ სოფელს. მხატვრის შემოქმედებასა და ღვაწლზე ისაუბრეს თბილისის 45-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა: ნ. ნერსესოვმა, თ. კალატოზმა, ნ. ჭანტურიამ, თ. ჩაგუნავამ, კ. ხარატიშვილმა და სხვებმა; ალ. ციხელაშვილის მიერ არის დასურათებული საბავშვო წიგნები: „დაჩის ზღაპრები“, „სალამურას თავგადასავალი“, „შვლის ნუკრის ნაამბობი“. მხატვრისადმი დიდი სიყვარული გამოხატეს მის მშობლიურ დედოფლისწყაროში, სადაც იგი არჩეული იქნა საპატიო მოქალაქედ. ღონისძიებაზე პაპისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა მისმა შვილიშვილმა, თბილისის 116-ე საჯარო სკოლის III კლასის მოსწავლემ მერიკო ჟამიერაშვილმა. ცნობილ მხატვარს სიტყვებით მიმართეს ლ. ქუმელაშვილმა, ნ. ჯარიაშვილმა, ჟურნალისტმა ც. კვინტრაძემ და სხვებმა.

29 აპრილს 45-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე მაია რჩეულიშვილი) ჩატარდა ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 170-ე და გარდაცვალებიდან მე-100 წლისთავისადმი



მიძღვნილი კომპლექსური ღონისძიება. ნაწყვეტი ი. ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედებიდან წარმოადგინეს 107-ე და 188-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა: ბ. ქებაძემ, ლ. ჯინჭარაძემ, კ. მღებრიშვილმა და სხვებმა; ილიას ლექსები წაიკითხეს მკითხველებმა: ანა, ქეთინო და ნათია მერაბიშვილებმა, ო. ჩიტიშვილმა, მ. მელაძემ, ა. კირთაძემ და სხვებმა; ქართული სიმღერები შეასრულა ბავშვთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა.

8 მაისს მე-3 საქალაქო ფილიალში (გამგე თამარ ტაბახმელაშვილი) მოენწყობეზვედრა ხანდაზმულ მკითხველებთან. შეხვედრა გახსნა ამ ბიბლიოთეკის ყოფილმა გამგემ მერი ლომიამ. ღონისძიებაზე მოწვეულნი იყვნენ ბიბლიოთეკის ხანდაზმული მკითხველები და ბიბლიოთეკის გულშემატკივრები: პედაგოგი ლ. ნოზაძე, პოეტი ლამარა რჩეულიშვილი, პენსიონერი ასიგა ჩიტკერიშვილი. მათზე ისაუბრეს ბიბლიოთეკარებმა და მკითხველებმა. სტუმრებს გულთბილად მიესალმნენ: პედაგოგი გ. გოგინაშვილი, მ. გიოსაშვილი, ლ. ოსაძე, მეთოდისტები: ლ. ქუმელაშვილი, ნ. ჯარიაშვილი. საკუთარი ლექსები წაიკითხეს 87-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა: ა. პირტაიამ, ლ. ლორთქიფანიძემ, თ. ტატულაშვილმა, ზ. ლუტიძემ და სხვებმა.

8 მაისს ცენტრალურ საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ლ. ასათიანისა და მ. გელოვანის დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო. მისი ორგანიზატორები იყვნენ ლიტერატურული სალონების „დიაოხისა“ და „მაჭახელას“ ხელმძღვანელები. ლიტერატურულ სალონებსა და ბიბლიოთეკის საქმიან ურთიერთობაზე ისაუბრა სამკითხველო დარბაზის გამგემ რ. კალმახელიძემ, საღამოს უძღვებოდა პოეტი და პუბლიცისტი იკა ქადაგიძე. პოეტისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს 51-ე და 64-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა თ. ღვალაძემ, ა.



მესხიძემ და ნ. ტალახაძემ, მ. გელოვანის ცხოვრების ეპიზოდები გაიხსენა დოდო ხიმშიაშვილმა. ლ. ასათიანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ისაუბრა ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ნუნუ დუმბაძემ.

პოეტმა ერეკლე სალიანი ისაუბრა მ. გელოვანისა და ლ. ასათიანის პოეზიის დანიშნულებასა და ადგილზე ქართული პოეზიის ისტორიაში. საღამოს ესწრებოდა პროფკავშირების თავმჯდომარე ც. ჯაფარიძე. ღონისძიებაზე მხატვრული ნაწილი წარმოადგინა ფოლკლორის სასახლის ბავშვთა ვოკალურმა ანსამბლმა.

10 მაისს 32-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ლია უხურგუნაშვილი) მოენყო პოეტ ოთარ შალამბერიძის დაბადებიდან 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო. პოეტის ლექსები წაიკითხა 118-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მ. ბროლაძემ, მ. ბიბილურმა, ლ. მენაბდემ, ფ. ლოლუაშვილმა. მონტაჟი წარმოადგინეს 118-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა: მ. მეტრეველმა, ა. ჯინჭველაშვილმა, 120-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ა. და ზ. ლაშაურებმა,

119-ე საჯარო სკოლის მოსწავლემ თ. არაბულმა. პოეტისადმი სიყვარული გამოხატეს თავიანთ გამოსვლებში მთავარმა ბიბლიოთეკარებმა ლ. ქუმელაშვილმა, ნ. ჯარიაშვილმა, პოეტებმა ალ. ნამორაძემ, ო. შალამბერიძის მეგობარმა ც. კვინტრაძემ და სხვებმა.

11 მაისს 55-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ნ. კოკოლოშვილი) მოენყო შეხვედრა მწერალ ნანა კანდელაკთან. მწერლის ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედების შესახებ ისაუბრეს ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ნანა გოგატიშვილმა, ნ. ყაულაშვილმა, თ. მეგრელიშვილმა და სხვებმა. საინტერესო იყო გამომცემლობა „საქართველოს“ ყოფილი თანამშრომლის ც. კვინტრაძის გამოსვლა. მწერალს მიესალმნენ ლ. ქუმელაშვილი, ლ. ჩხარტიშვილი და სხვები.


ი. ჭავჭავაძის საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით. საინტერესო ღონისძიება ჩატარდა 23-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე მ. თვარაძე), პოეტის შემოქმედების შესახებ ისაუბრა ფილოლოგმა ნ. ონიკაშვილმა.

პოეტის პატრიოტულ მოტივზე შექმნილი ნაწარმოებების მონტაჟი წარმოადგინეს თბილისის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტებმა: მ. მჭედლიძემ, თ. ხიზანიშვილმა, ნ. ალლაძემ, თ. ჯღარკავამ, მ. შუბითიძემ. პოეტის ლექსები ინგლისურ ენაზე წაიკითხა ნინო ამაშუკელმა.

17 მაისს 53-ე ფილიალში (გამგე მ.



ბერიძე) 24-ე ფილიალთან ერთად ჩატარდა უდროოდ გარდაცვლილ შემოქმედთა სსოფნისადმი მიძღვნილი საღამო. საღამოზე გულთბილად გაიხსენეს უდროოდ წასული შემოქმედნი: ლ. მამაცაშვილი, დ. ნადირაძე, ლ. გუჯეჯიანი, ზ. ხუროშვილი, ზ. ეპიტაშვილი, ხ. მთიულიშვილი, შ. და ლ. ნიორაძეები, გ. გოგიტიძე, ზ. გონაშვილი, კ. ანთაძე. ა. ჩიხლაძე, ზურაბ და ზაქრო კუჭაშვილები. მათი შემოქმედების შესახებ ისაუბრეს ხელოვნების კოლეჯის მოსწავლეებმა: ქ. ლობჯანიძემ, თ. გელენიძემ, დ. კვირიკაშვილმა, ზ. ჭოტაშვილმა და სხვებმა. საღამოზე საეკლესიო სიმღერებს ასრულებდნენ გლდანის წმინდა ლომისის სახელობის ეკლესიის მგალობლები მ. ფოქსაშვილი და მ. გოგოლაშვილი.



19 მაისს 51-ე ბიბლიოთეკაში (გამგე ნ. ჯანელიძე) მოენწყო შეხვედრა პოეტ თინათინ მღვდლიაშვილთან. პოეტის შემოქმედებაზე ისაუბრა თსუ



სტუდენტმა ნანა ბიჩინაშვილმა. საღამოზე განსაკუთრებით ხაზი გაესვა პოეტის მიერ პატრიოტულ მოტივზე შექმნილი ლექსების ღირსებებზე. პოეტის ლექსები წაიკითხეს ახალგაზრდა მკითხველებმა: გ. და ნ. კახიძეებმა, ა. ზვიადაძემ, თ. ხარშილაძემ. მ. კეკელიამ, თ. ფალელიშვილმა; საღამოზე მუსიკალური ნაწილი წარმოადგინა გიორგი ბერიძემ.

31 მაისს 48-ე საქალაქო ფილიალში (გამგე დ. კვიციანი) მოენწყო ელისაბედ ზარდიაშვილის წიგნის „ამბავი ორი სევდიანი სიყვარულისა“ განხილვა. წიგნში მოთხრობილია ა. წერეთლისა და ა. ყაზბეგის ცხოვრების ბევრი გაუხმაურებელი ფაქტების შესახებ. ეს მასალა მოიპოვა ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიის პროფესორმა

ნ. კოტინოვამ, რომელმაც 1998 წელს შეისწავლა ა. წერეთლის პირადი არქივი. წიგნში საინტერესოდაა მოთხრობილი ა. წერეთლისა და ა. ყაზბეგის უიმედო სიყვარულის შესახებ; ნ. კოტინოვას მიერ მოპოვებულ მასალებზე საინტერესო წიგნი შექმნა ელისაბედ მინდიაშვილმა. მან დამსწრეთ მოუთხრო ა. ყაზბეგის უიმედო სიყვარულის შესახებ. როგორც გამოირკვა, ა. ყაზბეგს 1869 წელს მოსკოვში შეჰყვარებია გენერალ ჩერნიშოვ-კრუგლოვის ქალიშვილი

ნინო. უიმედო სიყვარულმა საგრძნობლად შეარყია ა. ყაზბეგის ჯანმრთელობა. ამ და სხვა საინტერესო დეტალზე იყო საუბარი მთელი ღონისძიების მსვლელობის დროს. ავტორმა მადლობა გადაუხადა ბიბლიოთეკარებსა და 153-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგებს საინტერესო ღონისძიებისათვის. ა. წერეთლის ლექსებზე დანერგილი სიმღერები შეასრულეს ფონიჭალის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მგალობლებმა თ. კერესელიძემ, მ. ბეჯაჯიანმა და ი. ჯარიაშვილმა.

5 ივნისს 56-ე ფილიალში (გამგე დ. საბანიძე) ჩატარდა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო. პოეტის შემოქმედების ცალკეული ეპიზოდები წარმოადგინეს 187-ე საჯარო



სკოლის მოსწავლეებმა: მ. უჯმაჯურიძემ, ს. ქიმაძემ, თ. კენკიშვილმა, ბ. ჭოლაძემ, ლ. ქანთარია, ნ. ხვიჩიამ და სხვებმა, მხატვრულ ნაწილს ხელმძღვანელობდნენ პედაგოგები მ. ფანიაშვილი, ქ. ბუხრაშვილი, ც. ალავერდაშვილი. ღონისძიებაში მონაწილეობდა გაერთიანების დირექტორის მოადგილე მესხიძე. კვირეულის დევიზით შინაარსიან ღონისძიებებს ატარებს ბავშვთა და ახალგაზრდობის ბიბლიოთეკა.


კვირეულის დღეებში ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა და მკითხველებმა შეხვედრა მოუწყვეს პოეტ ოთარ შალამბერიძეს და ზუმრედ გოდერძიშვილს. მათი შემოქმედება მოკლედ მიმოიხილა ბიბლიოთეკის საცნობო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების წამყვანმა ბიბლიოგრაფმა ნ. აბულაძემ. იუბილარ პოეტებს მიესალმნენ პოეტი შოთა ხოდაშნელი და ელგუჯა ლებანიძე. პოეტებს მიესალმნენ ბიბლიოთეკის თანამშრომლები: გ. ჯინჭარაძე, ე. ჟამუშაძე. იუბილარი პოეტების ლექსები წაიკითხა მთავარმა ბიბლიოთეკარმა ნათელა ჭონიშვილმა. მეორე ღონისძიება



სასწავლებლის მოსწავლეთა მონაწილეობით. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ნორჩი მკითხველები ს. შაშიაშვილი და მ. ბუაძე. კვირეული დაიხურა 15 მაისს; ამ დღეს ჩატარდა თეორიული კონფერენცია თემაზე „წიგნი ჩემი ცხოვრების თანამგზავრი“. წიგნისა და ბიბლიოთეკის დანიშნულებაზე, ახალგაზრდობის აღზრდისა და სწავლების პროცესში მათი გამოყენების საკითხებზე ისაუბრეს ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ ო. შოთაშვილმა, კოორდინატორმა ქ. ნიკურაძემ, ე. ქამუშაძემ, ზ. გოდერძიშვილმა; ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქტორმა პროფ. ა. ლორიამ, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის განყოფილების უფროსმა გურამ თაყნიაშვილმა; ბიბლიოთეკის მკითხველებმა: ვ. დაუშვილმა, ე. ჩხეიძემ, თ. ნიკლაურმა, ნ. ტურძელაძემ და სხვებმა. კონფერენციის დასასრულს 126-ე საჯარო სკოლის პედაგოგმა მ. შეყილაძემ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა ისტორიის დარგში მე-7-8 კლასებისათვის განკუთვნილი ელექტრონული წიგნები. ამავე ბიბლიოთეკის დიდუბის სამკითხველო დარბაზში გაიმართა საინტერესო ღონისძიება თემაზე „ჩემი საყვარელი წიგნი“. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ლიცეუმი „სარაგისა“ და მე-100 საჯარო სკოლის მოსწავლეები: გაიმართა კამათი ბიბლიოთეკისა და წიგნის ადგილის შესახებ ბავშვთა და მოზარდთა ცხოვრებაში. ეს იყო საინტერესო დიალოგი საინტერესო წიგნებისა და გულისხმიერი ბიბლიოთეკ-



მიეძღვნა ქართული ფოლკლორის ნიმუშების კითხვასა და პოპულარიზაციას. ხალხური ზეპირსიტყვიერების შესახებ ისაუბრა პოეტმა შოთა ხოდაშნელმა. პოეზიის ცალკეული ნიმუშები საღამოზე წარმოადგინეს დ. ტარყაშვილმა და ქონიშვილმა. შესრულებულ იქნა მუსიკალური ნომრები ხელოვნების



არების შესახებ. ბიბლიოთეკარებმა მადლობა გადაუხადეს პედაგოგებს ქ. ბერიანიძესა და ნ. გურგენიძეს ბიბლიოთეკ-



ასთან თანამშრომლობისათვის.

ქ. თბილისის 182-ე საჯარო სკოლა (დირექტორი გ. ლამბაშიძე, ბიბლიოთეკის გამგე ნ. ასთავიშვილი-გოგობია) ყოველთვის გამოირჩევა ღრმად შინაარსიანი ღონისძიებების ჩატარებით. წელს კვირეულის პროგრამით ბიბლიოთეკაში ჩატარდა ლიტერატურული საღამო „ჩვენი საყვარელი პოეტი ანა კალანდაძე“. საღამოზე ბავშვ მკითხველებმა გამოავლინეს დიდი ინტერესი არა მარტო ა. კალანდაძის პოეზიისადმი; მათ მაღალ პროფესიულ დონეზე წარმოადგინეს ქართული ცეკვები და სიმღერები. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მოსწავლეები: ნ. ბადრიშვილი, ე. ნასყიდაშვილი, ნ. კუპრეიშვილი, ე. დარჯაია. ფანდურზე და სალამურზე სიმღერები შეასრულეს გ. დოიაშვილმა, გ. ხელაშვილმა; დოლზე უკრავდა ლ. ბაიაძე. მოსწავლეთაგან ასევე ქების ღირსნი არიან: ე. ნასყიდაშვილი, დ. გოგობია, თ. კახიძე, ნ. ნიჟარიძე, თ. თექეთუმანიძე, ნ. ლიპარტაშვილი, ს. ხუნაშვილი, ბ. გელაშვილი, თ. ტაბატაძე, ბ. ბეგაშვილი, ნ. ლონდაძე, ს. კობერიძე, ე. გაბრიელიანი, ი. მაჭავარიანი და სხვები. საღამოს ესწრებოდნენ: ეროვნული ბიბლიოთეკის წამყვანი სპეციალისტი თეა იოსავა, 146-ე სკოლის ბიბლიოთეკის გამგე ნ. თეთვაძე, სკოლის სასწავლო

ნაწილის გამგე, პედაგოგები, მშობლები. კვირეულის დევიზით საინტერესო ღონისძიებები ჩატარდა ქ. რუსთავში. (გაერთიანების დირექტორი ლ. ხარბედია) 30 აპრილს რუსთავის ყველა საქალაქო ფილიალში მოენყო შეხვედრები დევიზით: „ნიგნი, ბიბლიოთეკა, მკითხველი“. იმავე დღეს ცენტრალურ საქალაქო ბიბლიოთეკაში გაიმართა საინტერესო ღონისძიება „დღეები, როდესაც ერთმანეთს ვეფერებით“. ამ დღეს ბიბლიოთეკას ესტუმრნენ ღვანლმოსილი ბიბლიოთეკარები, რომლებიც ამჟამად ჩამოშორდნენ აქტიურ საბიბლიოთეკო ცხოვრებას, ისინი, რომლებიც წლების მანძილზე ღირსეულად ატარებდნენ ნამდვილ ბიბლიოთეკარის სახელს. ღონისძიებას ახლდა თბილი სიტყვები, საქმით დადასტურებული მოგონებები, სინანულიცა და სიამაყის გრძნობაც. დამსახურებულ მუშაკებს მიესალმნენ ქალაქის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე ნანა ძიგუა; ბიბლიოთეკარებს მადლობის სიგელები გადასცა ქალაქის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოადგილემ ლია ლატარიაშვილი; ღონისძიებას ესწრებოდნენ ჟურნალისტები თ. სიყმაშვილი, მ. ჯანგირაშვილი. იმავე დღეს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მოენყო შეხვედრა დოცენტ დ. ბეთხოშვილთან. გაიმართა მისი წიგნის „კ. კეკელიძე – რუსთველოლოგი“ პრეზენტაცია, აქვე



ჩატარდა კ. კალაძის დაბადებიდან ასი წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

რუსთავის საჯარო სკოლების ბიბლიოთეკები იმთავითვე გამოირჩეოდნენ შინაარსიანი ღონისძიებების ჩატარებით. 19 მაისს რუსთავის მწერალთა სასახლეში მოეწყო შეხვედრა ადგილობრივ მწერლებსა და მოსწავლე ახალგაზრდებს შორის.

ღონისძიებას ესწრებოდნენ და ქართველ მწერალთა მხატვრული ნიმუშები წარმოადგინეს ამავე სკოლის მოსწავლეებმა: თ. ბოსტაშვილმა, მ. მიქაუტაძემ, მ. ბატიაშვილმა. ვ. ფირცხალაშვილმა, თ. ქაშაკაშვილმა. ღონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო ბიბლიოთეკის გამგე მზია ოქრომჭედლიძე.

N1 საქალაქო საბავშვო ბიბლიოთეკაში კვირეულის პროგრამით გაიმართა ლიტერატურული ღონისძიება კომპოზიცია „ერთი ლექსის“ სტუმრობით. ბიბლიოთეკას სტუმრად ეწვივნენ მე-9 საჯარო სკოლის მე-3 კლასის მოსწავლეები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ლექსების კითხვით, ესენი იყვნენ: მ. ბატიაშვილი, თ. ბოსტაშვილი, ლ. ფარემუზაშვილი, ლ. სპანდერაშვილი, ე. იმნაძე, ლ. ყოყოჩაშვილი, თ. ქაშაკაშვილი და სხვები. ბავშვებს საკუთარი ლექსები წაუკითხეს პოეტებმა ე. გოშაძემ და ც. ბულაშვილმა. ამავე დღეს საბავშვო ბიბლიოთეკამ მე-9 საჯარო სკოლას საჩუქრად გადასცა საბავშვო წიგნები.

საქართველოს ცენტრალურ რაიონულ ბიბლიოთეკებში, როგორც ჩვენი ჟურნალის მკითხველებმა იციან გამოქვეყნებული მიმოხილვებიდან, კვირეულის პროგრამით იმართებოდა საინტერესო კომპლექსური ღონისძიებები, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობდნენ საჯარო სკოლები, ადგილობრივი ხელისუფლებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები. როგორც აღვნიშნეთ, მიმდინარე წელს საბიბლიოთეკო ქსელის ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით გატარდა რადიკალური ცვლილებები, რამაც შეაფერხა კვირეულის სათანადო დონეზე ჩატარება.

ცალკეულმა რაიონებმა, რომლებიც ადრევე გამოირჩეოდნენ აქტიურობით, წელსაც ჩაატარეს ასეთი ღონისძიებები; სამწუხაროდ, ბევრმა მათგანმა ვერ მოახერხა ინფორმაციის გადმოგზავნა ჟურნალის რედაქციაში.

სენაკის საბიბლიოთეკო გაერთიანება (დირექტორი ც. ხორავა) მკითხველებთან ურთიერთობისას ნაირფეროვან ფორმებს იყენებს. ბიბლიოთეკას გააჩნია უნივერსალური შინაარსის ფონდი, რომელიც უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც ივსება ახალი გამოცემებით, მიმდინარე წელს კვირეული გაიხსნა N2-ე ბიბლიოთეკა-ფილიალში (გამგე ნ. ელიავა). აქ მოეწყო შეჯიბრება „ეგების ჩემი ნათქვამი, სამშობლოს წაემველოსა“. თეკლათის N8-ე ფილიალში ჩატარდა ლიტერატურული საღამო „წიგნი შენი ქომაგი და შენი მრჩეველი“. სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკაში ჩატარდა



ლიტერატურული კომპოზიცია „მუზებთან ჭიდილში ათევდნენ ღამეს“. საჯარო სკოლის თვრამეტმა მოსწავლემ შეაგროვა და წარმოადგინა მასალები ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი პოეტების ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

ფოცხოს N12 ფილიალში ჩატარებული ღონისძიების თემატიკა იყო „ენა, მამული, სარწმუნოება“.

ლესაძამის N4 ფილიალში ჩატარდა ლიტერატურული საღამო, რომელიც მიეძღვნა მ. გელოვანის დაბადებიდან 90-ე წლისთავს. ს. ზანის



ბიბლიოთეკა-ფილიალის თანამშრომლები სახლში ესტუმრნენ სამამულო ომის მონაწილეებს.

კვირეულის დახურვა მოეწყო ცენტრალურ საჯარო ბიბლიოთეკაში. აქ მოწყობილი იყო გამოფენა „ჩვენი ბიბლიოთეკარები“. ოფიციალურ ნაწილს ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელი მუშაკები. ბიბლიოთეკარებს გადასცეს სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

დუშეთის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (დირექტორი ი. წამალაძე) ყველა ღონისძიების შინაარსი შეესაბამება ადგილობრივ პირობებსა და პროფილს. 2 მაისს ბარისახოს სასოფლო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ღონისძიება თემაზე „საარაგვოს როლი საქართველოს ისტორიაში“. 10 მაისს ფასანაურის ბიბლიოთეკის ფილიალში (გამგე რ. კაკალია) ჩატარდა ღონისძიება თემაზე „ნიგნის მნიშვნელობა 21-ე საუკუნეში“. 15 მაისს ცენტრალურ რაიონულ ბიბლიოთეკაში ჩატარდა ლიტერატურული საღამო „ილია ჭავჭავაძე - 170“. ღონისძიებები ჩატარდა აბანოსხევის, წითელსოფლის, მღეთის და სხვ. ბიბლიოთეკა-ფილიალებში.

თიანეთის რაიონის მთავარ ბიბლიოთეკაში (დირექტორი ს. გონჯილაშვილი) 10 მაისს ჩატარდა ღონისძიება, რომელიც მიეძღვნა 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას. შეხვედრის მონაწილეებმა გულთბილად გაიხსენეს ნოდარ ჯანგირაშვილი - 9 აპრილს მსხვერპლად შეწირული ვაჟკაცი. მის ხსოვნას ლექსები მიუძღვნეს ალაზა ხაიაურმა და ბიბლიოთეკის აქტიურმა მკითხველებმა: ი. ღერუაშვილმა, თ. ხაჩიძემ, ნ. ფაშურიშვილმა, მ. ქისტაურმა და სხვებმა.

კვირეული პროგრამით ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია იმართება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკებში (გენერალური დირექტორი ბ. გაგუა). მიმდინარე წელს მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტმა (დირექტორი ე. ჯგერენაია) წარმოადგინა რამდენიმე საინტერესო

პროექტის პრეზენტაცია. ბიბლიოთეკის თანამშრომლები და მკითხველები გაეცნენ ცალკეული პროექტების ელექტრონულ ვერსიებს. მათგან შედარებით დასრულებული სახე აქვს სამოქალაქო განათლების ვირტუალურ ბიბლიოთეკას - Online ლექსიკონს, რომლის შევსებითი სამუშაოები გრძელდება. მკითხველთა მოწონება დაიმსახურა ხელოვნების ენციკლოპედიური და უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონის მასალების წაროდგენამ.

დამთავრებულია მუშაობა ადამიანის უფლებათა ლექსიკონზე, გრძელდება



მუშაობა საქართველოს ისტორიულ ძეგლთა ლექსიკონის სრულყოფისათვის. ამავ პროგრამით მოეწყო სამოქალაქო განათლების მოკლე ლექსიკონისა და ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურული ფორუმის (ებლიტფოს) პრეზენტაციები. პრეზენტაციას უძღვებოდა და ცალკეულ საკითხებზე პროფესიულ განმარტებებს იძლეოდა ზემოაღნიშნული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე გიორგი კილაძე.

საბიბლიოთეკო კვირეული მიმდინარე წელს, მართალია, არ ჩატარებულა იმ მასშტაბებით, როგორც ადრე, თუმცა მხედველობაშია მისაღები ის, რომ აქ წარმოდგენილი ინფორმაცია სრულყოფილად ვერ ასახავს ქვეყნის ბიბლიოთეკებში ჩატარებული ღონისძიებების სურათს.

მიმოხილვა მოამზადა გურამ თაყნიაშვილმა



„დავითიანი“ და სინანული



რამაზ მეფარიშვილი
პროფესორი

დავით გურამიშვილის „დავითიანის“ მხატვრული სამყაროს თავისებურება ვლინდება ამაღლებულ მხატვრულ სახეებში, რაც სათაურშივე ჩანს. კერძოდ, პოეტი სიმბოლურად წარმოსახავს თავის თავს დავით ფსალმუნთმგალობელთა ავტორად. მისი სიახლოვე ბიბლიური დავითის საგალობლებთან ისტორიული, ცხოვრებისეული რეალიების წარმოსახვითაც გამოიხატება. ფიქრთა-ფიქრი „ორი დავითისა“ ძნელი გასარჩევია, რომლის შესახებ მართებულად მიუთითებს ქალბატონი ლალი დათაშვილი: „ხშირად ისე ერწყმის ურთიერთს ორი დავითის ნაზრევი, რომ მკითხველისაგან მეტად დაკვირვებული თვალი და „ფსალმუნის“ კარგი ცოდნა საჭირო იმის ამოსაცნობად, თუ სად მთავრდება დავით გურამიშვილის ორიგინალური ფრაზა და საიდან იწყება მისი დიდი სენიის დამონება. (ლ. დათაშვილი, „დავითიანის“ სწავლებისათვის. – თბ., 1998, – გვ. 9).

დავით გურამიშვილი საკუთარ თავს ადამის ჩამომავლად თვლის და თავის ცოდვათა ათვლის წერტილად პირველცოდვას მიიჩნევს. მისი მრწამსით, ყველა ადამიანი უნდა იხანებდეს პირველცოდვას ნათლისღების საფუძველზე, ვითარცა თავისას.

რა არის სინანული? იგი საიდუმლოა, რომლის შესახებ პეტრე მოციქული ამბობს: „შეინანიეთ და ნათელილეთ კაცად-კაცმან სახელითა უფლისა. იესო ქრისტესითა მისატივეებლად ცოდვათა, და მიიღეთ ნიჭი სულისა წმიდისა“. (მცხეთური ხელნაწერი. – თბ., 1986. – გვ. 26): ამ საიდუმლოსთან მიახლება შესაძლებელია გულწრფელი სინანულით. ეს კი ადამიანს სინმიდეს უბრუნებს

და ამაღლებულს ხდის. საკუთარ ნაკლოვანებათა შეგრძნება, თვითაღზრდა ყველაზე დიდი საოცრებაა საოცრებათა შორის. ესაა გზა თვითსახიერებისაკენ. ბატონი რევაზ სირაძე წერს: „ასეთი იყო გზა თვითსრულყოფისა, თვითგანვითარებისა. ამ დროის იდეალია თავშეკავება და დათმობა. შუა საუკუნეებმა საფიქრალად ის გაიხადა, რითაც ადამიანი სუსტია ამ ქვეყნად, ხოლო რენესანსმა – რითაც ძლიერი“. (რ. სირაძე. სახისმეტყველება. – თბ., 1982. – გვ. 64). შესაძლოა თვითშემეცნება, თვითაღზრდა „ზეშთასოფლის“ მადლის ხელდასმით ცნაურდება. ამას კი სიხარული და სიადრბაისლე მოაქვს. „სინანულს სიხარულიც თან ახლავს, სიხარული იმის გამო, რომ პიროვნება სწორმა განწყობილებამ მოიცვა“. (რ. სირაძე. ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები. – თბ., 1987. – გვ. 128).

ბიბლიურმა დავითმა დაარღვია მცნებები – „არ იმრუშო“, „არ კაც კლა“. მაგრამ ჩადენილი დანაშაული, ცოდვა არ ნახოცილა მისი ცნობიერებიდან. უფრო მეტიც, მუდმივთანმხლებ სინანულად განივთდა მასში. მისი ფსალმუნები ამის დასტურია, რომლებშიც იკვეთება აზრი, რომ დავით ფსალმუნთმგალობელი, უპირველეს ყოვლისა, ღვთის წინაშეა დამნაშავე. მეფე დიდი ტკივილით ამბობს: „უფროსს განმბანე მე უსჯულოებასა ჩემისაგან და ცოდვათა ჩემთაგან განმმადე მე“. (ფს. 50.4). ამ სტრიქონების თავისებური წარმოჩინება დავით გურამიშვილის შემდეგი სიტყვები: „მინყალე დიდის წყალობით საწყალობელი, უმჯულოება ამოხოცე, უფროსს განმბანე“. („დავითიანი“. – გვ. 227). აქ იმდენი თანხვედრაა, რომ შეიძლება გაჩნდეს კითხვა: რომელ დავითს

ვედრება ის? როგორც ჩანს, ორივეს. „დავითიანი“ რომ „დავითის“ პირველ წყაროა, უკვე აღვნიშნეთ, სადაც ნათლად იკვეთება დავით ფსალმუნთმგალობელთან შიგადაშიგ შეხმიანების, თანხვედრის მაგალითები. სახელდობრ, „ფსალმუნნი“: „შენგან არს წყარო ცხოვრებისა“ (ფს. 35.10). „დავითიანი“: „ცხოვრების წყარო უხსენე ხე ცხოვრებისა დარადო“. (გვ. 21).

„დავითიანიში“ განსაკუთრებული სიღრმითაა ნაჩვენები პენიტენციალური სინანული, რაც დავით მეფის კვალობაზე მოიაზრება. პოეტი ზედმინევნით ზუსტად გადმოგვცემს სულის მოძრაობას. გრივერ ფარულავას სიტყვით: „ქრისტიანული ხელოვნება სულის ხელოვნებაა: „იხარებდეთ სულითა“, „სულითა გულისხმა-ყო“, „სულითა ბრწყინვალენი“, „მდულარებაჲ სულისაჲ“, „ენაჲ სულისაჲ“. (გრ. ფარულავა. მხატვრული სახის ბუნებისათვის ქართულში. – თბ., 1982. – გვ. 18).

„დავითიანი“ აღსარებაა, სადაც დავით გურამიშვილი ითავისებს ცოდვას: „ზურგით მძიმე ტვირთი მკიდია ცოდვისა, არ სუბუქია“ (გვ. 74), „ვლოცავ ცოდვილსა ჩემს პირით“ (გვ. 23), „უფალო, ვითხოვ შემინდე!“ (გვ. 81), „ქართველსა მადლს ცოდვამ დასძლიაო“ (გვ. 71) და ა.შ.

ყოველი ადამიანი ნაზიარებია პირველცოდვასთან, რომელიც ნათლისღებით გამოისყიდება. მაგრამ შემდგომ ამ სამზეოში რამდენს ჩადის? მისი აღმოფხვრა პენიტენციალური სინანულითაა შესაძლებელი. პირველი ცოდვა აახლოებს დავით გურამიშვილსა და ბიბლიურ დავითს ადამიანთან. პოეტი თავისებურად ლექსავს ადამის ტომთა ცოდვამადლს, წარღვნას, ენის აღრევას. თითქოსდა წამლილია დროისა და სივრცის ზღვარი. „დავით გურამიშვილი მთელი სამყაროა და მთელი სამყაროც დავით გურამიშვილი. ადამის ცოდვები დავითის ცოდვებია და დავითის ცოდვები ადამისა“ (ტ. მოსია. „დავითიანის“ ლიტერატურული წყაროსა და პოეტიკის საკითხები. – გვ. 28).

„დავითიანიში“ ცოდვის აღმოფხვრა სულის სიმშვიდეს განაპირობებს. ცოდვის შეგრძნება არ ნიშნავს მის მოსპობას. იგი მხოლოდ

პირველი საწყისია. მას უნდა მოსდევდეს აღსარება. აღსარების წინ კარგი იქნება ღირსი თეოდორა კონსტანტინეპოლის ცხოვრების ნაკითხვა. წმიდა ბასილის მონაწიემ გრიგოლმა სასწაულებრივი ჩვენება იხილა: მას თეოდორა მოეცლინა და უამბო, თუ რა გადახდა სიკვდილის ჟამს და მის შემდეგ, როდესაც სული საშინელ განსაცდელში იყო. თეოდორამ დანვრილებით აღწერა, როგორ ედავებოდნენ ბოროტი სულები და როგორ განიხილავდნენ მის ამქვეყნიურ ცხოვრებას. აქედან გამომდინარე, ადამიანს ერთადერთი სურვილი უნდა ამოძრავებდეს: სულის განმედა. ეს კი სინანულით, აღსარებით, ზიარებით უნდა ხდებოდეს და ადამიანმა თავადვე უნდა მიიღო გადანყვებილება, ე.ი. უნდა გაუჩნდეს სურვილი სინანულისა. მთელი სამყარო, რომ დაგადგეს თავზე ვერაფერს გახდება, რადგან სურვილი სინანულისა ამა თუ იმ პიროვნების შინაგან სისავსეობაზე – „მზეობაზეა“ დამოკიდებული.

სინანული სულის „აჯრია“ და ეს არის საფასური, რომელსაც სიცოცხლე უნდა გადაუხადო. ეს იცოდა დავით გურამიშვილმა, რომელიც „დავითიანიში“ საგანგებოდ უსვამს ხაზს: „მიიღეთ წმინდა ჭურჭელი, წაიღეთ ვისაც გასურითა“, ე.ი. ვისაც სურვილი გაქვსო. პოეტთან ჭურჭელი სხეულია. სხეული ხომ სულის ტაძარია ისევე, როგორც მთლიანად ადამიანია სულიწმიდის ტაძარი: „სულია ღვინო კეთილი“ (გვ. 22). ხოლო „ჯორცი ჭურჭელი მყარია“ (გვ. 22). აქედან ჭურჭელი ის სახე-სიმბოლოა, რომელიც ამა სოფლისა შვილთ მიემართება და იმგვარივე მნიშვნელობითაა დატვირთული, როგორც „კოკა“, „მინა“, „ჭური“, რომლებიც „დავითიანიში“ გვხვდება.

სინანულს ცრემლი ახლავს, თუმცა იგი მრავალგვარია: ცრემლი სულიერი, ლალატის, შურის, სიხარულის, ფიზიკური ტკივილის და მისთანანი. ცრემლი სინანულის საიდუმლოს ერთ-ერთი საკრალური ნიშანია. იოანე ოქროპირი წერს: „ტირილი, რომელი საჩუენებლად კაცთა არნ, მსგავს არნ იგი რომელიმე მეძავთა, რომელთა მოიქმნიან პირნი მათნი სატირლად კაცთა უგნურთა.

მე მათ ცრემლთა ვიტყვ, რომელნი არიან გულისაგან ღმობიერსა ფარულად და არა საჩუენებლად საუნჯესა შინა“ (იოანე ოქროპირი, მამათა სწავლანი. – გვ. 5).

„დავითიანში“ ცრემლი, რომელიც სინანულის ერთგვარი გამოვლინებაა, ისე როგორც დავით ფსალმუნთმგალობელთან, თვითგანწმენდის ერთგვარი გზაა. სინანულის, პენიტენციალური სინანულის საფუძველზე ხდება უზენაესთან მიახლება.

ადამიანი, რომელმაც სინანულის გზა უარყო, შეცდომილი ძეა და მოვა დრო, როდესაც ღმერთი ხელს დაიბანს „სისხლითა ცოდვილისაათა“ (ფს. 57.11). პოეტი გასაოცარი ძალით აგვიწერს განკითხვისა და ჯოჯოხეთის საშინელებებს: „თუ ცოდვამ დასძლიოს, სახმილს მიგაძალს, დაუშრეტელსა“ (გვ. 23). „ღმერთს აღარ ესმის კაცის ვედრება, ჯორც რად მიყეო-მას იყვედრება“ (გვ. 273).

დავით გურამიშვილი ღვთისმშობელს, მაცხოვარს, დავით ფსალმუნთმგალობელს სამყაროს მხსნელად წარმოგვიჩენს, რადგან მათი ტანჯვის სანაცვლოდ მოხდა ჩვენი ცოდვათაგან გათავისუფლება.

ადამიანს ღმერთმა ნების თავისუფლება უწყალობა და სინანულის საფუძველზე მიეახლება სიკეთეს.


სიკეთე თავის თავში საღვთო ძალას შეიცავს, ხოლო უარყოფა შინაგანი არამდგრადობაა უზენაესის მიმართ. უსიკეთობას ანუ სიკეთის ნაკლოვანებას სასჯელი მოსდევს, რომლის აღსრულების ჟამი შეიძლება მეყსეულად ან სულაც მრავალი წლის შემდეგ დადგეს. იგი სხვადასხვა ფორმით შეიძლება გამოვლინდეს: უბედურებით, ზნეობრივი

დაცემით, მაგრამ ყველაზე საშინელია სულიერებისადმი ინდიფერენტულობა.

როცა ადამიანი სიკეთეს კარგავს, იგი სიყვარულს კარგავს და მინიერების ტყვედ იქცევა. სხვაში მტერსა და მოძალადეს ხედავს. მას არჩევანი მიეცა, მაგრამ ხშირად მესამეს ირჩევს. ალბათ, ამიტომაც ის მთავარი გზები, რომლებითაც სიკეთე მოგვეახლება, თავისებური სულის „შესაკრებელია“: სხვათა წარმატებებით გახარება, შურის გულიდან განდევნა, სიტყვისა და საქმის თანხვედრა.

როგორ შეიძლება გავითავისოთ სიკეთე? ალბათ უნდა დავბრუნდეთ საკუთარ თავთან, სინანულთან და სულიერებასთან. ადამიანს სულიერების მაღლი იმდენად მიენიჭება, რამდენადაც მან საკუთარი თავი ღმერთის ნებას დაუმორჩილა. სოლომონ ბრძენი ამბობს, რომ სიბრძნე „მხოლოდ უბიწო გულში ივანებს“ და მისი საფუძველთა-საფუძველი სულიერებაშია საგულვებელი. სინანული შობს სიკეთეს, სიკეთე კი სულიერებას და სამივე ერთად ადამიანის შინაგან სისავსეობას. ფორმულით ეს ასე გამოიხატება: სინანული+სიკეთე+სულიერება=შინაგან სისავსეობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „დავითიანი“ ქვეშარიტად მესულიერებაა. მესიკეთეობაა, მესისავსეობაა, მეთვითშემეცნებაა. „ყმანვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო: „ვინ არის, სიდან მოსულა, სად არის, წავა სადაო?“ ე.ი. საღვთო, საერო სწავლით უნდა მიაღწიოს თვითშემეცნებას. „დავითიანი“ სიყვარულია უფლისა“: „სახით სიტყვა მშვენიერო, სხიო, მზეთა-მზის სახეო“. „დავითიანი“ აცოცხლებს ყველა ჩვენგანის სულის მოძრაობას.



რამდენად მნიშვნელოვანია ბიბლიოთეკარების როლი ციფრულ ეპოქაში?

33 მიზეზი, თუ რატომ არიან ბიბლიოთეკები და ბიბლიოთეკარები დღემდე ძალიან საჭირონი

ვილ შერმანი

სტატია გამოქვეყნდა ვებ-გვერდზე – „Degreetutor“, რომელიც მოზრდილთა განათლების საკითხებს შეეხება. ავტორი ვილ შერმანი ამერიკელი მწერალი, ჟურნალისტი და ვებ-საიტების საუკეთესო ექსპერტია. იგი კალიფორნიის ინსტიტუტის კურსდამთავრებულია და თანამშრომლობს ყოველდღიურ ინტერნეტგაზეთთან „შანტიგო თიმეს“; აგრეთვე, ფორუმების მოდერატორებთან და ვებმასტერებთან, ინტერნეტ-მარკეტინგით დაინტერესებულ სხვადასხვა ფორუმებთან და კერძო პირებთან.

ბევრის ვარაუდით, დიგიტალიზაციის ერა წიგნის თაროების სრულ გაუქმებასა და ბიბლიოთეკების მრავალსაუკუნოვანი ეპოქის დასრულებამდე მიგვიყვანს. ტექნოლოგიის ამოუცნობი უნარები და პროგრესი თვით ბიბლიოთეკარსაც კი აფიქრებინებს, რომ ეს ინსტიტუტი დაცემის გზაზეა. შეიძლება ეს სიმართლეც იყოს. თუ სიმართლეა, დანაკარგი აუნაზღაურებელი იქნება. ბიბლიოთეკის არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება – ის კრიზისის განიცდის სწორედ მაშინ, როდესაც ყველაზე მეტად გვჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ ციფრულ ეპოქაში ბიბლიოთეკებსა და ბიბლიოთეკარების საქმიანობას “დრომოჭმულად” მიიჩნევენ, მრავალი მიზეზის გამო, მათი როლი შეუცვლელია. ფაქტობრივად, ამის დამამტკიცებელი 33 არგუმენტი არსებობს.

მათ ქვემოთ გაგაცნობთ:

1. ინტერნეტში ყველაფერს ვერ იპოვით

ვებ-გვერდებზე დიდი რაოდენობით განთავსებული საჭირო ინფორმაცია ილუზიას გვიქმნის იმის თაობაზე, რომ ინტერნეტში ყველაფრის მოძიება შეგვიძ-

ლია. ეს მტკნარი სიცრუეა. ამას აღიარებს Google-ის წიგნების საძიებო პროგრამის ავტორიც. კომპანია კოლოსალურ სამუშაოს ასრულებს – მსოფლიოს უდიდეს ბიბლიოთეკებში დაცული მილიონობით წიგნის დიგიტალურ ვერსიებს ქმნის. მაგრამ, Google-მა კაცობრიობის მთელი ცოდნაც რომ გააციფროს, ნაკლებ სავარაუდოა, თანამედროვე ავტორებმა და გამომცემლებმა თანხმობა განაცხადონ მათი ნაშრომების უფასოდ გავრცელებაზე ინტერნეტში. ახალი კანონი კრძალავს Google-ში საავტორო უფლებების მქონე წიგნების სრულად განთავსებას; მხოლოდ ამონარიდი. დიდი დრო გაივლის, ვიდრე ინტერნეტში ყველაზე კითხვადი გაზეთის – „New York Times“-ის ბესტსელერების უფასოდ წაკითხვას შევძლებთ; საავტორო უფლებების შესახებ არსებული კანონი წიგნს ავტორის გარდაცვალების დღიდან 70 წლის განმავლობაში იცავს.

2. ზოგიერთი საჯარო სარგებლობის დომენი ულიმიტოა.

მართალია, ინტერნეტში უკანონოდ არის განთავსებული საავტორო უფლებებით დაცული წიგნების წინასიტყვაობები, აღწერილობები და დანართები, მაგრამ სრული ნაშრომი ხელშეუხებელი რჩება.

3. ციფრული ბიბლიოთეკები არ არის ინტერნეტი

რა არის და არ არის ინტერნეტი? ამის კარგად გაცნობიერება დაგვეხმარება ნათლად განვსაზღვროთ ბიბლიოთეკის არსი და მისი მნიშვნელობა.

ალიასკას უნივერსიტეტის ელმერი. რასმუსონის სახელობის ბიბლიოთეკის მასალები გვაცნობს განსხვავებას “ონლაინ კოლექციასა” და “ინტერნეტსა” თუ “ვებ-რესურსებს” შორის. იმავე საიტიდან ვიგებთ, რომ ინტერნეტი არის ორგანიზაციების, ბიზნესმენების, კერძო პირების, ექსპერიმენტული პროექ-

ტების, თარჯიმანი ვებ-მასტერებისა და სხვა დიდი რაოდენობით გამოუქვეყნებელი მასალების ერთობლიობა.

4. ინტერნეტი ავსებს ბიბლიოთეკებს, მაგრამ ვერ ცვლის მათ

ლონგ აილენდის უნივერსიტეტში მკითხველებს უხსნიან, თურა სახის რესურსების მოპოვება შეიძლება ბიბლიოთეკაში (ახალი ამბები, ალმანახები, წიგნები და სხვა რესურსები). საინტერესოა, რომ World Wide web ერთ-ერთია იმ რესურსებს შორის, რომელიც ამ ინფორმაციის მოპოვებას სხვა სახით გვთავაზობს. მაგრამ, ეს ერთის მეორეთი ჩანაცვლება არ არის. ამ გვერდზე მოცემულია ბიბლიოთეკის უპირატესობების დიფერენცირება და განმარტება. საიტზე ინტერნეტის უპირატესობათა შორის ჩამოთვლილია: “საზოგადოებრივი აზრის შესწავლა”, “ფაქტების სწრაფი მოპოვება” და “იდეების ფართო სპექტრი”. ზოგადად, კარგად ჩანს, რომ ბიბლიოთეკები ვებისგან სრულიად განსხვავებული ინსტიტუციებია და ერთის მეორეთი ჩანაცვლებაზე საუბარი აბსურდია.

5. სასკოლო ბიბლიოთეკებთან და ბიბლიოთეკარებთან მუშაობა აუმჯობესებს მოსწავლეთა ტესტის შედეგებს.

2005 წელს ილინოისის სასკოლო ბიბლიოთეკებში ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, სტუდენტებს, რომლებიც ხშირად სარგებლობდნენ მდიდარი კოლექციებითა და კარგი კადრებით დაკომპლექტებული სასკოლო ბიბლიოთეკებით, უკეთესი შედეგები აქვთ სააბიტურო ტესტებში, ზეპირ და წერით გამოცდებში.

საინტერესოა, რომ კვლევის თანახმად, დიგიტალური ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანად მოქმედებს ტესტირების შედეგებზე; იმ სკოლებს, რომელთა კომპიუტერებიც დაკავშირებულია ბიბლიოთეკის კატალოგებთან და მონაცემთა ბაზებთან, საშუალოდ 6.2 %-ით უკეთესი შედეგები აქვთ ტესტებში.

6. გაციფრება არ ნიშნავს დესტრუქციას, ენთუზიაზმი, რომლითაც ბიბლიოთეკები Google Book Search -თან პარტნიორობაში

ჩაერთვნენ, ლემინგის მენტალიტეტის დამახურება არ არის. ოქსფორდის, მიჩიგანის, ჰარვარდის უნივერსიტეტები, მადრიდის კომპლატენსის უნივერსიტეტი, ნიუ იორკის საჯარო ბიბლიოთეკა, ტეხასის უნივერსიტეტი, კალიფორნიის უნივერსიტეტი და ბევრი სხვა უყოყმანოდ შეუერთდნენ Google-ის პროექტს. სტენდების გახსნის სანაცვლოდ, ამ ბიბლიოთეკების ყველა წიგნი ელექტრონული სახით ხელმისაწვდომი გახდება ინტერნეტში, საავტორო უფლებებით დაცული მასალების, მათ შორის პერიოდიკის მოხმარება კვლავ შეზღუდული დარჩება. ამის მიზეზი ნაწილობრივ ისაა, რომ Google -ის საკომპენსაციო პოლისი ჯერ კიდევ არ არის შესაბამის დონეზე; Google-ის სამიზნო სისტემა ვერ დაიცავს ბიბლიოთეკებს მათი მხრიდან საავტორო უფლებების დარღვევის შემთხვევაში.

7. ფაქტობრივად, გაციფრება ცოდნის გადარჩენას ნიშნავს.

დანიელ გრინშტაინს (კალიფორნიის უნივერსიტეტი) წიგნების დიგიტალიზაციის გასამართლებლად ძალზე პრაქტიკული არგუმენტი მოჰყავს: ელექტრონულ ფორმატში დაცულ წიგნებზე ნაკლებად მოქმედებს დროთა განმავლობაში ბუნებრივი პირობების ცვალებადობა ან დამტვერიანება. გრინშტაინს “კულტურულ მემკვირეობაზე” ბუნებრივი პირობების გავლენის თვალსაჩინო მაგალითად ქარიშხალ კატრინას შედეგად დანგრეული ბიბლიოთეკები მოჰყავს.

8. დიგიტალიზაციას ძალიან დიდი დრო ჭირდება.

მიუხედავად სწრაფი მუშაობისა, წიგნების სამიზნო სისტემებს ძალზე დიდი დრო ამორებს მთავარ მიზანს – ბიბლიოთეკების კედლების გახსნასა და ხელშეუხებელი საგანძურის გამოვლენამდე ბევრი სამუშაოა. წიგნის მოძრავი ტიპის გამოგონების შემდეგ შექმნილი 100 მილიონი წიგნის გაციფრება საკმაოდ ნელა მიმდინარეობს. დიგიტალიზაცია ძვირადღირებული, რთული პროცესია და Google-ის მიერ გაციფრებული მილიონი წიგნი ზღვაში წვეთია. „ ინტერნეტში არ არის

ინფორმაციის უმეტესობა”, – ამბობს ევროპაში “Google Book Search”-ის წარმომადგენლობის დირექტორი ჯენს რედმერი. მაგრამ რამდენი დრო დასჭირდება მსოფლიოს ცოდნის ინდექსირებას?

2002 წელს ლარი პეიჯი ამაყად აცხადებდა, რომ 6 წელიწადში დაახლოებით 7 მილიონ წიგნს გააციფრებდა. 2004 წლიდან Google მუშაობას შეუდგა და 2007 წლისთვის მის მონაცემთა ბაზაში მილიონი წიგნი იყო გაციფრებული. ასე რომ, თუ წელიწადში ნახევარ მილიონამდე წიგნს გავაციფრებთ, 100 მილიონი წიგნის გაციფრებას, არც მეტი და არც ნაკლები, 200 წელი დასჭირდება. თუ ვივარაუდებთ, რომ Google-ი თავს დააღწევს ლეგალურ თუ ლოჯისტიკურ გამოწვევას და ყოველ 6 წელში 7 მილიონ წიგნს გამოუშვებს, სამუშაო 2092 წლამდე ვერ დასრულდება. ამ პერიოდში უფრო დიდი სამომხმარებლო ბაზები ლოკალურ ბიბლიოთეკებს ან უკვე არსებულ ონლაინ კოლექციებს დაეყრდნობა. “ფიზიკური” ბიბლიოთეკების დაშლა მათ სრულ გაციფრებამდე ბიბლიოთეკის მესვეურებს მშრალზე დატოვებდა.

9. ბიბლიოთეკა არ არის მხოლოდ წიგნსაცავი.

ტექნოლოგია საბიბლიოთეკო სისტემაში ინტეგრირდება, მაგრამ ვერ უთანაბრდება მას. ამ ტენდენციის ექსტრემალური დაჩქარების შემთხვევაში (მიუხედავად იმისა, რომ ეს ვერ მოხდება), საბიბლიოთეკო სტენდებს მონაცემთა ბაზებამდე დავიყვანდით, ხოლო წიგნები მხოლოდ დიგიტალური ფორმით იარსებებდა. და სად იქნებოდა ბიბლიოთეკარების ადგილი? ნუთუ მათ ტექნოლოგია, დასაქმებულთა ეს “მარადიული მტერი” დაიპყრობს?

დღეს ეს საშიშროება არ გველის. ფაქტობრივად, ტექნოლოგია ამკარას ხდის, რომ ბიბლიოთეკარის სამუშაო არ არის მხოლოდ თაროებზე წიგნების განთავსება. უფრო მეტიც, მათ საქმიანობაში მოიაზრება ვიზიტორთა დახმარება, მათთვის დიგიტალური თუ სხვა ფორმით არსებული ინფორმაციის მოპოვების გზების სწავლება. ტექნოლოგია

გვეხმარება ინფორმაციის სწრაფად მოძიებაში, თუმცა ის უფრო კომპლექსური საშუალებაა და გარკვეული უნარების ფლობას მოითხოვს. ეს საქმიანობა შეთავსებადია ბიბლიოთეკარებისთვის, რომლებიც უკვე იყენებენ მაღალგანვითარებულ ტექნოლოგიებს. ეს მათ სამუშაო ინსტრუქციაშიც არის მოცემული.

10. მობილური აპარატურის გამოგონება არ მოასწავებს ნაბეჭდი წიგნისა და ბიბლიოთეკის დასასრულს.

იმის წინასწარმეტყველება, რომ წიგნი აღარ იარსებებს, მოსალოდნელი პასუხია დიგიტალიზაციისა და ტექნოლოგიების გავრცელებაზე; როგორც ჩანს, ქალაქის დამცველთა “ბროლის ბურთშიც” ცივილიზაციის დანგრევას უნდა ვხედავდეთ.

ქალაქის (და საზოგადოების) ყველაზე დიდ “საფრთხეთაგან” ერთ-ერთია Google-ის გეგმა – ელექტრონული წიგნი მობილურ აპარატურაში ჩამოტვირთვის.

უკვე არსებობს მოთხოვნის აიპოდისეული ვერსია, რისთვისაც Google-მა მილიონი წიგნი დაასკანერა. იაპონელები მატარებლით მგზავრობისას თავიანთ მობილურ ტელეფონებზე მთელ ბესტსელერებს კითხულობენ. დასასრული მოახლოვდა?!

მაგრამ, თუ მობილური ელექტრონული წიგნები უკანასკნელი ფენომენალური ჰიტია,

ის მაინც ვერ შეცვლის ყველაფერს. ტელევიზიამ ვერ შეცვალა რადიო; ვიდეოს გამოგონების მიუხედავად, კვლავ მაღალი მოთხოვნაა კინოზე; ტელეფონით ვსაუბრობთ, თუმცა კი ელექტრონული ფოსტა გვაქვს... ვინც ნაბეჭდი წიგნს ანიჭებს უპირატესობას, კვლავ ნაბეჭდი წიგნს წაიკითხავს, მაშინაც კი, თუ მობილური ტელეფონების გავლენით, გამომცემელთა უმრავლესობა დაუყოვნებლივ გადავა ელექტრონული წიგნების გამოცემაზე. ბოლოს და ბოლოს, უამრავი დაბეჭდილი წიგნი ისევ ელის მკითხველს.

რა ადგილს დაიკავებს ბიბლიოთეკა, თუ ვივარაუდებთ, რომ მობილური ელექტრო-



ნული წიგნები სრულიად ჩაანაცვლებს ნახეჭდ წიგნს? ქალაქის თუ ელექტრონული საშუალების მიხედვით შექმნილი დიგიტალური წიგნები კვლავ შეინარჩუნებენ თავიანთ გავლენას.

11. ხომ არ არის ჰიპერი რეალურად მართლაც ჰიპერი?!

ნახეჭდ წიგნებს საფრთხე არც ელექტრონული წიგნის გამოგონების შემდეგ ელის. ფაქტობრივად, ამ ორი ტიპის ღირსებების დაპირისპირება საშუალებას გვაძლევს, ქალაქის წიგნების უპირატესობაზე ვიკამათოთ.

ნაადრევი იქნებოდა ელექტრონული წიგნების მზარდი პოპულარობის გავლენით ბიბლიოთეკებისა და მათი თავისუფლად ხელმისაწვდომი წიგნების ჩამოწერა. საზოგადოება დაკარგავდა მისთვის ძვირფას, სანდო მედიუმს იმ შემთხვევაშიც, თუ ელექტრონული წიგნები ბაზარზე მონოპოლიას მოიპოვებდა.

12. ბიბლიოთეკის მკითხველთა რიცხვი არ შემცირებულა, მათ მხოლოდ ვირტუალურ სივრცეში გადაინაცვლეს.

ვისკონსინის ისტორიკოსთა საზოგადოების, ამერიკის ისტორიის არქივის ვიზიტორთა რიცხვი (50.000) 1987 წლის შემდეგ 40 პროცენტით შემცირდა. ეს სტატისტიკაც საკმაო საბაზი იქნებოდა მათთვის, ვინც დაუფიქრებლად წინასწარმეტყველებს ბიბლიოთეკის კოლაფსს. თუმცა ეს ამბის მხოლოდ ნახევარია. არქივის მასალები გაციფრებული და ონლაინში განთავსებულია. ყოველ წელს ბიბლიოთეკის ვებ-გვერდს 85.000 მკითხველი სტუმრობს.

სულ უფრო მეტი ონლაინ – კოლეჯი გთავაზობს ონლაინ ხარისხებს, მათგან ბევრი დღითი დღე აუმჯობესებს თავის ვირტუალურ ბიბლიოთეკას.

13. ბიზნეს-ორგანიზაციების მსგავსად, დიგიტალურ ბიბლიოთეკებსაც სჭირდებათ თანამშრომლები

ონლაინ – ბიზნესის, ისევე როგორც ბიზნესის სხვა ფორმების საყრდენი უკეთესი პროდუქტისა და კლიენტის

ხარისხიანი დაკმაყოფილების მხარდაჭერაა. ელექტრონული ფოსტის პოპულარობა, ტელეფონი თუ ჩეტ-სერვისები კარგ გამოცდილებას აძლევს კლიენტებს; იგივე ითქმის ინფორმაციის მოძიებებზეც.

ბიბლიოთეკის გადასახადის წყალობით, რომელსაც საუნივერსიტეტო გადასახადი შეიცავს, ბიბლიოთეკარები მომხარებელთა საიმედო მხარდაჭერას უნდა ელოდნენ. ბიბლიოთეკარების როლი მართლაც ექსტრემალურად მნიშვნელოვანია ვიზიტორების მომსახურების საქმეში. მათ ვერაფრით ჩავანაცვლებთ ბიბლიოთეკაში, რომელიც იმ ზღვა მასალით უზრუნველგვყოფს, საძიებო პროგრამების სისტემებითაც რომ ვერ ვიპოვით.

14. ბიბლიოთეკების ფიზიკურად გაქრობის მოლოდინი ამაოა.

ბიბლიოთეკები ფიზიკურად არასდროს გაქრება. მიუხედავად იმისა, რომ Google-ის წიგნების საძიებო პროგრამა სიჩქარეს კრეფს და ბიბლიოთეკებიც უხვად აფინანსებენ დიგიტალიზაციის პროექტებს, ბიბლიოთეკების ფიზიკური სივრცე მომავალშიც დაგვჭირდება. მიზეზი ისაა, რომ ბევრი ბიბლიოთეკა ჯერ კიდევ არ არის გაციფრებული, ბევრის კი ვერასდროს მოხერხდება; ერთი წიგნის გაციფრება, სულ მცირე, 10 დოლარი ჯდება, ხოლო ძველი, იშვიათი ნაშრომების გაციფრება – ბევრად უფრო მეტი. მთელი ბიბლიოთეკის, ვთქვათ, 10.000 წიგნის გაციფრება სერიოზულ თანხას მოითხოვს. ამიტომაც, ბევრი მკითხველი, ლოკალური ქსელის ან ბიბლიოთეკარის დახმარებით, ინფორმაციის ზუსტად განსაზღვრის ძველ, ეფექტურ მიდგომას ეყრდნობა.

15. Google-ის საძიებო სისტემა “არ მუშაობს” Google-ის სტილით. მთელი სამყაროს წიგნების ინდექსირებაც რომ მომხდარიყო, რაც კომპანიის ცნობილი საძიებო სისტემის ანარეკლი იქნებოდა, ბიბლიოთეკების მოწინააღმდეგეებს მართლაც ჩინებული არგუმენტი ექნებოდათ. ბოლოს და ბოლოს, Google-ს ხომ ვებ-გვერდების მოძიების საუკე-

თესო ტექნოლოგია აქვს?! ხომ შეგვეძლო, გვერდი აგვევლო ბიბლიოთეკებისთვის? მაგრამ, ექსპერტების აზრით, Google-ის საძიებო პროგრამა შორს არის მომხმარებლებისადმი ასეთი კეთილგანწყობისგან, რასაც კომპანიის ინტერნეტის საძიებო სერვისიც ადასტურებს. ინფორმაციის “საყოველთაობაზე” ამალღებული იდეების ხორცშესახმას არა მხოლოდ საავტორო უფლებების შესახებ გამართული სასამართლოპროცესები აფერხებს, არამედ Google-ის პირველობის სურვილიც. კომპანიის თანამშრომლები თავიანთ ინდექსს უმაღავენ კონკურენტებს. რომლებიც დიგიტალიზაციის პროექტებზე მუშაობენ (Microsoft, Yahoo!, Amazon და სხვ.). შესაბამისად, მომხმარებელი ამოდ ეცდება სასურველი მასალის მოპოვებას წიგნების მისთვის მისაღები საძიებო სისტემით.

კომპანიებს, რომლებიც დიგიტალურ არქივებს არ უთმობენ კონკურენტებს და მსგავს კორპორატიულ მეთოდებს იყენებენ, რუკიდან გაქრობა ემუქრებათ; ეს პრინციპი ძალზე შორს დგას საჯარო ბიბლიოთეკის ფილოსოფიისგან. ბიბლიოთეკები ძირითადი საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომიც უნდა დარჩეს, რომ დროს ფეხი აუწყოს.

16. ბიბლიოთეკებს შეუძლიათ კულტურულ ცვლილებებთან ადაპტირება

ამერიკის შეერთებული შტატების საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მეცნიერებათა ეროვნული კომისია (NCLIS) ერთ-ერთია იმ მრავალრიცხოვან ჯგუფებს შორის, რომლებიც შეისწავლიან ბიბლიოთეკების როლს დიგიტალურ ერაში. აღნიშნულმა ორგანიზაციამ 2006 წელს გამართულ სიმპოზიუმზე წარმოადგინა მოხსენება, რომელიც მოგვიწოდებს, უფრო ფაქიზად მივუდგეთ ბიბლიოთეკების ცნების განმარტების საკითხს. ერთ-ერთი დასკვნის თანახმად, ბიბლიოთეკა “მუშაობის, სწავლების, სწავლისა და ახალი ტიპის პროგრამების გადაკვეთის ადგილი” უფროა, ვიდრე “საწყობი”.

17. ბიბლიოთეკები ადაპტირებადია კულტურულ ცვლილებებთან.

ყველას, ვინც XX საუკუნის მოაზროვნის, მარშალ მაკლაჰანის თეორიებს იცნობს, შეუძლია თამამად განაცხადოს, რომ ელექტრონული ტექნოლოგიების გავლენით ცხოვრების წესის შეცვლასთან ერთად, ერთ დროს წიგნის ყდებში მოქცეული და საგნობრივად დაყოფილი ცოდნა დემოკრატიის ეპოქაში ლიბერალურად ვრცელდება; ეს ბიბლიოთეკის ძველებურ, მკაცრ, ცარიელ დერეფნებს დრომოქმულად წარმოგვიდგენს. სხვათაშორის, მაკლაჰანმა (რომელიც 1980 წელს გარდაიცვალა) ისიც თქვა, რომ “წიგნების მომავალი მოკლე სარეკლამო ტიპის აღწერილობაა”.

მართლაც, ეს კულტურული ცვლილება წინ უსწრებს ინტერნეტსა და Google-ის წიგნების საძიებო პროგრამას. დიდი ხანია აქტიურად მიმდინარეობს საგანმანათლებლო სტრუქტურების (მათ შორის, ბიბლიოთეკების) ორგანიზების ახალი მეთოდების მოძიება... და მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიოთეკა არ შედის ბევრი ადამიანის “ულტრათანამედროვე ტოპ – ათეულის სიაში”, ისინი კულტურული ხასიათის ცვლილებებთან ადაპტირდება.

ვაშინგტონის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი ვირჯინია სტილი ემხრობა ბიბლიოთეკების სივრცის სოციალური და ინტერაქტიური ბუნების მაქსიმალიზაციას. წიგნების სტენდებთან ერთად, ჯგუფური სწავლებები, ხელოვნების ნიმუშთა გამოფენები, საუზმე და ცხელი ყავა, საუბარი (იდეების გაზიარება და არა ჩურჩული) – ეს არის ახალი ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა დროს გაუძლებს, ის მხოლოდ იცვლება.

18. ბიბლიოთეკების გაუქმება ხელს შეუშლიდა კულტურული განვითარების მნიშვნელოვან პროცესს.

ჩვენთვის კარგად ნაცნობი ბიბლიოთეკები – საჯარო თუ აკადემიური – ორგანიზაციები, რომლებიც უფასოდ გასცემენ წიგნებს – ცოდნის დემოკრატიზაციის პროცესის პროდუქტია. ძველად წიგნები ასეთი ხელმისაწვდომი არ იყო და კერძო ბიბლიოთეკებისა თუ წიგნის კლუბების

ფლობა მდიდართა პრივილეგიას წარმოადგენდა. ცვლილებები 1800-იან წლებში დაიწყო საჯარო ბიბლიოთეკების გავრცელებითა და დიუის ათწილადი კლასიფიკაციის სისტემით კატალოგებისა და ინდექსების სტანდარტიზებით. ბიბლიოთეკების აყვავება პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტის სახელს უკავშირდება; ეს ამერიკისთვის ნაცისტურ გერმანიაზე (სადაც წიგნებს წვავდნენ) უპირატესობის მოპოვების ერთ-ერთი საშუალება იყო. უფრო სრულყოფილი, ლიბერალური საზოგადოების შექმნის ინტერესმა პიკს 1956 წელს – ბიბლიოთეკების მომსახურების შესახებ კანონის მიღებისას მიაღწია, როდესაც პირველად იქნა წარმოდგენილი ფედერალური დაფინანსების მოდელი. დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში 10 000-ზე მეტი საჯარო ბიბლიოთეკაა.

19. ინტერნეტი არ არის “გაკეთე თვითონ”.

შეიძლება ითქვას, რომ ინტერნეტმა საზოგადოება მოჩვენებითი დამოუკიდებლობის გრძნობით უზრუნველყო. მთელ მსოფლიოში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და უფასო საძიებო სისტემები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ბიბლიოთეკარების, მოდერატორებისა და სხვა შუამავალთა საჭიროებას; ვებ-გვერდი თითქოს გვეუბნება: გააკეთე თვითონ! მაგრამ, დღევანდელი ინტერნეტის მამოძრავებელ ძალებზე თვალის სწრაფი შევლევაც საკმარისია, რომ რაღაც სხვა დავინახოთ; ინტერნეტი ინტენსიური საზოგადოებრივი და ინტერაქტიური საშუალებაა, რომელმაც მომხმარებელთა მნიშვნელოვნად დიდი და მეგობრული ერთობები შექმნა. ინტერნეტი აკმაყოფილებს ადამიანების ბუნებრივ ინსტიქტს – ურთიერთობის, აზრთა გაზიარების, ინტერაქტივისა და საქმის წარმოების მოთხოვნილებას.

ონლაინის ეკონომიკა დიდწილად ვებ 2.0 -ის მიერ, ადამიანების ურთიერთობის ფილოსოფიაზე დაყრდნობით იმართება – ცოდნისა თუ ანალიზის ორმხრივი განხილვისა და დემოკრატიზაციის შერწყმით. საძი-

ებო სისტემები ვებ-გვერდების სიას მათი პოპულარობის მიხედვით ადგენს, სოციალური ქსელის პლატფორმებს ყოველდღიურად მილიონობით ვიზიტორი იკავებს და ინტერენტის ყველაზე პოპულარული ენციკლოპედიებსაც მკითხველები ქმნიან.

საინტერესოა, რომ მოდერატორისა და ბიბლიოთეკარის როლებს შორის ბევრი პარალელის გავლება შეიძლება: ორივე იცავს გარემოს, რომელშიც შესაძლებელია ცოდნის მიღება და იდეების გაზიარება. ის აზრი, რომ ბიბლიოთეკები წარსულში დარჩა, ხოლო კაცობრიობამ “ფრთა გაშალა და ახალ, თვითმართვადი ჭეშმარიტების ერაში შევიდა”, მხოლოდ ტყუილია. სამწუხაროდ, ეს აზრი ბიბლიოთეკებს, როგორც “ჩახუთულ და დრომოჭმულ” ორგანიზაციებს, დაშლის საფრთხეს უქმნის. სინამდვილეში, ვებ-გვერდის ხარისხი აკადემიური, საბიბლიოთეკო მოდელის ტიპის მართვაზე დამოკიდებული. მაშინ, როცა მოდერატორები ახალი, ველური კიბერ-სკაიპის სივრცისკენ მიილტვიან, ბიბლიოთეკარები წარმატებულად უკვალავენ მათ გზას.

20. მასების სიბრძნეს რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტის გამო ვერ ვენდობით

ონლაინში სოციალური ქსელის პუნქტებისა და ვიკის² დახმარებით მოძიებული მოსაზრებები, ანალიზი და ფაქტები ცპროექტირდება, რათა ჯგუფების ობიექტური შეთანხმებით, იდეალური სახე მიიღოს.

ალგორითმული პრინციპის, ჯგუფური მუშაობა ხელს უწყობს რეალობის უფრო კარგ, ზუსტ ანალიზს, ვიდრე ამას რომელიმე კერძო ექსპერტი შეძლებდა. მწერალი ჯეიმს სუროვიეცკი ამ ფენომენს “ბრზოს სიბრძნეს” უწოდებს.

შესაძლოა, ვაკუუმში მოთავსებული ბრზო მართლაც ძალიან ბრძენი იყოს. მაგრამ, ჩვენ ძალზე ხშირად ვხვდებით ჯეიმს სუროვიეცკის “ბრზოს სიბრძნის” საპირისპირო მოსაზრებებს მაღკოლმ გლადუელის „Tipping point“-ში. იგი ამ კონტექსტში განგვი-

2 სიტყვა “wiki” ვარდ კუნინგჰემმა დაამკვიდრა „მაიკროსოფტში“. ეს სიტყვა ჰავაის დიალექტზე “სწრაფს” ნიშნავს და ინგლისური სიტყვის - „quick“ - ალტერნატივას წარმოადგენს.

მარტავს, რომ ჯგუფები ადვილად ექცევიან ლიდერების გავლენის ქვეშ – ვინც პირველი დგამს ნაბიჯს და ავტომატურად მოიპოვებს განსაკუთრებულ გავლენას მაშინაც კი, თუ მათ იდეას ვერ ვუწოდებთ საუკეთესოს.

ბიბლიოთეკები გაფილტვრის მეშვეობით აწარმოებენ ინფორმაციის ხარისხიან კონტროლს. აქ მხოლოდ შემოწმებული ინფორმაცია დაიშვება. როგორც ჩანს, ბიბლიოთეკები ბოლომდე ვერ შეუერთდება ინტერნეტს მაშინაც კი, მათ თუ ონლაინ სივრცეში ვიხილავთ. აქედან გამომდინარე, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ბიბლიოთეკები შევინარჩუნოთ, როგორც ვების პოპულიზმის კონტრაპუნქტიც.

21. ბიბლიოთეკები ვებ-მოდერატორების უცვლელი კონტრაპუნქტებია.

ინდივიდები, რომლებიც საკუთარი სურვილით უთმობენ თავიანთ დროს ონლაინ-ფორუმებისა და wiki-ს მოდერაციას, იმავე სამუშაოს ასრულებენ, რასაც ბიბლიოთეკარები და მკითხველები. ბიბლიოთეკარებსა და მოდერატორებს შორის მთავარი განსხვავება ისაა, რომ თუ ბიბლიოთეკარი მკითხველის “გზამკვლევა” მაღალი ავტორიტეტის მქონე, გამოქვეყნებული ინფორმაციის კოლექციაში, მოდერატორი საერთო შეთანხმების შემდეგ მართავს სივრცეს. მაშინ, როცა როლები მშვენივრად არის განაწილებული, თითოეული დამოუკიდებლად ვითარდება – ინტერნეტის სწრაფად გავრცელებადი და ბიბლიოთეკის განვითარებადი ბუნების შესაბამისად. მოდერატორებმაც და ბიბლიოთეკარებმაც ბევრი რამ უნდა ისწავლონ ერთმანეთისგან, ასე რომ, ძალზე მნიშვნელოვანია მათი ურთიერთკავშირი.

22. მოდერატორებისგან განსხვავებით, ბიბლიოთეკარებმა უნდა დაიცვან ბალანსი ბიბლიოთეკასა და ინტერნეტს შორის.

უნდა ვალიაროთ, რომ ბიბლიოთეკები აღარ არის ყველა სამეცნიერო კვლევის საწყისი და საბოლოო პუნქტები. უხვი ინფორმაციის მიწოდებით ინტერნეტი ეფექტურად ამორებს სტუდენტებს საბიბლიოთეკო სტენდებს, განსაკუთრებით მათ, ვინც

თანამედროვე ტექნიკით არის აღჭურვილი. მართლაც, შუამავლისგან განთავისუფლება შესაძლებელი ჩანს. მაგრამ, რის ფასად?

მედია – განათლების, მეცნიერებისა და მკვლევარებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი აქტივია, თუმცა ის შორსაა უნივერსალიზმისგან. ვინ უნდა ასწავლოს მედიასთან მუშაობა მკითხველს? ბევრი ამტკიცებს, რომ ამას ბიბლიოთეკარები ყველაზე უკეთ შეძლებენ.

ვებ – მოდერატორები პირველ რიგში მათი მეთვალყურეობის ქვეშ არსებულ სივრცეზე ზრუნავენ და ნაკლებად არიან დაინტერესებულნი უცნობი ადამიანებისთვის ვებთან მუშაობის სწავლებით ანუ მათი დახმარებით. მასწავლებლები და პროფესორები თავიანთ საგნებზე და სპეციალობაზე მუშაობენ. ამიტომაც, ბიბლიოთეკარებმა უნდა გადალახონ ინტერნეტის ბარიერი და საზოგადოებისთვის უფრო იოლად ხელმისაწვდომი გახადონ ინფორმაცია. ტექნოლოგიები ბიბლიოთეკარებზე მოთხოვნის გაუქმების ნაცვლად მათ კანონიერებას ამყარებს.

23. ინტერნეტში ქაოსია, როგორც ბიბლიოთეკარების დამცველი ერთ-ერთი ვებ-გვერდი გვამცნობს. “ინტერნეტი ძალზე ცოტა რამით ჰგავს ბიბლიოთეკას, რომელიც კონკრეტულ, სტანდარტიზებულ და ადვილად აღსადგენ რესურსებს გვაწოდებს”.

ეს ვარაუდი შეიძლება აგრესიული მოგვეჩვენოს, მაგრამ მართებული ნამდვილად არის. მიუხედავად სამიებო ტექნოლოგიების განვითარებისა და საიტების გამაოგნებელი მრავალფეროვნებისა, ინტერნეტი ნებისმიერი მსურველისთვის ღია რჩება.

ვები ჭარბად დასახლებულ, ველურ დასავლეთს მოგვაგონებს სხვადასხვა ტიპის წყაროებიდან მოპოვებული, ქაოტურად განთავსებული საიტებით, ნებისმიერი გზით რომ ცდილობს საკუთარი პოზიციების ამაღლებას. ბევრი ამ ქაოსს სოციალური ქსელური დანაყოფის ბაზის შექმნით ან ინფორმაციის ორგანიზების

ფართო, კომპლექსური და ძალზე წარმატებული მცდელობებით დაუპირისპირდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბევრი საძიებო სისტემა ჯერ კიდევ გვთავაზობს ნაკლებ საიმედო ინფორმაციას და თითოეული ხელმისაწვდომი წყაროს სარწმუნოება კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

ეს მოვლენა ყოველთვის ნეგატიურად არ უნდა შევაფასოთ. ვების უხვი ინფორმაცია, გაურკვევლობა და სპონტანურობა გამოცდილებით გვამდიდრებს. მაგრამ თუ გსურთ, რომ ინფორმაციის მოძიებისთვის ლოგიკურად ინდექსირებული, პროფესიონალი კადრების მიერ გამოქვეყნებული და დახარისხებული რესურსები გამოიყენოთ, ისევ ბიბლიოთეკას უნდა მიმართოთ.

24. ინტერნეტი მანიპულაციის საგანია.

მომხმარებელმა უნდა გაითვალისწინოს Google-ის შეზღუდვები. საძიებო გიგანტები ყოველთვის ვერ აწოდებენ მომხმარებელს კარგ ინფორმაციას, მაშინ, როცა ძალიან ძნელია ბიბლიოთეკის ინდექსებში უნებართვოდ შეღწევა. ბიბლიოთეკაში დაცული წიგნები, ჟურნალები და სხვა რესურსები ძალიან “კალიბრის” მასალებია. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ბიბლიოთეკაში არც მიიღებდნენ; უფრო მეტიც, ინტერნეტთან შედარებით, ბიბლიოთეკის კოლექციების მართვის ეკონომიკური პირობები საკმაოდ მკაცრია. სავარაუდოდ, წიგნების მხოლოდ 4 % იძენს ფულად ღირებულებას. რაც შეეხება მატერიალური მოგების საკითხს, Google წარმოუდგენელ მოგებას იღებს ონლაინ – რეკლამიდან (რომ აღარაფერი ვთქვათ მათზე, ვინც ინტერნეტში სარეკლამო ადგილს ყიდულობს). ბიბლიოთეკები არ განიცდიან ამ ტიპის ზეწოლას და ამიტომ მათ მიერ ინფორმაციის მიწოდების მეთოდებზე ნაკლებ გავლენას მოახდენს კორპორაციული ინტერესები.

25. ბიბლიოთეკების კოლექციები ციტირების კარგად ფორმულირებულ სისტემას იყენებს. ბიბლიოთეკის წიგნები და ჟურნალები ციტირების მკაცრად განსაზღვრული წესებით, სიზუსტით ქვეყნდება. მსგავს სტანდარტებს ვებ-გვერდებზე ნაკლებად


იხილავთ – შეიძლება, ძიების შედეგებმა მხოლოდ ის გვიჩვენოს, ციტირებულია თუ არა მასალა. ვებ-გვერდების სიზუსტის დადგენა შრომატევადი სამუშაოა, ხოლო ბიბლიოთეკები უფრო ეფექტურად გვებმარება კვლევაში.

26. ძნელია ინტერნეტის საშუალებით მოკლეინფორმაციის მოპოვება. ვებში ძალიან კარგად არის განთავსებული ინფორმაცია ამა თუ იმ სფეროში, მაგალითად, სამედიცინო პირობები ან რჩევები ფინანსურ საკითხებზე, თუმცა ძნელად იპოვით უფრო “მარგინალური” სფეროებისთვის განკუთვნილ, ხარისხიან საიტებს. ამისთვის კონკრეტული საიტის მისამართი უნდა ვიცოდეთ, Google-ის მიზანი კი სულაც არ არის ცალკეული მომხმარებლისთვის სასურველი ინფორმაციის მიწოდება.

ვიკიპედია, რომელიც კარგად ახარისხებს სპეციალიზებულ საგნობრივ სფეროებს, აუმჯობესებს ვებ-გვერდის დანაყოფებს. მაგრამ, ვიკიპედია მხოლოდ ერთი საიტია, რომლის რედაქტირებაც ყველას შეუძლია და, აქედან გამომდინარე, არც მისი საიმედოობაა გარანტირებული. ბიბლიოთეკებში საკვლევი მასალების უფრო მეტად მრავალმხრივი და მოკლედ ინდექსირებული კოლექციები ინახება.

27. ბიბლიოთეკებს შეუძლიათ “წიგნადი” გამოცდილების დაცვა. რუსეთის ინტელექტუალური ისტორიის შესახებ 900 გვერდიანი გამოცემა მხოლოდ წიგნის ფორმით თუმომზადდება. ზოგადად, წიგნები ფოკუსირებულ, უფრო მრავალმხრივ კვლევას გვაწვდის – მასში ავტორის ან ავტორთა ჯგუფის მიერ წლების განმავლობაში ჩატარებული კვლევის შედეგებია თავმოყრილი. ნუ დაგვავიწყდება, რომ მათ თავიანთი ცოდნა ერთ კონკრეტულ სფეროს მიუძღვნეს.

Google-ის წიგნის საძიებო სისტემის მეშვეობით, ინტერნეტში ვპოულობთ მისამართს, სად შეგვიძლია ამა თუ იმ წიგნის ყიდვა, ასევე, ინფორმაციას წიგნების გადამყიდველთა, აკადემიური კურსებისა ან დაგეგმილი ვებ-პროექტების შესახებ.



ინტერნეტი აქტუალურ ინფორმაციას გვაწოდებს (მაგალითად, ინფორმაცია რუსეთის ისტორიის შესახებ). მაგრამ ხშირად ეს ინფორმაცია მოკლე ან ძალზე ზოგადია – ერთგვარი სწრაფი ძიების შედეგი; შეიძლება გარკვეული ცოდნა მოვიპოვოთ, მაგრამ ის ვერ შეედრება ასობით გვერდიანი წიგნის გადაფურცვლას. აქედან გამომდინარე, სტენდების შენარჩუნება და გვეხმარება დავიცვათ სწავლების ეს მეთოდიც; და მაშინ, კვლევის შედეგებით ტრადიციული მეთოდები და ახალი ფორმები ერთმანეთის გვერდიგვერდ იარსებებს.

28. ვები ცვალებადია, ბიბლიოთეკები კი სტაბილური. სერვისის გაუმჯობესებისა და „სპამისგან“ განთავისუფლების მცდელობისას, საძიებო მანქანები მუდმივად აახლებენ თავიანთ ალგორითმებს, რასაც ხშირად უდანაშაულო, მათ შორის, ავტორიტეტული რესურსებიც ეწირება. ამასთანავე, ონლაინის ვებ-გვერდები შემდგომში ონლაინ რეჟიმზე გადაყავთ ან მისამართს უცვლიან; საიტებზე, რომლებიც ყოფილ აქტიურ რესურსებზე მიგვითითებს, ადვილად იყრის თავს ე.წ. „გატეხილი ლინკები“. ეს საიტები წლების განმავლობაში არ რედაქტირდება.

ვების საპირისპიროდ, ბიბლიოთეკები ხელმისაწვდომი რესურსების სათანადოდ აღრიცხვისა და სტანდარტული ინდექსირების სისტემებს ფლობენ, რაც მუდმივი, საიმედო ინფორმაციით უზრუნველგვყოფს.

29. ბიბლიოთეკები ყველაზე უკეთ გვეხმარებიან ახალი ამბებისა და არქივების მოპოვებაში ახალი ამბების მოძიების მხრივ, ინტერნეტი წინ უსწრებს ბიბლიოთეკას. ონლაინ -ტელევიზია, რადიო და საგაზეთო რესურსები (რომ არაფერი ვთქვათ იმ ბლოკების სიუხვეზე, რომლებიც მთელი მსოფლიოდან გვამცნობენ დღის მოვლენებს) ნებისმიერ მკითხველს დააკმაყოფილებს როგორც შემთხვევით მოძიებებს, ისე ახალი ამბების მოპოვების სპეციალისტებს.

თუმცა, ბიბლიოთეკები კვლავ აგრძელებენ განსაზღვრული დასახელების გაზეთების გამოწერას, შენახვასა და გასული ნომრების არქივირებას. შეიძლება, ეს მცდელობა მოკრძალებული მოგვეჩვენოს ნიუსების ონლაინ - აგრეგატორების გრძელსიასა და ცხელ-ცხელ, ადვილად ხელმისაწვდომ სტატიებთან შედარებით. მაგრამ, ბიბლიოთეკის მიერ ნიუსების კატალოგიზაციას მრავალი უპირატესობაც აქვს. ინტერნეტის დამწყები მომხმარებლისთვის ბევრი პუბლიკაცია ონლაინში რჩება. ბიბლიოთეკა უფრო კარგად დაეხმარება მას, ვინც კონკრეტული ჟურნალისტის კონკრეტულ სტატიას ეძებს, – თუნდაც სტატია ბიბლიოთეკათშორისი საძიებო სისტემით იყოს მოპოვებული. ხშირად ბიბლიოთეკები უფასოდ გვაწვდიან წამყვანი ჟურნალ-გაზეთების სტატიებს, რომლებსაც ინტერნეტში ხელმიწერით ვიღებთ, მაგალითად, „New York Times“ – ის რამდენიმე დამატება. ამასთანავე, არქივები ხშირად იკარგება ონლაინში ან წარმოუდგენლად მაღალ ფასში თუ ვიღებთ (სცადეთ Google’s). გვრჩება მხოლოდ ბიბლიოთეკები, სადაც ქსეროასლების გადაღება შეიძლება.

30. ინტერნეტი არ არის ყველასთვის ხელმისაწვდომი. ნაკლებად განვითარებად ქვეყნებსა თუ ამერიკის შეერთებული შტატების ღარიბ რეგიონებში ბიბლიოთეკა ინდივიდისთვის სერიოზული სამეცნიერო მუშაობისთვის ერთადერთ გზად რჩება. არსებობს ორი ძირითადი მიზეზი იმისა, თუ რატომ ვერ გახდება ინტერნეტი ბიბლიოთეკის ალტერნატივა (თუნდაც, ილუზია):

პირველი – ონლაინით სარგებლობა უფრო ძნელია, ვიდრე ბიბლიოთეკით. საჯარო ბიბლიოთეკას შეუძლია მხოლოდ ერთი კომპიუტერული პულტით ისარგებლოს, მაშინ, როცა ინტერნეტის სხვა პუნქტები გადასახადს ითხოვენ; მეორე – ინტერნეტში შესვლის უფლებაც რომ მოვიპოვოთ, ეს ნაკლებ სარგებლობას მოუტანს მსოფლიოს ღარიბ რეგიონებში მცხოვრებ და ტექნი-

კური განათლების არმქონე ადამიანებს.

31. წიგნებს ყველა ვერ ყიდულობს.

განვითარებული ქვეყნების ფარგლებს გარეთ, წიგნები ძვირადღირებულ იშვიათობას წარმოადგენს. ამ პრობლემის მიზეზი შრომის ძალზე დაბალი ანაზღაურებაა, რაც წიგნების რეალური ღირებულების ასტრონომიულ ზრდას იწვევს. აქედან გამომდინარე, საჯარო ბიბლიოთეკას, მისი ადგილმდებარეობის მიუხედავად, გარდამტეხი როლი ენიჭება ინფორმაციის დემოკრატიზაციის საქმეში.

ის, რომ ამერიკა ტენდენციების ლიდერია (განსაკუთრებით ტექნოლოგიის მხრივ), უფრო მეტად გამოკვეთს ბიბლიოთეკების მნიშვნელობას. BlackBerry³ -ით წიგნების რეკლამირება საფრთხეს უქმნის ტრადიციული ბიბლიოთეკების არსებობას, რაც ღარიბ ადამიანებს უწიგნოდ ან სულაც თვით BlackBerry -ის გარეშე დატოვებს.

32. ბიბლიოთეკები გვიცავს ანტიინტელექტუალიზმისგან. ინტერნეტი არ არის “უინტელექტო” – მისი აკადემიური ფესვები და სამეცნიერო საიტების დიდი სიმრავლე ამტკიცებს, რომ ის გონიერი მედიუმია. იხილეთ: <http://www.nap.edu/readingroom/books/far/ch7.html>. მაგრამ შესაძლოა ინტერნეტის “მომხიბლავმა უშუალოდამ” მცდარი მოსაზრება შეგვიქმნას იმის თაობაზე, რომ მხოლოდ სწრაფი, ინტერაქტიური, პირდაპირი ონლაინ – დისკუსიაა ღირებული; მაღალ თაროებზე დაწყობილი მტვრიანი წიგნები “უძრავ ცოდნად” მოგვეჩვენება, ხოლო მათი კურატორები (ბიბლიოთეკარები) – “ძველმოდურად”. წიგნებსა და კითხვას “ელიტის კუთვნილებად” და “არა-აქტუალურად” შეაფასებენ, ინტერნეტში ძიება კი “თანამედროვეობად” ჩაითვლება. მაგრამ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ინტერნეტში ყველაფერი არ არის. კულტურის რამდენიმე ათასწლოვანი ისტორია გვიჩვენებს, რომ წიგნებისა და თეორიების ხელმისაწვდომობა საზოგადოებრივი პროგრესისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. მის გარეშე ტექნოლოგია მხოლოდ ირონი-

ული ხასიათის იარაღი გახდებოდა სენსაციური და რეტროგრადული კულტურული ტენდენციების გავრცელებისთვის. ტექნოლოგიის ლიმიტის გათვალისწინებით ბიბლიოთეკების შენარჩუნება, დაგეხმარება ტექნოლოგიური მიღწევებით გამოწვეული სიამაყისა და ნარცისიზმისგან განთავისუფლებაში.

33. ძველი წიგნები ფასეულობას წარმოადგენს. დიგიტალიზაციის ერაში ბიბლიოთეკის “წიგნის მუზეუმად” გადაქცევის იდეა ბიბლიოთეკარებს ლაპარაკის უნარს ართმევს – იმის ნაცვლად, რომ ბიბლიოთეკები უფრო თანამედროვე და საჭირო გახდეს, ისტორიული ფეტიშების ადგილი “ემუქრებათ” (როგორც გრამოფონს ან საბეჭდ მანქანას)?! ეს ხომ ბიბლიოთეკარებს პროფესიონალ მკვლევრებიდან მუზეუმის კურატორებად გადააქცევდა, უფრო ზუსტად კი, ისინი უმუშევრები დარჩებოდნენ?! მაგრამ თუ ბიბლიოთეკა საარქივო ლიტარატურული რელიქვიების დაცვისა და გამოფენის, კულტურული ღონისძიებებისა და იდეათა გაცვლისთვის განკუთვნილ შეხვედრის ადგილად იქცევა, მის მნიშვნელობას კიდევ ერთი ასპექტი გაამყარებს (თანაც, დამაინტრიგებელი). ძველი წიგნები არა მხოლოდ ფულადი თვალსაზრისით არის ფასეული, არამედ ისინი კულტურული, ისტორიული მეხსიერების ნაწილია და დიგიტალიზაციას არ უნდა შეეწიროს.

და ბოლოს

საზოგადოება არ არის და არც არასდროს იქნება მზად ბიბლიოთეკასთან კავშირის გასაწყვეტად. ბიბლიოთეკებს შეუძლიათ სოციალურ და ტექნოლოგიურ ცვლილებებთან ადაპტირება, მაგრამ მათ ვერაფრით ჩავანაცვლებთ. ბიბლიოთეკები ინტერნეტისგან განსხვავდება, მაგრამ ბიბლიოთეკარების პროფესია ყველაზე მეტად შეთავსებადია ონლაინში მკითხველთათვის ღირებული ინფორმაციით სარგებლობის სწავლების საქმესთან. მართლაც, ინტერნეტში ინფორმაციის ზღვაა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია ქაღალდზეც. სახელმწიფო

3 BlackBerry – ერთ-ერთი სარეკლამო ინტერნეტ-კომპანია

და ფედერაციულმა მთავრობებმა უნდა გაზარდონ დაფინანსება კადრებისა და ტექნოლოგიების განვითარებისთვის. დიგიტალურ ერაში “ბრმად” შებიჯების ნაცვლად, რაც მხოლოდ ვებ-ეკონომიკის კორპორაციული ინტერესებითაა განპირობებული – საზოგადოებამ ხელი უნდა შეუწყოს გიდებისა და გზამკვლელების განვითარებას როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. დღეს ბიბლი-

ოთეკებსა და ბიბლიოთეკარებს ექსტრემალურად მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ ჩვენი კულტურის დაცვისა და განვითარების საქმეში.

ინგლისურიდან თარგმნა
მაია სიმონიშვილმა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კულტურული პროგრამების განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

კორესპონდენციები



ქსაპრიმენტი სიახლის ქიხაში



ინგა ფილაური

ი. ჭავჭავაძის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში გასულ წელს სწავლების ახალი მოდელი დაინერგა. პირველი კურსელები რამდენიმე სავალდებულო საგანს სწავლობენ, მათ შორის „ინფორმაციულ ნიგნიერებას“, რომელიც გულისხმობს პიროვნების უნარს, განსაზღვროს ინფორმაციის საჭიროება, მოიძიოს, შეაფასოს და ნაყოფიერად გამოიყენოს ის ნებისმიერი ფორმატით და ნებისმიერი წყაროდან. საგნის მიზანია: ჩამოუყალიბოს სტუდენტებს საბაზო უნარჩვევები, რათა შემდგომში დამოუკიდებლად შეძლონ განსაზღვრონ, თუ როდის, რა სახის წყაროებში უნდა მოიძიონ საჭირო ინფორმაცია. ამ კურსის ჩამოყალიბებაზე აქტიურად მუშაობენ ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ინფორმაციის დარგის სპეციალისტები. ამჟამად მუშაობა წარმოებს სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შედგენა-დახვეწაზე.

ცნობილია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე სპეციალისტებისათვის ინფორმაციულ უზრუნველყოფას, რაც მოითხოვს გარკვეულ ცოდნას ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების თვალსაზრისით. აქ იგულისხმება როგორც ტრადიციული საშუალებების, ისე ახალი ტექნოლოგიების დაუფლება. სტუდენტებს ჰქონდათ თავისუფალი წვდომის საშუალება საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკასთან, ლოკალურ ქსელთან და ინტერნეტთან. ამ მიზნით, მათთვის კომპიუტერული დარბაზი ყოველთვის ღია იყო, რაც სიახლეს წარმოადგენდა არა მარტო ჩვენი უნივერსიტეტისათვის, არამედ საქართველოს ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლისათვის. ეს სპეციალურად გაკეთდა პირველ კურსელთა დამოუკიდებელი მუშაობისათვის. კომპიუტერული პრაქტიკის შესწავლის პარალელურად, პირველკურსელები გადიან უზოგადეს პრაქტიკულ საკითხებს ისეთ დისციპლინებში, როგორიცაა: ზოგადი ბიბლიოთეკათმცოდნეობა, ტრადიციული და ელექტრონული კატალოგები, ბიბლი-

ოგრაფიული კლასიფიკაცია და საკლასიფიკაციო სქემები, საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობა, წიგნის ისტორია და წიგნის სტრუქტურა, დამხმარე ბიბლიოგრაფიული აპარატი, საინფორმაციო რესურსები, მოპოვებული ინფორმაციის დამუშავება, მასალის რეფერირება და პრაქტიკუმები სხვადასხვა თემატიკის მიხედვით. სასწავლო კურსის მოსმენის შემდეგ, სტუდენტებს დაევალებათ დაემუშავენინათ საპროექტო თემა. თემატიკა მიწოდებული იყო პედაგოგებისაგან, თუმცა შესაძლებელი იყო თავისუფალი არჩევანის გაკეთებაც. უნდა ითქვას, რომ კოლოქვიუმებზე სტუდენტებმა საკმაოდ მაღალი შედეგები აჩვენეს. მათ მიერ გამოყენებული იყო როგორც ტრადიციული საძიებო სისტემები (საბიბლიოთეკო კატალოგები, კარტოთეკები, სხვადასხვა ბიბლიოგრაფიული წყაროები), ასევე ელექტრონული რესურსები. დამუშავებული თემებიდან შეირჩა საუკეთესოდ შესრულებული ნამუშევრები. პირველკურსელთა სტუდენტურ კონფერენცია-პრეზენტაციაზე წარმოდგენილი თემები სხვადასხვა შინაარსის იყო. ზოგ მათგანს ახლდა საპრეზენტაციოდ გასაშუქებელი სლაიდები, გაფორმებული იყო ანიმაციებით და დართული ჰქონდა ბიბლიოგრაფიული წყაროები. ამიტომ ღონისძიება საინტერესოდ წარიმართა. მას ესწრებოდნენ ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ი. ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლები და ინფორმაციის დარგის სპეციალისტები.

ამგვარად, გამოცდილ იქნა სტუდენტთა


სწავლების სისტემის ახალი მოდელი. პირველკურსელები, რომლებიც სხვადასხვა სპეციალობას შემდგომ კურსზე აირჩევენ, გადიან 3 საგანს: შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, უცხო ენა და ინფორმაციული წიგნიერება.

ინფორმაციული წიგნიერების უძირითადესი მიზანია: სტუდენტი დაეუფლოს კომპიუტერის გამოყენებას, შეძლოს ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და გამოყენება, აითვისოს წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის მეთოდები, შეძლოს ე.წ. „მეორადი“ ნაშრომის შექმნა მოპოვებული მასალის მიხედვით.

თუ სტუდენტი თავიდანვე შეიძინა ამგვარ ცოდნას, ცხადია, მას არ გაუჭირდება სწავლის პროცესში ღრმად და საფუძვლიანად დაეუფლოს სპეციალობას. ეს მით უფრო საჭიროა დღეს, როცა განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სტუდენტის აქტივობას, მის ინდივიდუალურ მუშაობას და მასალის დამოუკიდებლად მოპოვებას.

ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბიბლიოთეკებს, როგორც ინფორმაციის ცენტრებს, ამიტომაც საჭიროა ჩვენი ბიბლიოთეკები მაღალპროფესიონალურად მოემსახურონ სტუდენტებს, ეს კი შეუძლებელია მათი ახალი ტექნოლოგიური საშუალებებით აღჭურვის გარეშე.

სწავლა-განათლებისადმი ახლებური მიდგომა ძალაუნებურად მოითხოვს საბიბლიოთეკო საქმისადმიც ახლებურ მიდგომას, რაც მის თანამედროვე კონცეფციაში უნდა გამოიხატოს.



მზია იარაჯული

თიანეთის საბავშვო ბიბლიოთეკის გამგე

რეპორტაჟი ჩვენი ბიბლიოთეკიდან

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოქცეული ბიბლიოთეკები მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ასეთ ვითარებაში საზოგადოებრივი აზრის შემობრუნება წიგნისა და ბიბლიოთეკისაკენ დიდ ძალისხმევას მოითხოვს. სწორედ ამიტომ ჩვენი ბიბლიოთეკის მუშაობა მარტო წიგნის გაცემით და მკითხველთა მომსახურებით არ შემოიფარგლება, ჩვენი შრომა შემოქმედებითი და მრავალმხრივია. ყოველდღიურად ვფიქრობთ, ვზრუნავთ იმაზე, თუ როგორ, რა მეთოდებით მივიტანოთ წიგნი მკითხველებამდე, შევახვედროთ ისინი საინტერესო ადამიანებს, გავაცნოთ ჩვენი დიდი კულტურული მემკვიდრეობა, ისტორია, გამოჩენილი ადამიანები, ქვეყნისათვის თავდადებული პატრიოტული გმირები.

ქართველ ერს ბევრი რამ აქვს საამაყო: ლამაზი და მრავალფეროვანი ბუნება, უძველესი ისტორიული ძეგლები, მსოფლიო მნიშვნელობის მწერლები... მაგრამ ყველაზე დიდი სიამაყე მისი ანბანი და ენაა. მთელ დედამიწაზე 14 ანბანია, მათ შორის ერთ-ერთი ქართულია, ყველასაგან განსხვავებული და სრულყოფილი. ასევე განსხვავებულია ქართული ენაც, რომელსაც სამართლიანად თვლიან მსოფლიო მნიშვნელობის ენად.

ცნობილია, რომ ქართველმა ხალხმა უამთა სიამაყე და ძნელბედობა გადაიტანა, მაგრამ ქართველი ერი და მისი ენა ყველა ბრძოლებში საბოლოოდ ყოველთვის გამარჯვებული გამოვიდა და თავისი მეობა შეინარჩუნა.

ჯერ კიდევ შორეულ წარსულიდან აფასებდნენ მშობლიური ენის ღირსებას, უძღვნიდნენ საგალობლებს. სწორედ ეს მოვლენა გააშუქა ჩვენმა ბიბლიოთეკამ 14 აპრილს – ქართული ენის დღეს. მკითხველ ბავშვებთან ერთად მონტაჟის

სახით წარმოვადგინეთ, თუ როგორ ჩაისახა, რა გზა გამოიარა და როგორი სახით მოვიდა დღევანდლამდე ქართული ენა, როგორ ეთაყვანებოდნენ მას ჩვენი წინაპრები თუ თანამედროვენი, როგორ უნდა მოვუაროთ და დავიცვათ იგი.

პიროვნების აღზრდა-ჩამოყალიბებაში წიგნი და კითხვა უდიდეს როლს ასრულებს. წიგნი ადამიანთა ურთიერთობის ისეთი ჯაჭვია, რომელიც არასოდეს იყანგება, მასში იმდენი სინათლეა, ყველას გასწვდება, ვინც მოინდომებს ამ სინათლის მადლით გონების გამდიდრებას.

წიგნები იძლევიან ცოდნას – ისინი კი, უპირველეს ყოვლისა, ბიბლიოთეკაშია თავმოყრილი. წიგნი და ბიბლიოთეკა არა მარტო სასწავლო დისციპლინების ათვისებაში ეხმარება მოზარდს, არამედ ხელს უწყობს მას პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებაში, სულიერი სამყაროს გამდიდრებაში. ცოდნა, რომელიც სკოლაში მიიღება, მუდმივად უნდა შეივსოს კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის მეშვეობით, საბავშვო ბიბლიოთეკის ამოცანაც სწორედ ეს გახლდათ.

დღევანდელი ჩვენი პატარა მკითხველები ხომ 21-ე საუკუნის მოქალაქენი არიან, მათი კარგად აღზრდა დიდი ეროვნული საქმეა. ამისთვის საჭიროა წიგნიც, კომპიუტერიც და სხვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებიც. ტექნიკა, მართალია, სულ უფრო და უფრო ავინროვებს წიგნს, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, წიგნს ვერანაირად ვერ შეცვლის ვერაფერი. მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკის ახალი მიღწევებით შესაძლებლობა გვაქვს ყველანაირი ინფორმაცია სწრაფად და ზუსტად მოვიპოვოთ, მაგრამ კითხვა მაინც სხვა რამაა – მას სჭირდება აზროვნება და განსჯა, ღრმად ჩაფიქრება, დისპლეიდან კითხვისას

კი ამის საშუალება ნაკლებად გვაქვს.

ხშირად მეზადება კითხვა: შეძლებს კი ბიბლიოთეკა დღევანდელ პირობებში, არსებული საშუალებებით მკითხველთა მოზიდვას, მათ აქტიურ მომსახურებას და ინტერესთა დაკმაყოფილებას? მრავალი წელი ჩვენი ბიბლიოთეკა არ ივსებოდა ახალი ლიტერატურით, 2005 წელს მხოლოდ 35 ცალი წიგნი მივიღეთ, 2006 წელს – 15, არ შემოდის პრესა. ახალი წიგნების გარეშე კი ბიბლიოთეკა ფრთებმოკვეცილია, ვერ შლის თავის საქმიანობას მთელი შესაძლებლობებით.



წიგნი ჩვენი სიყვარულია, ადამიანის გონებისა და შრომის შედეგად შექმნილი ოქროს ზოდი, რომელიც ისევ და ისევ ადამიანის სასიკეთოდ, მისი ცოდნის გასაღრმავებლად იქმნებოდა და იქმნება.

ამ სულისკვეთებით შეხვდა ჩვენი ბიბლიოთეკა წლებადღელ წიგნის კვირეულს: მოენყო გამოფენა-დიალოგი: „წიგნი ყველასათვის“, „ჩვენი საყვარელი წიგნები“.

ჩავატარეთ ღონისძიებები: „სკოლამდელთა დღე“ – ვაზიაროთ წიგნს პატარები. საბავშვო ბაღის გამოსაშვები ჯგუფისა და პირველი კლასების მოსწავლეები მოვიწვიეთ ბიბლიოთეკაში, ვესაუბრეთ მათ ბიბლიოთეკისა და წიგნის მნიშვნელობაზე, გავაცანით ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდი, ვათქმევინეთ ლექსები,

გავესაუბრეთ, თუ რომელი ზღაპარი და ზღაპრის პერსონაჟი უყვართ.

„ჩემი საყვარელი ლექსი“ – ასე ვუნოდეთ ჩვენს შემდეგ ღონისძიებას. ბავშვებმა წაიკითხეს თავიანთი საყვარელი ლექსები, შემდეგ გააკეთეს მიმოხილვა, თუ რატომ არის მათთვის ეს ლექსი საყვარელი.

ღონისძიებაზე – „წიგნი რომელიც მომეწონა“, ბავშვებმა ილაპარაკეს იმაზე, თუ რატომ მოეწონათ ეს წიგნები, ბავშვები იყენებენ ციტატებს, ბრძნულ გამონათქვამებს. აღნიშნეს, თუ რა მისცა მათ ამ წიგნებმა. შემდეგ გაიმართა კამათი წიგნების ირგვლივ.

ჩავატარეთ კონკურსი „ბიბლიოთეკის საუკეთესო მკითხველი 2006 წელს“.

რასაც ვაკეთებთ, ყოველივე, ცხადია, კარგია, მაგრამ ვგრძნობთ, რომ დღევანდელ დღეს ეს საკმარისი არ არის, ისევე, როგორც არ კმარა ის ინფორმაცია და მეთოდური დახმარება, რომელსაც ჩვენ ვღებულობთ. საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს ბიბლიოთეკის თანამშრომელთა პროფესიული დაოსტატების საქმეს, მათი კვალიფიკაციის

ამაღლებას, ახალი ტექნოლოგიების გაცნობას და დანერგვას.

ბიბლიოთეკარი ვარ, ე.ი. სოციალურად, მატერიალურად და, გნებავთ, მორალურადაც, ერთ-ერთი შეჭირვებული მოქალაქე საქართველოსი. ვიცი და ვხედავ, თუ რაოდენ არაპრესტიჟულია ჯერჯერობით ჩემი დარგი, მაგრამ თქვენ წარმოდგინეთ, ჩემს საქმეს სიყვარულით ვემსახურები. ასე მგონია, იქ ვდგავარ, სადაც უნდა ვიდგე და ვაკეთებ იმას, რასაც ჩემი სული მკარნახობს.

ჩემს წერილს მაინც მომავლის იმედით დავამთავრებ, რომ ჩვენი არსებობა აუცილებელია მომავალი თაობისათვის. სწორედ ამ შეგნებით ვაგრძელებთ მუშაობას და გვჯერა, დადგება დრო აღმავლობისა.

ნათელა ნათლიაშვილი-კვინიკაძე

მეგობრობის მძლავრი ექო

(წლების გადასახედიდან)

საოცარი რამ არის ბავშვობა... განუზომლად ტკბილი და განუმეორებელი, ზღაპრული და ფერადოვანი... განსაკუთრებით კი ძვირფასი და წარუშლელია მეხსიერებიდან სკოლის წლები...

და აი, თვალსა და ხელს შუა, სკოლის დამთავრებიდან ძალზე შთამბეჭდავი პერიოდი – 50 წელი გავიდა! ურყევი მეგობრობის, სიყვარულის, თანადგომის, თავდადების, ერთგულების 50 წელი!

განა შეიძლებოდა, ასეთი მნიშვნელოვანი საიუბილეო თარიღი ჯეროვნად არ აღგვენიშნა?!

28 მაისის, გაზაფხულის მშვენიერ საღამოს, კლუბ-რესტორანის კომფორტულ, მყუდრო, ვრცელ დარბაზში თავი მოვიყარეთ თბილისის 67-ე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებმა – სიმპათიურმა, სანდომიანმა, თმაშვერცხლილმა და თმადათოვლილმა მანდილოსნებმა და მამაკაცებმა. ვეფერებოდით, გულში ვიხუტებდით ერთმანეთს... განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში გახლდათ ჩვენი ერთადერთი მასწავლებელი, ძვირფასი, უსაყვარლესი, ამაგდარი პედაგოგი, ქ-ნი თინა კავკასიძე.

საღამოს მუსიკალურ ფონს უქმნიდა ცოცხალი ბენდი ცნობილი პიანისტის, ოთარ მალრაძის ხელმძღვანელობით.

...დარბაზს უბერებელი მელოდიის „მახსოვს, პირველად სასწავლებელში“ („დედის დარიგება“) ჰანგები მოეფინა.

„როგორ გაირბინეს წლებმა“... ამ სიტყვებით გახსნა შეხვედრა კურსდამთავრებულმა ნათელა ნათლიაშვილი-კვინიკაძემ. მან დამსწრეთ გულითადად მიულოცა ეს შესანიშნავი იუბილე: – გონებაში ამოტივტივდა თერთმეტი წელი – ბავშვობისა და სიყმაწვილის შესანიშნავი პერიოდი, ის საოცნებო,

ლამაზი დღეები, როცა გაფართოებულ თვალეზით აღვიქვამდით სამყაროს, შევხაროდით ირგვლივ ყველაფერს – ცას, მზეს, მთებს, საყვარელ სკოლის მასწავლებლებს, ერთგულ მეგობრებს, ვეუფლებოდით მეცნიერების საფუძვლებს. ვენაფებოდით წიგნებს, ვკითხულობდით, ვკამათობდით, ვდავობდით, ბიბლიოთეკაში მოტანილი ახალი წიგნები არ გამოგვრჩებოდა... და აი, 50 წლის შემდეგ კვლავ ვბრუნდებით იმ სანუკვარ უზრუნველ, უღრუბლო ხანაში, „ბავშვობის სამყარო“ რომ ჰქვია!

67-ე საშუალო სკოლა! – წარმოვთქვამთ დიდი სიყვარულითა და სიამაყით! მაინც რა საუცხოო თანავარსკვლავედი იყო შეკრებილი ამ სკოლაში, რომლის თავკაცი გახლდათ ყოველმხრივ განათლებული, უკეთილშობილესი და უსპეტაკესი, უანგარო პიროვნება, ქალბატონი ლილი მელაძე. მას მხარს უმშვენიებდნენ: ჩვენი სასიქადულო ქალბატონი თინა კავკასიძე – გერმანული ენის პედაგოგი, მარიამ შარაბიძე, თამარ გოგმეჩაძე, მერი ფავლენიშვილი, ლავრენტი ჭიჭინაძე, ელენე და ვანდა ვარძიელები, ქრისტინე ანთია, თინა ავალიშვილი, კოტე მენაღარიშვილი, თამარ საყვარელიძე, გერონტი ბაბახა-



1949 წ.

ნიდი, ეთერ იასეშვილი, ელზა ფავლენიშვილი და სხვანი. რა დაგვაფინანსებს დაწყებითი კლასების მასწავლებლებს: ნინო თავდგირიძეს, კალენია ჭუმბურიძეს, ანიკო ცინცაძეს – ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გულისხმიერებასა, გულმოდგინებასა, მომთხოვნელობასა და მოსწავლეთა მიმართ ყურადღებისა და სიბოძის გამოვლენაში. თვალწინ მიდგას წარუშლელი სურათი – მოსწავლეები, აკურატულად გამოწყობილნი სასკოლო ფორმებში, თეთრი ბაფთებით, თეთრი საყელოებით და თეთრი სამაჯურებით... დილის გამამხნეველი ვარჯიში სკოლის ეზოში, ათასგვარი ღონისძიება...

რაოდენ სასიხარულო იყო, რომ ამ ღირსშესანიშნავი ღონისძიებით გამონვეულ აღმაფრენას ჩვენი საყვარელი პედაგოგი, ქ-ნი თინა კავკასიძე იზიარებდა. მას ხომ გამორჩეული, ღირსეული ადგილი ეკავა სკოლაში. როგორ გვიყვარდა მისი თბილი და ჯანსაღი იუმორი... ჩვენი თინა მასწავლებელი იყო ჩვენი არა მარტო მასწავლებელი, არამედ ჩვენი თანამოაზრეც, მეგობარიც. ის ღრმად სწვდებოდა მოსწავლის სულს, სულიერ სამყაროს... იყო სამართლიანი, კეთილი. სათნო და განონასწორებული. ...მან ადვილად გაკვალა ონავარი ბიჭების გულებისკენ სავალი გზები და მათ გულებშიც სიყვარულით დაიდო ბინა. თინა კავკასიძემ მრავალი წელი შეაღია სამშობლოს და ხალხის სამსახურს: 53 წლის განმავლობაში ასწავლიდა გერმანულ ენას 67-ე საშუალო სკოლაში, 34 წლის განმავლობაში პარალელურად მოღვაწეობდა მასწავლებლთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების რესპუბლიკურ ინსტიტუტში. გახლავთ მრავალი სახელმძღვანელოს ავტორი. დღესაც, 88 წლის ქალბატონი ახალგაზრდული ენერჯით ეწევა შემოქმედებით შრომას. რვა წლის წინაც შევიკრიბეთ ჩვენი გამოშვების კურსდამთავრებულები. შეხვედრა მაშინაც გაგვიღამაზა თინა მასწავლებელმა: ბევრი რამ გაიხსენა სკოლის წლებიდან, ჩვენთან

ერთად მოილხინა, იმღერა, იცეკვა და გაიხარა.

სკოლის დირექტორს, ქ-ნ ლილი მელაძეს კარგი ტრადიცია ჰქონდა დანერგული – ყოველი წლის ნოემბრის პირველ კვირადღეს ეწყობოდა შეხვედრა სკოლის კურსდამთავრებულებთან. რა კარგი იქნება, რომ ეს ტრადიცია აღდგეს და ის სხვა სკოლების კუთვნილებაც გახდეს!

„ღამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა“, – ბრძანებს დიდი ვაჟაფშაველა. ეს სიტყვები ხომ სავსებით ესადაგება ჩვენს აღმზრდელ მასწავლებლებსაც. მათ ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

სკოლის უმთავრესი დანიშნულება ადამიანის ჩამოყალიბებაა. პედაგოგობა ხომ ყველაზე რთული პროფესიაა. 67-ე საშ. სკოლის კურსდამთავრებულები ყველგან ინარჩუნებენ იმ მაღლს, ასე უხვად რომ გვიბოძეს ჩვენმა აღმზრდელებმა. ამიტომ დიდი მოკრძალებით, სიყვარულით და მაღლიერების გრძნობით ვიგონებთ ყველას.

სალამოს სევედიანი ელფერიც დაჰკრავდა, სხვანაირად შეუძლებელიც იყო.

გადავშალეთ მოგონებათა ნიგნი... გავიხსენეთ ბევრი ეპიზოდი. მათ ბოლო არ უჩანდა... ბევრი იყო მოსაგონარი, ზოგიერთი გვაძხიარულებდა, ზოგიერთი კი სევდას გვგვრიდა. ყოველი მოგონება იმ შორეულ, ტკბილ წარსულთან გვაკავშირებდა, ბავშვობა რომ ჰქვია!

ჩვენი სკოლა ხომ ერთობ მრავალეროვანი და ტოლერანტული იყო, ცხოვრების ქარიშხალმა თუ მიწის ყივილმა ბევრი ჩვენი მეგობარი სხვა ქვეყნებში, უცხოეთში მოახვედრა. მოვეფერეთ აშშ-ში მცხოვრებ და მოღვაწე ჩვენს ყოფილ თანაკლასელს, საქვეყნოდ ცნობილ პროფესორს დოდონა კიზირიას, ისრაელში მცხოვრებ გულიკო იაკობაშვილს, მიმა დანიელოვს, გენო მონაშეროვს, იზა ჯინჯიხაშვილსა და სხვებს, ქობულეთში მყოფ სესილი ჩხარტიშვილს, რომელიც მძიმე დაავადების გამო დღეს ჩვენთან არ არის... დავლოცეთ ქართველთა და ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი, უნიკა-

ლური ძმობა-მეგობრობა, რომელიც ზეცაშია ნაკურთხი...

მეგობრები ერთმანეთს ვაცნობდით საინტერესო ეპიზოდებს ჩვენი ბიოგრაფიიდან, ვსაუბრობდით მიღწეულ წარმატებებამდე მისასვლელი გზების სიძნელეებზე, ცხოვრებისეულ მიგნებებზე...



2007 წ.

გაზაფხულის ბოლო დღეები იდგა და დარბაზშიც ნამდვილი საგაზაფხულო განწყობილება სუფევდა...

ბებიები, ბაბუები, დიდი ბებიაც ისეთი ლალნი, შემართებულნი, ახალგაზრდული ენერჯით იყვნენ დამუხტულნი, ხანდაზმულს ვერ უწოდებდი – მოხდენილად, მსუბუქად ცეკვავდნენ და ხალისობდნენ... „ისევ ის ბიჭი ვარ, ხუჭუჭა პატარა“, – მღეროდნენ გოგონებად ქცეული დარბაისელი ქალბატონები. ისმოდა სიმღერები საქართველოზე, თბილისზე, ზაფხულის მშვენიერებაზე... სულგანაბულნი ვუსმენდით მგზნებარედ და შთაგონებით შესრულებულ სიმღერებს... მუსიკას პოეზია ენაცვლებოდა – ლექსები დედაზე, ქალზე, სიყვარულზე, მეგობრობაზე, გაზაფხულზე...

მღეროდა მთელი დარბაზი...

იღიმებოდა გაზაფხული...

იღიმებოდა ყველა... ვრწმუნდებოდით, რომ ქალი იყო, არის და იქნება დედამიწის სიცოცხლის ძალა, დიდი ნათელი და ამიტომაც მას ეკუთვნის მარადიული გაზაფხულიც!

დამთავრდა ჩვენი თბილი და ლამაზი საღამო.

უმშვენიერესი თაიგულით ხელდამშვენიბული გავაცილეთ ამაგდარი აღმზრდელი, ქ-ნი თინა.

ამ დღეს კიდევ ერთი შთამბეჭდავი ფურცელი ჩაინერა 67-ე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთ ბიოგრაფიაში და ამ შთაბეჭდილების ქვეშ მყოფმა, მინდა გულით გამოვეხმაურო ამჟამინდელ კურსდამთავრებულ ახალგაზრდებს:

– ჩემო ძვირფასო საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებო! მსურს შეგახსენოთ გამოჩენილი ჰუმანისტი ქართველი მწერლის – ნოდარ დუმბაძის მიმართვა ახალგაზრდებისადმი: „ეს ქვეყანა – თავისი უდიადესი წარსულითა და მომავლით – თქვენია! თქვენია კაცობრიობის უდიდესი საგანძური – ხელოვნება, ლიტერატურა! თქვენია ეს დიდებული დედამიწა მთლიანად, – ტყით, ბარით, ზღვით, მდინარით, ნადირითა და ფრინველით და არ გყავთ სხვა მოცილე! განუსაზღვრელია თქვენი ქონება და საკუთრება, რადგან ნერგი ხართ კაცობრიობის მომავლისა!“

დიახ, თქვენ ნერგი ხართ კაცობრიობის მომავლისა!

სიცოცხლე – ეს ბუნების მიერ ბოძებული დიდი ჯილდო, შინაარსიანად, ლამაზად უნდა გაატაროთ! მაგრამ ამას ყველაფერს მოვლა და გაფრთხილება უნდა. წინ ხანგრძლივი, საინტერესო ძიებებია და წარმატებებით აღსავსე ცხოვრება გელით, გელით შრომა და მისი შედეგებით გამოწვეული სიხარული. ოღონდ ამას თავდადება სჭირდება, წარმატებები თავისით არ მოდის – მას დიდი ჯაფა უძღვის წინ. დაენაფეთ ცოდნას, შეიყვარეთ წიგნი, ყოველგვარი წარმატების საფუძველი.

გიყვარდეთ წიგნი – ეს საოცრება, გახსოვდეთ, რომ ვერავითარი თანამედროვე ტექნოლოგია ვერ შეცვლის მას!

გახსოვდეთ პლინიუსის სიტყვები, რომ „სწავლა უწინოდ საცრით წყლის ამოღებაა!“

ეზიარეთ კაცობრიობის უდიდეს სულიერ საგანძურს!

ჩვენ მომავლის ღრმა რწმენით ვცხოვრობთ

ეთერი მეშველიანი

ლენტეხის საბიბლიოთეკო გაერთიანების მეთოდურ-ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგე



დღეს ისე, როგორც არასდროს, უჭირს ბიბლიოთეკას, მის მუშაკებს, რომლებმაც თავიანთი ძალისხმევით შემოინახეს ის დიდი საგანძური, რასაც წიგნი ჰქვია, წიგნის სიყვარულმა გადა-

არჩინა ჩვენი ერი – უნიგნოდ ძნელია.

ბიბლიოთეკისა და წიგნის სიყვარულმა მიიყვანა ლენტეხის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ქალბატონი ბაბილინა მუკბანიანი, რომელსაც ლენტეხის რაიონში წარდგენა არ სჭირდება, რადგან მას ყველა კარგად იცნობს. უკვე ოცდაათ წელზე მეტია, რაც ქალბატონი ბაბილინა ლენტეხის რაიონში საბიბლიოთეკო საქმეს ხელმძღვანელობს.

ჩოლურის საშუალო სკოლაში ტოლს არავის უდებდა, ყველაფერში სამაგალითო იყო, სკოლის დამთავრების შემდეგ წარჩინებით დაასრულა საბიბლიოთეკო სასწავლებელი და თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩაირიცხა ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობაზე. ქალბატონი ბაბილინა კარგად უთავსებდა ერთმანეთს ოჯახს, სწავლასა და სამსახურებრივ საქმიანობას. იგი ყოველ დილით რაიონის მთავარ ქუჩას მოჰყვება, მოდის მხნე, ღიმილიანი. მას სიყვარულით ესალმებიან თნამოქალაქენი, მთელი საზოგადოება. გადმოკვეთავს ქუჩას და შემოდის ლენტეხის საბიბლიოთეკო გაერთიანების ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. ამ ბიბლიოთეკას დიდი ხნის ისტორია აქვს. ხალხს უყვარს ეს დაწესებულება, განსაკუთრებით ახალგაზრდებს. ბიბლიოთეკაში ხშირად ეწყობა მუდმივი და დროებითი გამოფენები სხვადასხვა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ლენტეხელ

საზოგადოებას არასოდეს აკლდა შეხვედრები თვალსაჩინო პიროვნებებთან – მწერლებთან, პოეტებთან, კინოსა და თეატრის მოღვაწეებთან, სპორტისა და ცალკეული დარგის ცნობილ პიროვნებებთან. რაიონის საბიბლიოთეკო დარგის მუშაკთა, განსაკუთრებით კი მისი დირექტორის – ქალბატონ ბაბილინა მუკბანიანის დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს, რომ შეხვედრათა უმრავლესობას ცენტრალური ბიბლიოთეკა და მისი აქტივი აწყობს.

ცენტრალური სარაიონო ბიბლიოთეკა სხვადასხვა დროს მასპინძლობდა და ამჟამადაც მასპინძლობს ჩვენი რაიონის მკვიდრს, ლენტეხის საშუალო სკოლის პედაგოგს, პოეტს – მალვინა მუკბანიანს, რომელიც ამავე დროს მხატვარია. ბიბლიოთეკაში ხშირად ეწყობა მისი პერსონალური გამოფენები, პოეზიის საღამოები, რომლებზედაც სიამოვნებით მოდიან მისი ნიჭის თაყვანისმცემლები.

თითქმის ყოველწლიურად ვინვეთ ჩვენი რაიონიდან წასულ, ამჟამადა ქ. ქუთაისში მცხოვრებ ახალგაზრდა პოეტს ირმა ქურასბედიანს, ვაწყობთ მისი ლექსების მხატვრულ კითხვას, საღამოზე მოვიწვიეთ აგრეთვე ლენტეხის რაიონში დაბადებული და გაზრდილი, ამჟამად ლასკალას ცნობილი მომღერალი გია ონიანი, რომლის მიერ შესრულებული სიმღერები არასოდეს არ დაავინყდებათ ლენტეხელებს. ბიბლიოთეკაში მონვეული გვყავდა ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტი, ჩვენი რაიონის მკვიდრი, ამჟამად თბილისში მოღვაწე გიორგი ქურასბედიანი. ბიბლიოთეკაში მოეწყო გიორგის წიგნების პრეზენტაცია და პოეზიის საღამო.

ჩვენი მკითხველები და მონვეული საზოგადოება დიდი მადლიერებითა და შთაბეჭდილებებით დატვირთულები, კმაყოფილი

ტოვებენ ბიბლიოთეკას და მადლობას უცხადებენ მთელ კოლექტივს. განსაკუთრებით კი ბიბლიოთეკის დირექტორს, ქალბატონ ბაბილინას, რომელიც ყველა ღონისძიების თავი და ინიციატორია. ლენტეხელ წიგნიერ საზოგადოებას არასდროს არ დაავინყდება საბიბლიოთეკო გაერთიანებაში მოწყობილი საინტერესო ღონისძიებები.

ყოველწლიურად ტარდება წიგნის კვირეული ბავშვებთან მომუშავე ბიბლიოთეკებთან ერთობლივად. ეწყობა ცოდნის ზეიმი დამწყები მკითხველებისათვის და პედაგოგ მასწავლებელთათვის. რაც მთავარია, ბიბლიოთეკაში ყველა ასაკისა და განათლების მკითხველს მოუხარია, აქ მათ სამუშაო მაგიდასთან ხვდებათ სანდომიანი სახის ქალბატონი, რომელიც ნათელი, სიყვარულით აღსავსე თვალებით იღიმება.


ამჟამად კი ლენტეხის რაიონის ბიბლიოთეკები ძალიან დიდი პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ: გაუქმება ემუქრება თითქმის მთელ სისტემას სოფლად, არ გაგვარჩნია მათთვის სახელფასო ფონდი,

ძლივს მოვახერხებთ რაიონის ცენტრში შეგვენარჩუნებინა მიმდინარე წლისათვის ყველა სამტატო ერთეული 40-ლარიანი ხელფასით, ისიც 8 თვით. წიგნების შემოტანას მხოლოდ კულტურის სამინისტროს მიერ გამოყოფილი მიზერული თანხით ვახერხებთ. არა გვაქვს გამონერილი არც ერთი სახის ჟურნალი და გაზეთი, თუ არ გავითვალისწინებთ ბატონ გურამ თაყნიაშვილის კეთილ ნებას, რომელიც შეძლებისდაგვარად უფასოდ გვანვდის მეთოდურ ლიტერატურას და ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკას“, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუხდით.

ჩვენ იმედს ვიტოვებთ, რომ მდგომარეობა გამოსწორდება. ჩვენი მთავრობა გაითვალისწინებს ჩვენს აჟამინდელ გასაჭირს და დაგვეხმარება ბიბლიოთეკის წინაშე მდგარი მეტად საჭირობოროტო პრობლემების გადაჭრაში.

ბიბლიოთეკის მთელი კოლექტივი და მისი დირექტორი ქალბატონი ბაბილინა მუკბანიანი მომავლის ღრმა რწმენით ვცხოვრობთ.

ს ა ც ნ ო ბ ა დ ს ა კ ი თ ხ ა ვ ი



კვლავ მკითხველისა და კითხვის შესახებ*



ოთარ ოსაქა

ხალხური ანდაზა ამბობს: „ილაპარაკე არა იმაზე, თუ რა წაიკითხე, არამედ იმაზე, თუ რა გაიგე“. წაკითხულიდან რომ რამე გაიგო, შეითვისო, კითხვისას თავიც უნდა შეინუხო – დაფიქრდე, იაზროვნო, მოუსმინო, რას ამბობენ სხვები ამის შესახებ. აი, ზოგი საინტერესო რჩევა:


გუასტი – თქვენი სული და გული კარგ

თხზულებას ჩააყოლებთ.

გოეთე – ვიდრე მწერალს უსაყვედურებდე ბუნდოვანებას, საჭიროა ანალიზი გაუკეთო საკუთარ ქკუას და გამოარკვიო, მასში ხომ არ არის გაუგებრობის მიზეზი. ბინდში მსხვილი შრიფტიც კი ძნელი წასაკითხია.

მაქსიმ გორკი – წიგნი იკითხე, მაგრამ

*სტატია წარმოადგენს გაგრძელებას წინა ნომერში დაბეჭდილ ნარკვევისა – „მსოფლიოს დიდი მოაზროვნენი. მკითხველისა და კითხვის შესახებ“.



გახსოვდეს, რომ წიგნი მხოლოდ წიგნია მუდამ, მასში გამოთქმულ აზრებს რომ ჩასწვდე, საკუთარ ტვინსაც განძრევა უნდა.

ლიბტენბერგი – თუ თავი და წიგნი ერთმანეთს ეჯახებიან და ცარიელი სხეულის ხმა გამოისმის, განა ყოველთვის წიგნია დამნაშავე?

მიზეზი იმისა, რომ ადამიანები ასე ცოტას იმახსოვრებენ ნაკითხულიდან, მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ძლიერ ცოტას ფიქრობენ ნაკითხულზე.

ლოკი – ჩვენ ვეკუთვნიტ მცოხნავ ცხოველთა ჯგუფს და არ კმარა მხოლოდ თავისი თავის დატენა წიგნების სხვადასხვა კოლექციებით; თუ ჩვენ ყველაფერი კარგად არ გადავლექეთ, წიგნები ვერ მოგვცემენ ძალასა და საზრდოს.

როტერდამერი – კითხვისას ყველაფერი საფუძვლიანად უნდა მოიფიქრო, რათა ის, რაც წაიკითხე, შენი სისხლი და ხორცი გახდეს მეხსიერებაში, ისე არ იყოს თავმოყრილი, როგორც რომელიმე ლექსიკონში.

რუბაკინი – კითხვა საკუთარი აზრების შექმნაა სხვა ადამიანთა აზრების დახმარებით.

სტერნი – კითხვის დროს ცოტა ტვინის განძრევა არის საჭირო. ჭკუა-გონება უნდა მოვიხმაროთ კითხვის დროს –

გონივრულ განსჯასა და ნაკითხულიდან საინტერესო დასკვნები გავაკეთოთ; სწორედ ამ ჩვევის გამო ამტკიცებდა უმცროსი პლინიუსი, „არასოდეს არ წამიკითხავს იმდენად ცუდი წიგნი, რომ რაიმე სარგებლობა არ მიმელოს მისგანო“.

ოსკარ უაილდი – ვინც ლამაზ ნაწარმოებში ცუდ აზრებს ეძებს, თვითონვეა გარყვნილი და მიმზიდველობას მოკლებული.

შუმანი – ნუ იმსჯელებ ნაწარმოებზე პირველი შთაბეჭდილებით. ის, რაც პირველ წუთს მოგწონს, ყოველთვის როდია ყველაზე უკეთესი.

კითხვა უნდა ვისწავლოთ. ეს იმას როდი ნიშნავს, წიგნიდან ასოების ამოკითხვა შეგვეძლოს. ამას მცირეწლოვანი ბავშვიც ახერხებს, როცა იგი საანბანო წიგნიდან წერა-კითხვას სწავლობს. ვისწავლოთ კითხვა – ეს უფრო ფართო ცნებაა და გაცილებით მეტს გულისხმობს, ვიდრე წერა კითხვის შესწავლა. ფრანგი მწერალი ემილ ფაგე ამბობს: „არსებობს კითხვის ხელოვნება, რომელიც უნდა შეისწავლო“. ურიგო არ იქნება, გავეცნოთ სხვათა მოსაზრებებსაც:

ჯონ გერშელი – განავითარეთ ადამიანში წიგნის კითხვის სიყვარული, მიეცით მას შესაძლებლობა, დაიკმაყოფილოს ეს სიყვარული და იგი აუცილებლად ბედნიერი იქნება.

ა. გერცენი – ბევრია ქვეყნად კარგი წიგნი, მაგრამ ეს წიგნები კარგია მხოლოდ მათთვის, ვინც იცის მათი კითხვა. კარგი წიგნების კითხვის ცოდნა სრულიადაც არ უდრის წერა-კითხვის ცოდნას.

ნ. გოგოლი – წაიკითხო როგორც საჭიროა თხოულება... სრულიადაც არ არის უბრალო რამ: ამისათვის საჭიროა მისი შესწავლა დიდხანს.

გოეთე – რას მავნებს ავთა კრულვა-გინება,

უნდო ბერლინელ ხუცესთა კიცხვა!
ვისაც არ ესმის ჩემი ქმნილება,
უმჯობესია ისწავლოს კითხვა!

კომენსკი - იკითხო და ვერ გაიგო-
იგივეა არ იკითხო.

ტორო - კითხვის - უკეთილშობილესი
სულიერი წვრთნისა - ცოტა რამ თუ გაე-
გებათ, ან სულ არაფერი.

როგორც ადამიანები გამოირჩევიან
ერთმანეთისაგან სხვადასხვაგვარი ხასი-
ათით, ასევე მკითხველებიც სხვადასხვაგ-
ვარნი არიან. რაც არ უნდა ამაღლდეს
თითოეული პიროვნების კითხვის
კულტურა, არ შეიძლება ყველასათვის
კითხვის საერთო სტანდარტი შეიქმნას,
რადგანაც თითოეულ ადამიანს არა
მხოლოდ საკუთარი გემოვნება, სურვი-
ლები და მიდრეკილება გააჩნია, რომ
არაფერი ვთქვათ მათ უნარზე, არამედ
თითოეულს კითხვის საკუთარი მეთოდიც
აქვს გამომუშავებული. თომას მანი
ამბობს: „კითხვას სულ სხვა გემო აქვს,
როცა წიგნი შენიაო“. მეორისათვის ამ
ფაქტორს არავითარი მნიშვნელობა არ
გააჩნია. რამდენი ადამიანიცაა, იმდენი
პიროვნებაა და თითოეულს თავისი საკუ-
თარი „მე“ აქვს, რაც განაპირობებს
პიროვნების, როგორც მკითხველის თავი-
სებურებას.

ცნობილი ინგლისელი მოაზროვნე
კოლრიჯი მკითხველებს ოთხ ჯგუფად
ჰყოფს:

1. პირველნი ღრუბლებივით იწოვენ
ყველაფერს, რასაც კითხულობენ და
მალევე უბრუნდებიან პირვანდელ მდგომა-
რეობას;


2. მეორენი ქვიშის საათები არიან,
რომლებსაც სრულიად არაფერი
რჩებათ და მხოლოდ დროის გასაყვანად
გულგრილად ჩაათავებენ წიგნს;

3. მესამენი ფილტრებივით იქცევიან -
წაკითხულის მხოლოდ უმცირესი ნაწილი
რჩებათ გონებაში;

4. მეოთხენი დიდი მონღოლის აღმასს
ჰგვანან, იშვიათსა და ძვირფასს, წაკითხ-
ულით რომ აღივსებიან და სხვასაც
აღავსებენ.

ჩვენთან, ქართულ სინამდვილეშიც
ბევრი რამ თქმულა და დაწერილა ამ
საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად,
გურამ დოჩანაშვილის იუმორით აღსავსე
მონათხრობი გავიხსენოთ ზოგიერთი
კატეგორიის ვაი-მკითხველის შესახებ:
„მსოფლიოში იმდენი მკითხველია,
რამდენიც წერა-კითხვის მცოდნე, და რომ
კარგი მკითხველების გარდა არსებობენ
მკითხველები, რომლებიც განურჩევლად
ყველაფერს ბოლომდე ჩაარხინებენ:
მკითხველები, რომლებიც მხოლოდ მაშინ
კადრულობენ წიგნის ხელში აღებას, თუ
ქალაქში ამ ნაწარმოების ქება დაირხვევა;
მკითხველები, რომლებიც ჯერ ბოლო
გვერდს წაიკითხავენ და, მერე ავტორი-
სადმი ერთგვარი ამპარტავნული დამო-
კიდებულებით (რადგან ფინალი უკვე
იცინან), მედიდურად კითხულობენ წიგნს;
მკითხველები, რომლებსაც უჭირთ ნაწარ-
მოების გაგება და ამის დასაფარავად ხან
სხვებს აჰყვებიან და აქებენ ან აძაგებენ
ამა თუ იმ ნაწარმოებს, ანდა, ნიჰილიზმის
ფარდას ამოფარებულნი, აცხადებენ,
რომ არაფერი მოსწონთ; მკითხველები,
რომლებიც ღამით სისტემატურად კითხუ-
ლობენ ნახევარ გვერდს, რათა სწრაფად
დაიძინონ; მკითხველები, რომლებიც
მხოლოდ ნათესავთა, ამხანაგთა და
მეზობლების დაწერილ წიგნებს კითხუ-
ლობენ - ეს, სხვათა შორის, დიდი უცნა-
ური ხალხია; მკითხველები, რომლებსაც
გრძელი გზის შემოკლება სურთ და
ტრამვაი-ტროლეიბუსებში რწევა-რწევით,
გაჭირვებით არჩევენ სტრიქონებს და
მალი-მალ ფანჯარაში იხედებიან; ახლად-
წამოჩნთული მკითხველები, რომლებიც
წიგნში მხოლოდ ინტიმურ ადგილებს
კითხულობენ, მაგრამ იმდენჯერ, რომ
ხუთი იმოდენა წიგნის გადაბუღებულს
ეყოფოდა; ყველაზე მეტად უსიამო კატე-
გორია მკითხველებისა, რომლებიც კმაყო-
ფილი სახით აცხადებენ: „რა კარგი ნაწარ-
მოებია, რომ ვკითხულობ, პირდაპირ
ვისვენებ, მისწრებაა პიდაპირ...“

სერგეი მესხი მკითხველთა კატეგო-



რიებს მათი აზრებისა და სურვილების შესაბამისად ჰყოფს. მას მიაჩნია, რომ „ყველგან მკითხველთა საზოგადოება დაყოფილია პარტიებად ანუ ნაწილ-ნაწილად, და თვითოეულ ამ ნაწილთაგანს თავისი განსაკუთრებული აზრები, თავისი გაგება რომლისაჲმე საგნისა და თავისი ნადილი აქვს“.

თუ ადამიანს რომელიმე საგნის ღრმად შესწავლა სურს, ის გულდასმით უნდა ჩაუკვირდეს ნაკითხულს, რადგანაც წიგნის ზერელე კითხვა წყლის ნაყვია.

სერვანტესი წერს: „წიგნები ხშირად უფრო მეტ წარმოდგენას იძლევიან ამა თუ იმ საგანზე, ვიდრე თვით საგნის უშუალო გაცნობა, ვინაიდან გულის-ხმიერი და დაკვირვებული მკითხველი მრავალგზის შეაჩერებს თავის ყურადღებას და ჩაუკირკიტებს ნასაკითხს, ხოლო დაუდევარსა და უგულისყურო მკითხველს ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია, თავსაც არ იტკივებს, - აი რა უპირატესობა აქვს კითხვას თვალთვალსა და მეთვალყურეობასთან შედარებით“.

კარგი წიგნის ცუდი მკითხველი გალაკტიონ ტაბიძემ თავის ლაკონური პოეტური ხერხებით ასე დაახასიათა:

არის მკითხველი
მშვერიერ წიგნის
და არის მხოლოდ
გ ა დ ა მ კ ი თ ხ ვ ე ლ ი
ის ფურცლავს, ნიშნავს,
ადარებს, ჩიჩქნის,
მაგრამ ვინაა
აქ განმკითხველი?

ზოგჯერ ხდება ხოლმე ისეც, რომ ცუდმა წიგნმა შეიძლება ადამიანს კითხვა სამუდამოდ შეაძულოს. სულმნათი აკაკი ამის შესახებ ამბობდა: „მკითხველებს კი რაღაი ერთი და ორი ცუდი წიგნი ჩაუვარდებათ ხელში, მერე საზოგადოთაც გულს გაიტეხენ ყველაზე. მართალიც არის!.. ბაღში რომ ყვავილების მოკრეფა გინდოდეს და ეკალნარს ვერ გაატანო. მაშინ ვარდის მონყვეტის სურვილიც დაგეკარგება, თავს დაანებებ და გამობ-

რუნდები უკანვე“.

ფოლკნერი ამბობს: ჯენტლმენები ძველად მათი წიგნებით იცნობოდაო.

ქართულ მწერლობაში მრავალი საყურადღებო აზრი გამოქვეყნებულა მწერლისა და მკითხველის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. თითოეული მათგანის გარჩევა-დახასიათება-კომენტარი შორს წაგვიყვანდა, მით უმეტეს, რომ ბევრ მათგანს ერთმანეთისაგან სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრებანი გააჩნია.

კ. გამსახურდიას აზრით, არიან ისეთი მწერლები, რომელთა მკითხველებს ასაკის ცვლასთან ერთად ეცვლებათ შთაბეჭდილება მათზე.

არიან მწერლები, რომლებიც სიჭაბუკეში გიყვარს, გაცეხს და გაღფრთოვანებს, რამდენიმე წლის შემდეგ კი, როცა მიუბრუნდები, ისინი უკვე ისეთად აღარ გეჩვენება, როგორც ერთ დროს.

დაფიქრდები და ბოლოს ირკვევა, რომ მათ ჩვენი სიყრმის სიზმრები გაუღვიძებიათ მხოლოდ და ისევე მიამიტად, როგორც ეს ემართება პატიოსანი თვლების ცნობაში გამოუნვრთნელებს, როცა უბრალო ბრჭყვიალა ბროლი ბრილიანტი ჰგონიათ.

მწერლობაში უპირველესი საქმეა მკითხველის ყურადღების მიპყრობის უნარი და როცა ეს მომეტებული დოზით გააჩნია მწერალს, უკვე ნახევრად გამარჯვებაა.

ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ ვისაც თანამედროვე მკითხველი მკაცრი თვალთ არ განიხილავს, მომავლისათვის ზედმეტი ბარგი იქნება. ხშირად უბრალო მკითხველიც ბარომეტრია მწერლის შეფასებისათვის.

ვ. გაფრინდაშვილის დაკვირვებით, მკითხველი კლასიკოსებს მეტი ნდობით ეპყრობა, მეტი ხალისით კითხულობს და უფრო აფასებს, ვინაიდან კლასიკოსები მეტი პატივისცემით ეპყრობიან მკითხველს.

აკ. განერელიას მიაჩნია, რომ მხოლოდ ქვიანი ნიგნი ამყარებს შემოქმედსა და მკითხველს შორის მჭიდრო კავშირს.

ი. გომართელი აცხადებს, რომ ხელოვნება ვერასოდეს ვერ მიაღწევს თავის მიზანს, თუ ის მკითხველში ვერ აღძრავს იმგვარივე თვისებებისა და ძლიერების განცდას, როგორც ავტორს ან იმ გამირებს იმორჩილებს, რომელსაც ის თანაუგრძნობს.

უსაზღვროდ დიდ შეფასებას აძლევს მკითხველს, ერთგვარი ირონიის გამოყენებით, გ. დოჩანაშვილი: – იყო მკითხველი, ეს თავისთავად სასწაულია, – აცხადებს ის, – მკითხველი სწორედ ისაა, ვისაც შეუძლია ისედაც ვინრო საძილე ტომარაში შეყვარებულებს შორის იწვეს და სულაც არ იყვეს ზედმეტიო.

მწერლისა და მკითხველის ურთიერთგავლენის შესახებ მოხდენილად აცხადებს კ. ლორთქიფანიძე, მისი აზრით, არა მარტო კარგი ლიტერატურა ზრდის კარგ მკითხველს, არამედ კარგი, განათლებული მკითხველი ხელს უწყობს კარგი მწერლის ჩამოყალიბებას.

ავტორსა და მკითხველს შორის კონტაქტის დამყარება რთული პროცესია. არ ჩამოვთვლი ყველა იმ მიზეზს, რის გამოც მკითხველს ხშირად უჭირს ამა თუ იმ წიგნთან იმ უხილავი ძაფების გაბმა, რასაც ნდობა ეწოდება და ურომლისოდაც მკითხველი ძნელად თუ აღიქვამს მწერლის მიერ დახატულ სამყაროს.

ნ. ლორთქიფანიძე – ეს ჩვენი ყველაზე ორიგინალური მწერალი ურჩევს ავტორებს, რომ მკითხველს მეტი ადგილი დაუთმონ ფანტაზიისათვის, შემოქმედებისათვის. „მკითხველს მოსწყინდა ყველაფერი შემუშავებული თავთავის ადგილზე ჰპოვოს... მწერალმა მარმარილო, ტილო, საერთო აზრი, ჩარჩო, ორი-სამი ხაზი დაამზადოს, დამთავრება, დაბოლოება ნაწარმოებისა მკითხველის გამოგონებასა და სურვილს მიანდოს“. ეს პირდაპირ იზიარებს შ. მონტესკიეს პრინციპულ რეკომენდაციას: არასოდეს არ უნდა ამოიწეროს საგანი

იმდენად, რომ მკითხველის წილად აღარაფერი დარჩეს. საქმე ის არის, ფიქრი აიძულო მას.

ა. წერეთელი კონკრეტული, ლაკონური ფრაზით იძლევა მწერლისა და მკითხველის ურთიერთობის გამომხატველ ფორმულას, რაზედაც შეიძლება მრავალი მოსაზრება აიგოს. იგი წინააღმდეგია ყოველგვარი შეზღუდვისა და მოსაზრებების იძულებით თავზე მოხვევისა. გადაჭრით აცხადებს, რომ დაწერა ავტორის გრძნობა-გონების საქმეა და ნაწერის დაფასება – მკითხველის ჭკუის... ყველას უფლება აქვს მოიწონოს, ან წუნი დასდვას...

მ. ჯავახიშვილი განსაკუთრებული სიღრმით ეხება მწერალთა და მკითხველთა ურთიერთთანაზიარობის საკითხს: არწივი ფრთებით არსებობს, მგოსანი კი – სახელით. „დამიჯერეთ, მეგობრებო, – მოგვმართავს ის, – მკითხველებსა და მგოსანს შორის რაღაც იდუმალი, რაღაც უჩინარი ძაფებია გაბმული. და ჯადოსანიც ის არის, ვინც ამ თილისმურ ტალღებს მიაგნებს, ჩაჰბლუჯავს და თავის გულის რადიოსადგურად გადააქცევს. ეს გულთახმიური მგოსანი და უთვალავი მკითხველი მუდამ ერთმანეთს ეჩურჩულებიან და ერთ მთლიან სულიერივით არიან შეკრული. მათი აზროვნება ნათესავდება, თანაბრად სცემს და მათი გრძნობებიც ერთნაირ ჰანგზეა ასხმული.

მაგრამ, მეგობრებო, ამ ძაფებს მხოლოდ ის დაიჭერს, ვინც ეს გაბნეული ჯარი შეიყვარა და თავისი თავიც შეაყვარა. აი აქ იმალება იდუმალი კვანძი და ვინც მას მიაგნებს, მკითხველიც იმ მგოსანს მიაგნებს და დაიჩემებს“.

მრავალ მეცნიერს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს გამოუთქვამს ალტაცება იმაზე, თუ რა დადებითი როლი შეასრულა წიგნმა მის ცხოვრებაში. როგორ არ უნდა გაგვახსენდეს აქ იოსებ გრიშაშვილი. მან წიგნის როლი თავის პირად ცხოვრებაში პოეტურ ფერებში გამოხატა:

„მიყვარდა კითხვა... წიგნს ვსახავდი მე თვალის ჩინად,

მიყვარდა კითხვა და ამ კითხვამ გადა-
მარჩინა.“

დიდი რუსი მწერალი და მოაზროვნე თეოდორ დოსტოევსკი წერს: „მე ვკითხულობ და კითხვა უცნაურად მოქმედებს ჩემზე“. დიდი ინდოელი მწერალი რაბინდრანად თავორი ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში „ბენგალია“ იგონებს: „მე დარწმუნებული ვარ, ბავშვობაში ჯადოსნური ზღაპრები რომ არ მომესმინა და არაბული ღამეები და რობინზონ კრუზო არ წამეკითხა, შორეული ნაპირებისა და თვალუნვდენელი ველების ხილვა ასე ძლიერად არ ამალეღვებდა. მთელი ქვეყანა მაშინ სულ სხვა გრძნობებს აღმიძრავდა“. ლევ ტოლსტოი ასეთ რამეს ამბობს: „არ შემიძლია გადმოცემა იმ კეთილისმყოფელი გავლენისა, რომელიც ჩემზე წიგნის კითხვას ჰქონდა“.

საყოველთაოდ ცნობილია ის ფაქტი, რომ ჩვენი საამაყო მეფე დავით აღმაშენებელი ლაშქრობის დროსაც კი თან დაატარებდა წიგნებს და მოცალეობის დროს დრო და დრო გულმოდგინედ კითხულობდა. ომის ველზე ამასვე აკეთებდნენ თურმე სხვა გამოჩენილი მხედართმთავარნიც. ამის თაობაზე, აი, რას წერს კ. გამსახურდია: „ისეთი დიდკაცები მსოფლიო ისტორიისა, როგორიც იყვნენ ცეზარი, ნაპოლეონი და დავით აღმაშენებელი, ომის ველზედაც წიგნს კითხულობდნენ და კულტურის საკითხებით იყვნენ დაინტერესებულნი“. ინგლისელი ფილოსოფოსი ტორო კი გვამცნობს: „ალექსანდრეს ლაშქრობაში ძვირფას ყუთში ჩადებული „ილიადა“ თან დაჰქონდა“.


ყოვლად შეუძლებელია დიდი მწერალი

კარგი მკითხველი არ იყვეს. მაგალითად, პუშკინი იყო არა მარტო მწერალი, არამედ გულმოდგინე მკითხველი. ის ერთ თავის წერილში ამბობს: „Большинство наших писателей не учится разучивается“. პოეტი მუდამ აღრმავებდა თავის ცოდნას და ბლომად ხარჯავდა ფულს ახალი წიგნების შეძენაზე. ცნობილია პუშკინის ფრაზა: „Жизнь коротка, перечитать вам некогда“

სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში ჩვენთან მომრავლდნენ ისეთი მწერლები, რომლებიც გაცილებით მეტს წერენ და ბეჭდავენ, ვიდრე კითხულობენ. სწორედ ამიტომაც წიგნის ბაზარი გადავსებულია მდარე, უგემოვნო ნაწარმოებებით. სამწუხაროდ, დღევანდელი მკითხველის მოთხოვნილებაც ისე დაეცა, ასეთ ლიტერატურას უფრო მეტად ეტანება და კითხულობს, ვიდრე რუსთაველსა და ბარათაშვილს, სულხან-საბა ორბელიანსა და გურამიშვილს, ილიასა და აკაკის, ვაჟასა და ყაზბეგს, გალაკტიონსა და ლეონიძეს, ჯავახიშვილს, ბარნოვს, გამსახურდიას, სხვა გამოჩენილ მწერლებსა და პოეტებს. დარწმუნებული ვარ, ის ე.წ. „თხზულებები“, რომლებსაც ასე ეტანება დღევანდელი მკითხველი, ხვალ უკვალოდ გაქრება.

„კაცობრიობის საუკეთესო შვილები, ისინი, ვინც იბრძოდნენ წარსულში და იბრძვიან აწმყოში მშრომელთა ბედნიერებისათვის მთელ მსოფლიოში, ბავშვობის წლებიდანვე წიგნებთან ერთად, ილტვოდნენ ცხოვრების შეცნობისაკენ“ (მიხეილ შოლოხოვი).

წიგნების გარეშე არ შეიძლება იყოს სრულყოფილება, სილამაზე, საზოგადოებრივი მაღალი გონიერება და განვითარება.





საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის
100 წლისთავის იუბილე, 1946 წ.



ბიბლიოთეკართა კვალიუფიკაციის ამალღების
კურსები, 1962 წ.



ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, რუსული ჯგუფი 1933 წ.



ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლების კურსების მსმენელები, 1956 წ.

